FS 792

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმანახი

შედგენილი

გ. თუმანიშვილისაგან.

გამოცემული

გრ. ჩარკვიანისაგან.

II

თბილისი
მექვთიმე ხელაძის სტამბა
1879

Дозволено цензурою.
Тифлисъ, 20 Января 1879 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

FS 792

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძიებელი.

I, დონ-ჟუანი, პუშკინის სცენები, თარგმნილნი თ. მიხ. ბირთვ. თუმანიშვილისაგან . 1

II, ბაირონის «ჩაილდ-ჰაროლდიდამ», (თარგმანი) ი. ბაქრაძისა 26

III. სამი ლექსი თ. მ. თუმანიშვილისა. . 28

IV. ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება. 33

V. მშვენიერი ელენე (პირველი მოქმედება) ფარსი მელიაკისა და ჰალევისა, თარგმნილი თ. დავ. ერისთავისაგან . . 65

VI. მოხუცი-მატანტალა (ბერანჟედამ) თ. რაფ. ერისთავისა 135

VII. რომანსი (პუშკინიდამ) თ. რაფ. ერისთავისა 138

VIII. ებრაული მელოდია (ბაირონიდამ) ი. ბაქრაძისა 142

IX. ეკონომიური სურათები (რუსეთი) . 143

X. კრიჭ და ხრიშ! (დალაქის თავ-გადასავალი) აკაკისა 162

დონ-ჟუანი *)

ა. პუშკინისა.

ნათარგმნი

თ. მიხ. ბირთვ. თუმანიშვილისაგან.

სცენა III.

კომანდორის ძეგლი.

დონ-ჟუანი (ბერათ ჩაცმული)

სულ კარგა მოდის: შემომაკვდა რა ანაზდეულ
მე დონ-კარლოსი, მზგავსად ბერის განდგომილის,

*) აქ ვაძლევთ ალაგს ორ უმთავრეს სცენას პუშკინის „დონ-ჟუანისას" („Каменный гость"), რომელსაც ჩვენ ვთვლით, ბელინსკის აზრის თანახმად, პუშკინის უკეთეს ხელოვნურ თხზულებათ. არ უამბობთ მკითხველებს პირველ გადაუთარგმნელ სცენებს, რადგანაც იმათ თითქმის არავითარი კავშირი არა აქვთ აქ დაბეჭდილ ნაწილთან.

მ. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოკეფარე მიყრუებულს ამა მონასტერს,
და ვხედავ თითქმის ცისმარეს-დღეს ჩემს ლამაზ ქვრივსა,
და ვჰგონებ მისგანც იდუმალად ვიყო შენიშნულ.
ჯერ აქამომდე ერთმანერთთან ვყოფილვართ კრძალვით,
მაგრამ დღეს უნდა ლაპარაკიც ვჰსცადო მე მასთან.
როგორ დავიწყო? „ვჰბედავ“... არა, ესე არა სჯობს:
„სინიორავ“... ეჰ! ვეტყვი რა:ც კი თავში მამივა,
მოუმზადებლივ, ვით მეშტვირე შაირის მთქმელი...
მაგრამ მაკვირვებს თუ რისათვის დაიგვიანა.
უმისოთ თითქოს კომანდორი მოწყენილია.
ვერ ხედავთ როგორ გმირათ არის წარმოდგენილი!
მხრები, შეხედვა, სულ ღერკულესსა მიემზგავსება!...
მაგრამ თვითონ კი იყო სუსტი და მილეული;
რომ შემდგარიყო უბედური აქ ფეხის ჩლიქზე,
ვგონებ ხელს ვერც კი მიაწვდენდა თავისვე ცხვირთან.
ესკურიალზე როდესაც კი შევიყარენით,
ფიცხლავ ხმლის წვერზე წამომეგო და გაჰსძვრა სული
როგორც ჭრიჭინა ქინძის თავზე წამოგებული:
მაგრამ კი იყო დიდიგული და მედიდური...
აგერ ისიცა! (შემოდის დონნა-ანნა)

დონნა-ანნა.

კიდევ აქ ვხედავ.—მამაო, ვგონებ,
შეგაწყვეტინეთ უწმიდესნი მე თქვენნი ფიქრნი—
გთხოვთ მოტევებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ-ჟუანი.

მითხოვთ მოტევებას? არა, ბატონო,
ჩემდა ჯერ არს რო მოვითხოვო თქვენგან შენდობა.
თქვენ მოგიმართავთ მწუხარების აქა სათქმელად,
და ვგონებ რომე გიშლიდეთ მხოლოდ.

დონნა-ანნა.

არა, მამაო: მწუხარება ჩემი ჩემთან არს;
მსურის მე ლოცვა, და ვიმედობ, ჩემი ვედრება
თქვენთან უწრფელეს მღვთაებასთან აღემართება —
გთხოვთ თქვენც თქვენი ხმა უწმიდესი მას შეაერთოთ.

დონ-ჟუანი.

ნუ თუ მე მიწვევთ, დონნა-ანნავ, თქვენთან ლოცვასა?
არა, არ ვარ ღირს უმაღლესის ამა ხვედრისა.
ბაგენი ჩემნი ცოდვის მცველნი ვერა გაბედვენ,
რომ უწმიდესი თქვენი ლოცვა განამეორონ.
მე მხოლოდ შორით მოწიწებით ვბედავ ყურებას,
ოდეს სიმდაბლით დადრეკილი ნარნარის მუხლით,
ნაწნავთა შავთა გარდმოაყრით ცივს მარმარილოს—
და მე მგონიეს, რომ იდუმალ სამარე ამას
თვით ანგელოზი მშვენიერი ზეცით ჰხლებოდეს.
გულს ამღვრეულსა მაშინ ლოცვა ვერ მიპოვიეს,
უხმოთ ვჭვირობ, და უხმოთ ვამბობ ჩემს გულში:

რომ არის მისი სანატრელი თვით სიკვდილიცა,
ვისზე მდებარე მარმარილო, ვით ცივი ლოდი,
არის თბუნებულ ციებრივის მისის სუნთქვითა,
და ვით ცის ნამით პკურებული მისის ცრემლითა.

დონნა-ანნა.

ახ რაი მესმის უცნაური?

დონ-ჟუანი.

დონნავ, ჰი, დონნავ?

დონნა-ანნა.

მე, მე ამგვარი უბნობანი?... ნუ თუ ივიწყეთ...

დონ-ჟუანი.

როგორ ბატონო? ამას ამბობთ, რომ ვარ მე ბერი,
ბერი უღირსი? რომ ხმა ჩემი, ცოდვითა სავსე,
ესრეთ ამ ალაგს ალმაღლებით არ უნდ ისმოდეს?

დონნა-ანნა.

სხვა რამ გავჰფიქრე.—უკაცრავათ...ანუ ვერ მივხვდი.

დონ-ჟუანი.

ახ მესმის, ვხედავ: თქვენ ყოველი, სცანით ყოველი!

დონნა-ანნა.

როგორ, რა ვსცანი?

დონ-ჟუანი.

რადა ვფარო, რომ არ ვარ ბერი..
თქვენ ფერხთა მტვერათ დამხობილი გთხოვთ მო-
მიტევოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონნა ანნა.

ღმერთო, შეგცოდე! აღსდეგ, აღსდეგ!... მითხა-
რით, ვინ ხართ?

დონ-ჟუანი.

ვინა ვარ? მსხვერპლი სიყვარულის უიმედოსი.

დონნა-ანნა.

ღმერთო, მიწყალე! როგორ, ნუ თუ აქ, ამ საფლავთან?
გამშორდით თვალით.

დონ-ჟუანი.

ერთი წუთი, ტურფაო ანნავ,
ერთათ ერთი! გიხოვ!

დონნა-ანნა.

აბა ვინმემ რომ შემოგვასწროს!...

დონ ჟუანი.

დაკეტილის ზღუდის კარი.—ახ ერთი წუთი!

დონნა-ანნა.

ჰა, აბა რა გწადსთ? აბა ბძანე თქვენი სურვილი!

დონ-ჟუანი.

რა მწადს?—სიკვდილი! დაე მოვკვდე, ახლავ, თქვენ
ფეხთ ქვეშ,
და საბრალო მტვერი ჩემი ჰყონ აქვე დაფლულ,
რასაკვრელია არა ახლოს თქვენის მეგობრის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს, იქ სადმე, გინდ კუთხეში, გინდ კარის ბჭეში,
რომ ზოგჯერ ეგებ ღირსი მაინც შევიქნებოდე,
თქვენის ჩემზე გადმოვლისა, კაბის მოხვედრის,
როდესაც აქა ჩვეულებრივ შემოხვიდოდეთ,
ამა საფლავზე საგლოველათ, ზედ დასავრონათ.

დონნა-ანნა.

ჰსჩანს გონებაზედ არ ბრძანდებით.

დონ-ჟუანი.

მაშ, დონნა-ანნავ,
აღსასრულისა მოწადებაარს უგონობა?
ნეტავი ვიყო გონება სუსტ, მაშინ სიკვდილსა
რათ მოვინდომებ, ერთხელ მაინც მექვნის იმედი,
რომ ნაზის ტრფობით შევსძრა, შევსძრა მე თქვე-
ნი გული;
გიჟი რომ ვიყო, მე მაშინა მთელსა ღამეებს *)
გავატარებდი თქვენი სახლის მოაჯირის წინ—
და ტრფიალების სიმღერებით ძილს დაგიფთხობდით.
არ დავიწყობდი დამალვასა,—არა, პირ იქით,

---

*) ზემომოყვანილი შვიდი სტრიქონი, მოკლებული თ. მის. თუმანიშვილის რვეულში გადმოგვითარგმნა დ. ბაქრაძემ, რომელსაც ვუცხადებთ გულითად მადლობას ამ შრომის მიღებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიწყებდი ცდას, რომ სუყველგან დაგნახვებოდით
მე რომა, ტურფა დონნა-ანნა, უგონო ვიყო,
მდუმარებითა ასე აღარ ვიტანჯებოდი...

დონნა-ანნა.

მაშ ეგრე თქვენა... ხმას არა მცემთ, არ მეუბნებით?

დონ-ჟუანი.

შემთხვევამ მხოლოდ წარმიტაცა, მხოლოდ შემთხვევამ,
თორემ არას დროს არა სცნობდით თქვენ ჩემსა დარდსა.

დონნა-ანნა.

დიდიხანია მაშ თქვენს თავზე არს ეს ამბავი?

დონ-ჟუანი.

—დიდიხანია, და თუ არა, მე თვით არ ვიცი,
მაგრამ კი მხოლოდ მას დროს აქეთ ვიგრძენ მე ფასი
წუთის ცხოვრების, მას დროს აქეთ ვიწყე მისვედრა,
თუ რას უწოდვენ, თუ რას ჰქვიან ბედნიერება.

დონნა-ანნა

გამეცალენით—თქვენ საშიში კაცი ყოფილხართ.

დონ-ჟუანი.

როგორ საშიში?

დონნა-ანნა.

საშიშოა თქვენ ყურის გდება.

დონ-ჟუანი.

კარგი, დავჩუმდი; ოღონდ კი თქვენ არ გამაძიოთ
იგი, ვინც თქვენის ერთის ხედვით მხოლოდ სულდ-
გმულობს.
მე არ გავბედავ არცა სურვილს, არცა იმედთა,
და არც სხვა რასმეს, მაგრამ ხილვას თქვენს ვერ
დავიშლი,
რაკი სიცოცხლე მე სასჯელად მოცემული მაქვს.

დონნა-ანნა.

გამშორდით—აბა რა დრო არი, რა ადგილია
ან ამგვართ სიტყვათ, ანუ ამ გვართ უგუნურებათ?
გნებავთ ხვალ მოდით, მაგრამ უნდათ მომცეთ კი სიტყვა,
რომ არაფერი არ გაჰფიქროთ, და არც გაბედოთ.
მე თქვენ მიგიღებთ, მაგრამ გვიან საღამოს ჟამით—
რაც ეს ოხრობა თავს მომადგა, მას აქეთ არვის
არ ვინახვინებ...

დონ-ჟუანი.

დონნა-ანნავ, ახ ანგელოზო!
ღმერთმა მოგაგოს ის ნუგეში, რავდენიც მე თქვენ
ნუგეში მეცით უბედურსა მე გატანჯულსა.

დონნა-ანნა.

კმარა, იკმარე.

დონ-ჟუანი.

ერთი წუთი, ერთ წუთი კიდევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონნა-ანნა.

არა, აქედამ მე ახლავე უნდა განვშორდე...
თორემ უმეტესს მიეცემა გონება ცოდვას.
თითქმის სრულიად გადამრიეთ ცოდვილის პირით.
დიდიხანია ჩემი სმენა გადაეჩვია
ამგვართ საუბართ. — გნებავსთ ხვალე ჩემთან მობძანდით.

დონ-ჟუანი.

ყველა მაგისი ჯერ არ ძალმიძს მე დაჯერება,
არ შემიძლიან მივეცე ჩემ ბედნიერებას.
ხვალ გნახავთ, დონნავ!—ხვალ და არ აქ, არა მალულად!

დონნა-ანნა.

დიახ, ხვალა, ხვალ. მიბძანე მე თქვენი სახელი?

დონ-ჟუანი.

მქვიან დიეგო დონ კალვადო.

დონნა-ანნა.

მაშა ნახვამდე დონ დიეგო. (გავა)

დონ-ჟუანი.

ეი ლეპორელლო!

ლეპორელლო. (შემოვა)

შენი ჭირიმე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ-ჟუანი

ლეპორელლო, ჩემო ლეპიკო!
ნახე რა მოხდა? ოჰ თუ ვითარ ბედნიერი ვარ!—
ხვალაო ხვალა—სალამოზე ძალიან გვიან.—
ბედნიერი ვარ, ლეპორელლო, როგორც უმაწვილი!

ლეპორელლო.

იმას არ ბრძანებთ, რომ დონნასთან გელაპარაკოსთ?
რა ლაპარაკი: ერთს ან ორსა სიტყვას გეტყოდათ,
და თქვენცა იმას დაჰლოცავდით.

დონ-ჟუანი.

ეგ ნუ გგონია!
მან დამინიშნა დამინიშნა შეყრისა ვადა!

ლეპორელლო.

რას ბძანებ, ნუ თუ?—ჰკი ქვრივნო! სულ ასეთნი ხართ.

დონ-ჟუანი.

როგორ წარმოვსთქვა ჩემი ესე ბედნიერება?
მზათ ვარ ვიხტუნო, მთელი არსი გულში ჩავიკრა.

ლეპორელლო.

ზოგი თქვენ ჰკითხეთ კომანდორსაც: აბა რას იტყვის?

დონ-ჟუანი.

შენა გგონია რომ სიმურნე გულში შეუშვას?
ამას ნურას დროს ნუ იფიქრებ! ვეჭობ მას აქეთ
ჭკუას უმატა, რაც გავიდა ამა სოფლიდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეპორელლო.

ზოგი შეხედეთ აბა იმის სტატუისაც.

დონ-ჟუანი.

რა არის?

ლეპორელლო.

ვგონებ, გიმზერდეს, გიჯავრდებოდეს.

დონ-ჟუანი.

არაფერია, მოდი აქაც იქ მივიწვიოთ,
რომე მობრძანდეს იგი ჩემთან,—ჩემთან კი არა,—
თავის მეუღლეს დონ-ანნასთან, ხვალ საღამოზე.

ლეპორელლო.

სტუმრათ მოწვევა სტატუისა! რისთვის, არ ვიცი?

დონ-ჟუანი.

რასაკვრველია არა მისთვის, რომ ვესაუბრო,—
ვსთხოვე სტატუას, მობრძანდი თქო ხვალ საღამოზე
დონნა-ანნასთან კარებისა დასაცველათ თქო.

ლეპორელლო

რა მეხუმრება, მერმე ვისთან!

დონ-ჟუანი.

მიდი, რას ელი?

ლეპორელლო.

ახლა რომ უცებ...

დონ-ჟუანი.

მიდი მეთქი.

ლეპორელლო.

მივდივარ, მივალ.—
უგანთქმულესო, მშვენიერო სტატუავ ეი!
ჩემი ბატონი დონ-ჟუანი, უმორჩილესათ
გთხოვსთ რომ ინებოთ.—რა ვქნა ვშიშობ, არ შე-
მიძლიან.

დონ-ჟუანი.

შე ქალაჩუნავ! მე ვიცი შენ!

ლეპორელლო.

კარგი, დამაცა.
ჩემი ბატონი დონ-ჟუანი გთხოვსთ, რომ მობრძანდეთ
ხვალ სალამოზე სახლსა შინა თქვენის მეუღლის
და დაჰყდგეთ კარზე... (სტატუია იქნევს თავს ნიშნათ
თანხმობისა).
აი, აი!

დონ-ჟუანი.

რა არის, რაა?

ლეპორელლო.

ვაიმე, ვაი!... მოგიკვდი!

დონ-ჟუანი.

რა დაგემართა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეპორელლო (თავით უჩვენებს)

ოჰ, სტატუიამ ასე მიყო...

დონ-ჟუანი.

რაა, თავს მიკრავ!

ლეპორელლო.

არა მე არა — სტატუია!

დონ-ჟუანი.

ნეტა რას როსავ?

ლეპორელლო.

მაშ თქვენ მიბძანდით გამოსცადეთ.

დონ-ჟუანი.

მაშ კარგი. ლეპო, მერმე მე ვიცი. (სტატუის) კომანდორო, გთხოვ უმდაბლესათ
რომ ხვალ მობძანდეთ თქვენს მეუღლესთან, სადა მეც მნახავთ,
და დაჰსდგეთ კარზე. როგორ? მოხვალთ? (სტატუია თავს იქნევს კიდევ.)

ღმერთო, რას ვხედავ?

ლეპორელლო.

აგი გითხარი, დონ ჟუანო...

დონ-ჟუანი.

წავიდეთ ჯმარა.

სცენა IV.

(ოთახი დონნა-ანნასი.)

დონ-ჟუანი და დონნა-ანნა.

დონნა-ანნა.

თუმცა მიგიღე, დონ-დიეგო, მაგრამ, მგონია,
რომ ჩემის ნაღვლით მოგაწყინოთ მე მხოლოდ თავი,
მოგეხსენება ქვრივ — ობლობა: როგორ მავიწყდეს?
სულ წინ მიდგია ჩემი მხვედრი და დანაკარგი.
ცრემლი ღიმილს სდევს, ვით წვიმა მზეს გაზაფ-
ხულის ჟამს.
თქვენ მაინც ნუ ხართ დაღუმებულ, ბძანეთ რაიმე.

დონ-ჟუანი.

რა მოგახსენო? ვარ გაბმული მე იმ ტკბილ ფიქრში,
რომ ღირსი ვიქმენ ყოფნად მარტოდ დონნა-ანნასთან,
რომ გხედავთ ეხლა, არა იქა, — არა მუხლდრეკილი
არცა საფლავთან ბედნიერის მიცვალებულის,
და არცა მისის მარმარილოს სტატუის წინა.

დონნა-ანნა.

ოჰ დონ-დიეგო, მაშ სიმშურვე თქვენცა გცოდნიეს?
მე არ მეგონა თუ მკვდარიცა შეგაწუხებდათ·

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ-ჟუანი.

მე სიშურვითა, დონნა-ანნავ, არ მოგახსენებ,
მიტომ რომე იგი იყო თქვენგან აღრჩეულ.

დონნა-ანნა.

არა, მე მხოლოდ აღვასრულე დედის ბძანებას:
ჩვენა ვიყავით ხელ-მოკლენი, დონ-ალვარ მდიდარ
და დედამ ხელი დონ-ალვარისთვის მიმაცემინა.

დონ-ჟუანი.

ნეტავი იმას! მას საუნჯე მეტად იაფი
ფეხთ-ქვეშ სიხარბით მიუძღვნია ანგელოზისთვის,
და აი რისთვის გაღებია სამოთხის კარი.
მაგრამ გარწმუნებთ, თუ რო ადრე მეცანით მე თქვენ,
ვერ მაჯობებდა დონ-ალვარი — რა სიხარულით
თუ ჩემსა ხარისხს, ჩემს სიმდიდრეს, ყველას გავწირავდი,
ყველას, ერთისა, ერთის თქვენის შემოხედვისთვის.
მე ვიქმნებოდი მონა თქვენის მცირის ნებისაც;
აღვასრულებდი მცირედსაც თქვენს გულის სურვილსა,
და ჩემი ფიქრი და ჩემი ცდა ის იქნებოდა,
თქვენი სიცოცხლე ყოფილიყო აღვსილი ლხინით,
როგორც მეჯლისი, მხიარული შეუწყვეტელი.
მაგრამ ვაგლახმე, ბედი ჩემი სხვაფერივ მომექცა.

დონნა-ანნა.

კმარა, დიეგო: სხვა რამ ბძანეთ; ვჰგონებ ვცოდვიდე

თქვენი მსმენელი — შორს არს ჩემგან ვისიმე ტყუვილობა.
ქვრივს ჰმართებს დაცვა ერთგულობის თვით საფლავისა
ოჰ რომ იცოდეთ, თუ დონ-ალვარს — როგორ
უყვარდი!
მას რომ ჩემს ნაცვლად მიჰსდგომოდა ეს ჩემი ბედი,
ვეჭობ მე იგი არასოდეს არ მიმუხთლავდა.
და დაჰშთებოდა ჩემდა ერთგულ ნიადაგ, მტკიცედ.

დონ-ჟუანი.

ნეტავი სმირის მოგონებით განსვენებულის
არ მიტანჯვიდე, დონნა-ანნავ, ამ ცოდვილსა გულს, —
ნუ გინდა ჩემი სასჯელი, თუმცა იქმნება,
სასჯიელისა ღირსი ვიყო.

დონნა-ანნა.

რატომ, დიეგო?
წმიდის კავშირით ხომ შეკრული არავისთან ხართ?
თუ ნამდვილ ჩემმა სიყვარულმა მიგიყოლიათ,
ხომ არ დარჩებით ცოდვილ ღმერთთან, და არცა
ჩემთან?

დონ-ჟუანი.

ამ ნებით, თქვენთანო? ჰი ღმერთო!

დონნა ანნა.

რა არს დიეგო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ რაიმე ჩემს წინაშე მიგიძღვისთ ბრალი?
აბა მიბრძანეთ!

დონ-ჟუანი.

ვერა ვერ ვიტყვი.

დონნა-ანნა.

როგორ? რა არის?
მაშ თქვენ მიბძანებთ, ბრალი გქონდესთ? აბა, რაშია?

დონ-ჟუანი.

ვერა, ვერ ვიტყვი!

დონნა-ანნა.

დონ დიეგო, საკვირველია:
გთხოვ, ჩემს თხოვნას ხომ აღმისრულებ?

დონ-ჟუანი.

ვერა და ვერა.

დონნა-ანნა.

კარგი, მაშ აგრე ყოფილხართ თქვენ ჩემი გამგონე?
ერთის წუთის წინ, გახსოვს, გახსოვს, რას მიამბობდი?
მინდა ვიყო მე თქვენი მოსამსახურე.—
დაგემდურებით უეჭველად, თუ არ მითხარი,
რა ბრალი გაქვს ჩემს წინაშე?

დონ-ჟუანი.

ვერა, ვერ გეტყვი.

FS 792
F 190/1

მაგრამ თუ გითხარ, შემიძულებ უეჭველია.

დონნა-ანნა.

გაძლევ სიტყვასა, რომ წინათვე შემინდვიხარ მე,
მაგრამ მსურს ცოდნა.

დონ-ჟუანი.

დონნა-ანნა, მე თქვენი ვიყო,
არ მოვინდომებ ამბვის ცოდნას მკვლელის, საზარის.

დონნა-ანნა.

რითა საზარის? ხომ გამტანჯეთ, მითხარით, რაღა?
მანამ შევიტყობ მე ხომ ჩემი დამემართება.
როგორ ან როდის ჩემთვის ავი რამ გემოქმედნოს?
მე ხომ თქვენ არც კი არა როდის არ მინახვიხართ?
მტერი მე არვინ არ მყოლია და არც ახლა მყავს.
მხოლოდ ერთია, ისიც მკვლელი მეუღლის ჩემის.

დონ-ჟუანი. (თავისთვის.)

საქმე გეთდება. (დონნა-ანნას) დონნა-ანნავ, მითხარით ერთი,
შესაბრალისსა დონ-ჟუანსა თქვენ არა იცნობთ?

დონნა-ანნა.

არა, მე იგი ჩემ დღეშიაც სულ არ მინახავს.

დონ-ჟუანი.

მაშ გულით მაინც სიძულვილი არა გაქვსთ მისი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დონნა-ანნა.

მაქვს მხოლოდ ესე ვალის გამო პატიოსნების.
მაგრამ ვგონებ მე, ჩემსა კითხვას გადაასხვეფრებთ —
მე უნდა გთხოვო...

დონ-ჟუანი.

ჯერ ის ბძანე, ეხლა რომ უცებ
შეხვდე დონ-ჟუანს?

დონნა-ანნა.

ოჰ მაშინ რაღა, უნდა კი ნახო,
რა რიგათ ბოროტს მე ხანჯალსა გულს განუტარებ?

დონ-ჟუანი.

აბა ხანჯალი? დამეც რაღა, ჰა გული ჩემი!

დონნა-ანნა.

რაო, რა მესმის?

დონ-ჟუანი.

მე დიეღო არა გახლავარ—
მე ვარ ჟუანი.

დონნა-ანნა.

ოჰ რა მესმის? როგორ იქნება,
მე არა მჯერა.

დონ-ჟუანი.

სწორეთ, დონნავ, ვარ დონჟუანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონნა-ანნა.

არა და არა.

დონ-ჟუანი.

როგორც გინდა ისე იფიქრე.
მე ვარ წამწყმედი, მე ვარ მკვლელი მეუღლის თქვენის,
ესეც იცოდე სინანული ჩემგან შორს არი.

დონნა-ანნა.

ოჰ! რა შევიტყე? არა მჯერა, როგორ იქნება!

დონ-ჟუანი.

მე ვარ დონ-ჟუან შენი მტრფობი, შენთვის მცოდველი.

დონნა-ანნა. (იქცევა).

ეს რაა ჩემ თავს?... სად ვარ, სად ვარ, ვჰკვდები— მიშველეთ!

დონ-ჟუანი.

ღმერთო შეგცოდე! დონნა-ანნავ, რა დაგემართა?
ერთი ხმა გამე, გამომხედე: მხედავ შენ ფეხთ ქვეშ!
შენი დიეგო, შენი მონა, მიწისა მტვერი,

დონნა-ანნა.

გამეცალენით! (სუსტის ხმით) შენ, შენ მტერო ჩემისა მშჳდობის;

შენ წარმიტაცე ყოველივე, რითაც კი ვჰსცოცხლობდი...

დონ-ჟუანი.

ტურფავ ქმნილებავ! მე ყველაფრით თავს განაცვალებ
რომ გამოვიხსნა რაც კი ავი ჩემგან გდგომიათ!
მხოლოდ მიბძანე დავჩრდომილსა შენ ფეხთა ქვეშ:
გნებავს—მოვკვდები; გნებავს—ვცოცხლობ, ვისუნ-
თქავ შენთვის,
და მხოლოდ შენთვის.

დონნა-ანნა.

მაშ თურმე თქვენ ხართ დონ-ჟუანი,
იგი უღმერთო, დამღუპველი, ნამდვილ სატანა.
რავდენის ქალის ბრუნავს თქვენზე საცოდაობა!

დონ-ჟუანი.

მათგანი ჯერეთ არცა ერთი არ მყვარებია.

დონნა-ანნა.

მაშ ნუთუ გნებავს დავიჯერო თქვენი თქმულობა—
პირველი იყოს შეყვარება დონ-ჟუანისგან,
რომ არ ეძებდეს იგი ჩემში ახალსა მსხვერპლსა!

დონ-ჟუანი.

ამით ივიქრე: რომ მინდოდეს შენი ტყუება,
გავიტყუებოდი ან იმ საწყალს გავიხსენებდი,

რომელიც შენთვის სასმენლათაც არს საზარელი?
თვით შენ გაშინჯე, აბა რით სჩანს აქ ბოროტობა?

დონნა-ანნა.

რა გაეწყობა, ძნელი არის თქვენი მიხვედრა,
მაგრამ მიკვირს მე, თუ ჩემამდინ ვით მოასწიეთ,
თუ რომ ქცანით ძნელად სიკვდილს გადურჩებოდით.

დონ ჟუანი.

რა არს სიკვდილი ერთის წამის ტკბილის შეყრისთვის?
გნებავს მოგიძღვნი უფიქრელად ჩემსა სიცოცხლეს.—

დონნა-ანნა.

თქვენ ის იფიქრეთ, თუ აქედამ როგორ გასხვიდეთ!

დონ-ჟუანი. (ჰკოცნის ხელებზე)

შემდგომ ყოვლისა, რაიც მოხდა, რაიც მასმინეთ,
კიდევღა ჰზრუნავთ დონ-ჟუანის სიცოცხლისათვის?
მაშ თქვენში არ არს სიძულვილე, ციური სულო?

დონნა-ანნა.

ახ ნეტავიმცა, შემეძლოს მე მძულვება თქვენი!
მაგრამ დრო არის რომ მიბრ ანდეთ.

დონ-ჟუანი.

როდისღა მქონდეს
მე იმედი კვლავ ხლებისა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დონნა-ანნა

მეც არ ვიცი,
როცა იქნება.

დონ-ჟუანი.

ხვალ?

დონნა-ანნა.

სადა?

დონ-ჟუანი.

აქ.

დონნა-ანნა.

მითომ გგონია?
ოჰ, დონ-ჟუანო, რო იცოდე სისუსტე გულის?

დონ-ჟუანი.

მაშ ნიშნად შეყრის მშვიდი კოცნა...

დონნა-ანნა.

წარვედ, დრო არის.

დონნა-ანნა.

მარტოკა ერთი, ცივი, მშვიდი...

დონ-ჟუანი.

ოჰ, დონ-ჟუანო,

რა დაუდგრომელ ყოფილხართ თქვენ. ჰა, ესეც კოცნა...
(იმის კარის რაკუნი)
ეს ვინ უნდა იყოს?.. დონ-ჟუანო, უშველე თავსა.

დონნა-ანნა.

მშვიდობით, დონნავ, სიხარულო, ვიდრე ნახვამდინ.
(მიდის მაგრამ ისევ შემოირბენს)
აი!...

დონ-ჟუანი.

რა არის? აი! (შემოდის კომანდორის სტატუია, დონნა-ანნა დაეცემა).

სტატუია.

მე, ვარ... მახილზე მოველ.

დონ-ჟუანი.

რა მეშველება, დონნა-ანნავ!

სტატუია.

დასტოვე ეგე,
აწ მოგივიდა აღსასრული. ჰთრთი, დონ-ჟუანო?

დონ-ჟუანი.

რას ჰქვიან თრთოლა? მე გიწოდე და გჰხარობ ნახვას.

სტატუია.

მომეცი ხელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დონ-ჟუანი.

მომიცია... ვაი, ვაი, ვა!
გამიშვი, ეი, დამანებე ერთი ეს ხელი!
ლამის წამწყვიტო... მოვჰკვდი, წავედ, ჰაი დონნა-ანნავ!

(ჩაიქცევიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდიდამ"

ოჰ, ჩემო ქალო! პატარა ადა,
მე შენი ნახვა ბევრჯერ მეწადა;
მაგრამ ერთმანეთს ჩვენ ზღვა გვაშორებს,
რომელიც მარად შფოთავს,ღრიალებს.
მე შენ ვერ გხედავ, მაგრამ გონება
მარად მაქვს შენზედ ფიქრით მოცული.
შენა ხარ ჩემი ბედნიერება:
შენში იპყრობა ჩემი წარსული!
თუ ჩემი ბედი მე მიღალატებს
და შენი ნახვა არ მეღირსება,
ჩემი ხმა მაინც, ჩემო პაწია,
წრფელსა ძილშია შამოგესმება.
თუ გინდ სიკვდილი მადგეს თავზედა
და უწყალოთა ვიტანჯებოდე,
მაინც გაიგებ ალერსს მამისას,
თვით საფლავშიაც რომა ვდნებოდე.

გიყურო, თუ ვით გაიფურჩქნები,
ვით განათლდება შენი გონება,
წუთი სოფელსა ვით შეეყრები,
(ხომ გიქვარს სოფლის შენ ამბოხება!)

ვადევნო თვალი შენს აღტაცებას,
კოცნა მოგიძღვნა მამობრიული—
მე ვინ მაღირსებს ამ ნეტარებას,
ბედისაგანა ვარ მოკლებული.
თუმცა კი მსურის უკანასკნელად
შენის ცქერითა, შვილო, ვსტკბებოდე
და შენს გათურჩქნულს უმაწვილობასა
ფარვანასავით თავს ვევლებოდე.
ოხ! შენ რომ ჩემი მძვინვარე მტრები
გირჩევდნენ მამის დავიწყებასა,
განა, შენ მაინც მე გეყვარები
და ყურს არ უგდებ მათსა რჩევასა?
ან მამის სახელს რომ გიმალავდნენ,
ვითა აღგვილსა დედა-მიწიდამ,
განა, ამას ვერ მოახერხებენ—
არ ამომრეცხავ შენის გულიდამ?
შვილო ჩემისა სიყვარულისა!
ტანჯვათა შორის შენ ხარ აღზრდილი,
ამისთვის უფრო გული მამისა
შენდამი ტრფობით არის აღვსილი.
შენთვის ტკბილია ესე სოფელი,
გელიან დღენი ნეტარებისა;
მაშ დაე გქონდეს შენ ძილი წრფელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნუ გაქვს რიდი მწუხარებისა.
იმ მთიდამ, სადაც ეხლა მე ვსდგევარ,
ჩემო პაწიავ, გიძღვნი სალამსა
და შენცა, შვილო, ნუ დაივიწყებ
მრავალ გზის ტანჯულს შენსა მამასა.
1878 წ.

სოსიკო ბაქრაძე.

სამი ლექსი თ. მიხ. ბირთვ. თუმანიშვილისა.

I.

ღ ა მ ე.

მთას მოეფარნენ
მზისა სხივები,
და განიშალნენ
ღამისა ფრთები.
ვით მოღიმარნი საყვარლის თვალნი
ცით ვარსკვლავები ზედ დაგვნათიან
და ფუფუნებით ნელნი ნიავნი
სუნნელებასა გარემოჰფქრიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლექსები

წალკოტსა ნაზად
ვარდნი ღვივიან,
ბულბულნიც ტკბილად
ზედ დამღერიან.

კამკამ წყარონი ხეივანთ შორის
იდუმალ დენით მობუტბუტებენ
და ხმანი მათნი ვით ჟღერა ჩანგის
შემოგარესა ამუსიკებენ.

მარამ უცებ რად
აღმენთო გული?
ნუთუ ჭგრძნო ამად
ჟამი აღთქმული?

ნამდვილ მოფრენით, გინდ მოჩვენებით,
მოველ, ლეილავ, მომაწყარ ხვევნა,
თვალნი აღმიგზნე ნათელ მოხედვით,
ხმითა ციურით აამე სმენა!

მოწთა ღიმილით
გამაცისკროვნე,
გიშრის შტოებით
დამაგვირგვინე!

მთვლობი ბედისა სამოთხიურის,
შევსვავ სიტკბოსა ბაგეთა შენით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოგვნატრებენ ვარსკვლავნი ზეცით,
და ვარდს ბულბული შეებრალების.

სიღნახი

2 მაისს 1838 წ.

II.

*
* *

(მიბაძვა პუშკინისადმი)

ჩუ, ქარიშხალი ვითა გრიალებს
ბნელს უდაბნოში ბუქთა მტვენითა,
ხან ნადირივით დაიღმუილებს,
ხან ატირდების ყმაწვილივითა,
ხან ვითა ჩალა დაჭქრის შრიალით
მთამოწოლილსა ბანისა ზღუდეს,
ხან დავარდნილის მოგზაურივით
უცებ ფანჯარას მოგვირაკუნებს.

დაურუებულსა ქოხსა მწირესა
ყარიბად ბჟუტავს მკვარი მგზებარე:
მარამ შენ ქალო, ქალო შენ მზესა,

რად მოიწყინე, რად ხარ მდუმარე?
ნუთუ ყურს უგდებ ბუქსა მშტვენელსა,
მკლავ მიბჯენილი ცივ ფანჯარაზედ?
ან განჭსჭრეტ ბნელსა თვალ მიმბინდველსა?
ან ჭსთქვლებ მაშვრალი ტარის ბზრიალზედ?

—

გამოიფხიზლე! დროა ლხინისა!
განვდევნოთ ჭმუნვა სიმღერის ხმითა,
დიდიხანია ჯამი თიხისა
განვერცხლებული გელის ღვინითა.
გამოიფხიზლე! დიდიხანია
ოთხ სიმიანი, გრძნების სათქვავად,
ჩონგური ჩემი მომართულია
და მზად ვარ მასზედ მე ხელისყოფად.

—

ჩუ, ქარიშხალი აღზვავებული
ვითა გვიქოლავს ბუქითა კარსა...
შევსვათ ფიალა აღქაფებული,—
გული ეწევა ნეტარებასა.
აღტაცებითა დავაწკრიალებ
ჩონგურსა ჩემსა ოთხსიმიანსა,
და სიმღერის ხმით დაცავაყრუებ
ბუქის შრიალსა, ქარის გრიალსა.

1838 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

*
* *

როდის იქნება, შემასხას ფრთები,
გავფრენილვიყო შორს ამა სოფლით,
მუნ სად ცხოვრების ნათელ მთიები
არ დაბნელდება ჭმუნვის ღრუბლით.

სად სიხარული ვით წყარო ნელი
მომდინარეობს დაუსრულებლად,
სად სიტკბოება არს უსყიდელი
და სიყვარული სულს ათბობს მარად.

მაშინ მე მსუბუქ, ვრცელსა ჴაერსა,
ვით ნელი სიო, მოვეფინები,
შევისხავ ნათელს, შევსვავ სულნელსა
და მზეს და მთვარეს ვემნათობები.

ამა სოფლისაც არ დავივიწყებ;
ზოგჯერ ვით ცრემლი სიბრალულისა
მოვევლინები და ვანუგეშებ
ბედსა კაცობრივს ბნელსა და მწირსა.

მარამ ეს მოსვლა იქნება წამი,
ვითა ყვავილზე დილის ნამი;
შევეთვისები მზისა სხივებსა
და მივიქცევი კვლავცა ედემსა.

ეხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება.

მე განზრახვა მაქვს ამ სტატიაში გამოვხატო ორიოდე სიტყვით ჩვენი ეხლანდელი ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობა. ის ამ უკანასკნელ დროს შეიცვალა, ბევრად შეიცვალა; მაგრამ რაში შესდგება ეს ცვლილება და რა იმედს გვაძლევს ის მომავალში, ამაზე არაფერი არა თქმულა აქამდი მწერლობაში.

საკვირველიც არ არის, რომ ამ ცვლილებაზე არავინ ხმას არ იღებს. ეს მოხდა იმიტომ, რომ ყოველ ახალ საქმეს, ცვლილებას თან მოჰყვავს ახალი კაცები. ქართულ მწერლობაში კი ისე წავიდა საქმე, რომ იმის მდგომარეობა თუმცა მრიელ გამოიცვალა, მაგრამ იმის მედროშენი კი ისევ ისინი დარჩნენ, რომელნიც იყვნენ ადრე.

ამ ხუთიოდ, ათიოდ წლის წინათ და ეხლა სულ სხვა-და-სხვა კილოთ ლაპარაკობდა ქართული მწერ-

ლობა, მაგრამ ვინც ამ ათიოდ წლის წინათ მუშაობდა ქართულ მწერლობისთვის, ისვე დარჩა ეხლაც. ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და სხვ. არ გამოსალმებიან ქართულ მწერლობას ამ უკანასკნელ თუთხმეტიოდ, ათიოდ წელიწადს.

მაგრამ რაც ეპატიებათ ამ მწერლებს, ის ვერ ეპატიება მე, რომელსაც არ მიმიღია დიდი მონაწილეობა იმათ შრომაში და დრო და ღონისძიება მქონია აუჩქარებლივ თვალ-ყური მედევნა იმათ მიმართულებისათვის.

ვხედავ დიდ ცვლილებას ამ უკანასკნელ სამიოდ წლის ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში და მსურს ეს ვუჩვენო ცხადად მკითხველს.

ხალხი არ ჰგავს ყაზარმას და ხალხის შვილი—სალდათს. ხალხში მოიპოვება ყოველთვის ასიოდ, ათიოდ კაცი, რომელიც ბევრად მაღლა დგას თავის მოძმეებზე ან ჭკუით, ან პატიოსნებით, კეთილ-სინიდისიანობით. ამგვარათ გამორჩეული კაცები ყოველთვის სცდილობენ გაანათლონ თავიანთი მოძმეები და გააუკეთესონ იმათი ზნეობა. ამგვარათ აღმაღლებული პირები ბევრს

ქადაგობენ, ბევრს სწერენ თავიანთ ქვეყნის სიკე-თისთვის. ესენი არიან წინწამძღვრელნი კაცობრიო-ბისა, იმის ნათელი. მაგრამ ამათი რიცხვი ცო-ტაა. უფრო ხალხს ჰყავს იმათზე მეტი: ზარმაცი, უხეირო, უგნო და უმეცარი ადამიანი. ეს წვრილ-მანი ადამიანები არ ცდილობენ არას დროს ახალ გზის გაკვალვას, ისინი მხოლოდ მუშაობენ ძველ გზაზე, ასწორებენ იმის ორღო-ჩოღროებს, ხიდებს უკეთებენ და სწმენდენ უფრო გვარ ნაგავს, თუმც არ იციან სად მიიყვანს იმათ ეს ძველი გზა, რომ-ლისთვისაც ისინი ამდენს იწუხებიან ოფლში.

ამ თუთხმეტიოდ წლის წინათ ჩვენ საზოგადოე-ბაში შემოვიდა ახალი თაობა ახალი აზრით, ახა-ლი სწავლით. ის გვიქადაგებდა გლეხების განთა-ვისუფლებას, დაბალ ხალხის განათლებას, ჩქარ და სწორე სამართალს და სხვ.; ერთი სიტყვით სუყვე-ლა იმას, რაც ჩვენდა დაუფიქრად, ჩაიწერა მაშინ-დელ რუსულ ჟურნალებში.

«საქართველოს მოამბე», პირველდროინდელი «დროება» (1866 —1874 წ.), «კრებული» და უმე-ტესი ნაწილი «მნათობისა» იყო ქადაგება და მხო-ლოდ ქადაგება. აიღებდით ლექსს; ის თქვენ არ

დაგატკბობდათ მუზიკალურ რითმებით ან ბუნების აღწერით. არა, იმას სხვა მიზანი ჰქონდა. წავიდოდა, ივლიდა, ივლიდა და ბოლოს მაინც ან გლეხის თავისუფლებაზე დაგუგუნებდა ან ხალხის სიყვარულზე და განათლებაზე. აიღებდით მოთხრობას, რომანს. თქვენ ვერ იპოვიდით იქ საყვარლების დაწვრილებით ამბავს, იმათ ტანჯვას და სიტკბოებას; ვერ იპოვიდით იქ ვერც ლამაზ სურათებს. მთელი მოთხრობა დაწერილი იყო ხოლმე ან ჩვენებურ ბატონების და ვაჭრების გასაკიცხავად ან მუშა კაცის სანუგეშებლად. იგივე ითქმის ყველა აღრინდელ ქართულ ჟურნალის ან გაზეთის ნაწილებზე. უკანასკნელი თავფურცელი რა არის? მაგრამ იქაც კი საცინელ ანდაზების მაგიერ იპოვიდით დარიგებას: ესე და ესე უნდა მოიქცე, რომ არ გაცივდე; ეს და ეს წიგნი უნდა წაიკითხო, რომ არ გაბრიყვდე. ფაქტები, ახალი ამბები იყო ცოტა ზემოხსენებულ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ რაც იყო მხოლოდ იმისთვის იყო, რომ რამე ახალი აზრის სიმართლე დაემტკიცებინათ ან ძველი ცრუ მორწმუნება მოესპოთ. ვინ იფიქრებდა მაშინ «მაზანდებზე», ყოველდღიურ გაზეთებზე, სხვა-და-სხვა წვრილმან ტელეგრამმებზე და კორრესპონდენციებზე მოსავლის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამასახლისების შესახებ. მაშინ იწერებოდა უჩვე-ლად სტატია და არა პატარა შენიშვნა, მოთხრობა და არა უმნიშვნელო ფოტოგრაფიული სცენა, თვიური და წლიური «მიმოხილვა» და არა «დღიური».

მაგრამ 1875 წ. სურათი გამოიცვალა. ჟურნალებმა სული დალიეს, «დროებამ» კი იწყო კვირაში სამჯერ გამოსვლა. ამის გამო ის დაპატარავდა და ქადაგების, სტატიების ადგილი დაიჭირეს წვრილმან ამბებმა. ერთი სიტყვით «დროება» აღარ იყო, ამ წლიდამ დაწყობილი, საზოგადოების წინამძღოლი, იმის წინასწარმეტყველი, ახალის გზის გამნათველი, ის შეურიგდა საზოგადოებას და ჰკითხა: «რა გნებავს მოგართვაო?» ჩქარა გაიგო «დროებამ» რა იამება ჩვენ მკითხველებს და მას აქეთ ის ცდილობს ყოველ ღონისძიებით დააკმაყოფილოს იმათი დღიური მოთხოვნილებს.

ერთი სიტყვით ქართულ გაზეთმა გახადა თავის მიზნათ ყოველგვარ ახალ ამბების და გასართობ არაკების გავრცელება საზოგადოებაში, გახადა თავის მიზნათ ის, რაც აქვს მიზნათ უმეტეს ნაწილს რუსულ და ევროპიულ ჟურნალ-გაზეთებისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1877 წლიდამ დაიწყო გამოსვლა ახალმა ქართულმა გაზეთმა «ივერიამ», რომლის რედაქტორათ გახდა პირველი მქადაგებელი ახალ აზრებისა ქართულ მწერლობაში, თავის დროზე განთქმულ «საქართველოს მოამბის» რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე: ბევრს ეგონა, რომ ილ. ჭავჭავაძე დაგვიბრუნებს იმას რაც დავკარგეთ; გამოსცემს ჟურნალ-გაზეთს, რომელსაც ექნება მტკიცე რჯული, თავის საფუძვლიანი აზრი ჩვენ საზოგადოებრივ წყობილობაზე და არ ეგვანება «დროებას», რომელიც გახდა ახალ ამბების და ანდაზების პაწაწა ფურცლათ. მართლადაც, «საქართველოს მოამბის» რედაქტორმა მოიგონა თავის ძველებური კილო და მოჰყვა ქადაგობას. ეს ქადაგობა გამოვიდა მკითხველების წინ შეხვეული მძიმე და საიდუმლო (ე. ი. გაუგებარ) სიტყვებში და ყველა დააფთხო; მერე იცვალა ტანისამოსი, ეჩვენა ქვეყანას მარტივად, შინაურულად ჩაცმული და ამ დროს ნამდვილად აღმოჩნდა, რომ «ივერიას» არ შეუძლიან ახალი, ცოცხალი აზრის თქმა, რომ ის იმეორებს თავის ძველ «მწამსს» დუნეთ, რომ ის დაუმოყვრდა უნიჭო მწერლებს, რომელნიც ღეჭვენ *) საანბანო ჭეშმარიტებებს, მაგ.

*) ეს მართალი სიტყვა წასცდა რუს. გაზ. «ობზორს».

ეროვნული ბიბლიოთეკა

«თავის მომმე გიყვარდესო» (ბეჭკრულამის სტატი-ები) ან «ჭკუასა შენსასა ნუ მისცემ დაძინებასა» (წაკოლა—ცის სტატიები) და სხვ.

ერთი სიტყვით ძველ გზაზე დაბრუნების ცდამ ჩაიარა ფუჭად და «ივერია» იძულებული გახდა მიეღო იგივე მიმართულება, რა მიმართულებაც მიიღო «დროებამ»: «ივერიაში» იკითხებოდა მხოლოდ კორრესპონდენცია, რომელიც შეგვატყობინებდა ახალ ამბებს, საინტერესოებს ყველასთვის ერთგვარად, როგორც ახალგაზდობისთვის, ისეთვე ძველ თაობისათვის, როგორც განათლებულებისათვის, ისე უმეცრებისათვის; ახალ ამბებს, რომელნიც არ გვიღიმებდნენ ახალ აზრებს, არ გვაყენებდნენ ახალ გზაზე.

ამის გამო «ივერიისა» და «დროების» შუა იყო მხოლოდ ძრიელ მცირე განსხვავება. «დროება» გამოდიოდა ყოველ დღე, «ივერია»—ყოველ კვირა, და ამის გამო «ივერია» ახალ ამბების და გასართობ მოთხრობების შეტყობინებით იგვიანებდა და ნაკლებად აკმაყოფილებდა მკითხველს, ვინამც ყოველ დღიური «დროება». ამას იქით «ივერია» გამოვა თვეში ერთხელ და თუ სულ მთლად არ შეიცვალა თავის ხასიათი, უფრო დაუვარდება «დროე-

ბასა», რადგან თვეში ერთხელ გამომსვლელ ჟურ-ნალს შეუძლიან უძღვნას თავის ფურცლები მხოლოდ ძველ, დამჭკნარ ამბებს. (მაგ. ისტორიულ, ეტნოგრაფიულ და საზოგადოთ სამეცნიერო სტატიებს). ამ შემთხვევაში ჟურნალის დახსნა საბოლოვო დაღუპვიდამ შეუძლიანთ მარტო იმ რომანებს, რომელნიც იწერებიან მკითხველების გასართობლათ და იმათ პირუტყვულ გრძნობების გასაღვიძებლათ. მაგრამ იმედია, «ივერია» «ცისკრობასა» არას დროს არ იქმს და არ იხმარებს ამ გამრყვნელ ღონისძიებას.

მე ზემოთ ვთქვი: ჩვენი ჟურნალ-გაზეთები დაადგნენ იმ გზას, რა გზასაც დიდიხანია ადგია რუსული და სხვა ევროპიული ჟურნალ-გაზეთობა.

ამას საჭიროა ეხლა დაუმატოთ, რომ ამ ორ მწერლობის შუა კარგა დიდი განსხვავებაც არის. ჯერ ერთი, რომ ჩვენ საზოგადოებაში ისე არ არის გავრცელებული ცნობის მოყვარეობა, რომ შეიძლებოდეს იმგვარ დიდ გაზეთების გამოცემა, როგორებსაც ვხედავთ ევროპაში. ქართული პატარა გაზეთი კი, შეძლებას მოკლებული, ჩვენ ქვეყნის ამბებსაც კი ვერ ასწრობს შეგიატყობინოს დროზე. ვისაც ინჩი ესმის რუსულ ენაში, ეტანება რუსულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებს, რადგან ამათ მეტი ღონისძიება აქვთ უფრო ჩქარა და დაწვრილებით მოგვიტანონ ახალი ამბები.

ქართული გაზეთი ვერ აკმაყოფილებს ვერც იმ ქართველს, რომელმაც იცის მხოლოდ თავისი ენა, რადგან ქართველ მწერლების და ხალხის შუა გაგლილია ბედით ღრმა ხევი. უნივერსიტეტელმა განათლებულმა კაცმა არ იცის როგორ დაელაპარაკოს შინაურად ნასწავლს. იმათ ერთმანეთისა არ ესმით, თითქო სხვა და სხვა მორეულ ქვეყნებში იყვნენ დაბადებულები. ჩვენებურ ჟურნალისტს არა აქვს ისეთი მსუბუქი, ადვილი გასაგები ენა და ცოდნა რომ თავისკენ მოიზიდოს უმეცარ მკითხველის გული. ცარიელი ტელეგრამმების ბეჭდვა იმათ მნიშვნელობის აუხსნელათ, სხვა და სხვა ევროპიულ სიტყვების უადგილოთ ხმარება, «ინტერესების», «ტრაქტატების» და სხვა ამ გვარების ყველგან ჩაჩხერა და სხვ., უეჭველია, ბევრად აფთხობს ქართველ მკითხველს, რომელსაც არაფერი არ გაეგება ეხლანდელ ევროპის პოლიტიკურ მდგომარებისა, მაგრამ გაზეთს კი იღებს, რომ შეიტყოს ეს.

ევროპიული გაზეთები თავიანთ მკითხველებს აკმაყოფილებენ კიდევ სხვაფრივაც. ევროპიული

«მოამბე» როცა გიამბობთ რამე ახალს, უმეტესად ამის გამო თავის შეხედულობასაც გამოიჩენს. ეს შეხედულობა, აზრი არის მასთანავე ნაყოფი არა მარტო «მოამბის» რედაქტორისა, არამედ საზოგადოების რომელიმე ნაწილისაც. საფრანგეთში თითქმის ყოველ გაზეთს უნდა ჰქონდეს რამე ფერი, (უფერულობა იმისთვის სიკვდილია), უნდა იყოს გამომთქმელი ხალხის რომელიმე ნაწილისა, უნდა იყოს ან ბონაპარტიელი, ლეგიტიმური, ორლეანური, სოციალისტური, ან რესპუბლიკური. იგივე ითქმის სხვა ევროპიულ გაზეთებზედაც. რუსულ გაზეთებსაც კი აქვთ ფერი. ყველამ იცის რა ხალხის გაზეთია «მოსკოვის უწყებანი» ან «რუსული სიმართლე».

ერთი სიტყვით ყოველი ევროპიული «მოამბე» გრძნობს მოთხოვნილებას აჰყვეს მთელ საზოგადოებას ან იმის რომელიმე ნაწილს და გამოსთქვას იმის მწუხარება და სიხარული. საზოგადოებაც სიამოვნებით კითხულობს გაზეთს, რადგან ჰხედავს იმაში თავის აზრებს ლამაზ ლიტერატურულ ფორმაში გახვეულებს, დაგვირგვინებულებს მახვილ შაირით ან მჭევრ-მეტყველობის შუშხუნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სულ სასიამოვნო ამბავი იქნებოდა, თუ რომ ერთ გარემოებას არ ჩეეშხამებინა ჩვენთვის ეს სიამოვნება. უნდა გვახსოვდეს, მკითხველო, რომ მწერლობა და იმის შეყვარება—განათლების, სწავლის ნაყოფია და სწავლაც მეტად ნაზი, განებივრებული, ჭირვეული არსებაა, იმის გულის მოგება შეიძლება მხოლოდ შეძლების მქონე კაცისათვის, რომელსაც დრო აქვს იმას დასდიოს და მუყაითად მოუაროს; ამიტომაც განათლებულ ევროპაში გაზეთები ემსახურებიან განათლებულებს, რომელნიც არიან მასთანავე უმეტეს ნაწილად შეძლებული პირები....

მადლობა ღმერთს! ამ მდგომარეობაში არ არის ქართული ჟურნალ-გაზეთობა. ის მართალია შეურიგდა ჩვენ ნახევრად განათლებულ საზოგადოებას, ცდილობს დროზე შეატყობინოს, რაც იმას იამება, ცდილობს გაართოს ის ლექსებით და მოთხრობებით, რომელნიც არ შეაწუხებენ, არ გაადვიძებენ იმას ღრმა ძილისაგან; მაგრამ ამასთანავე ქართული ჟურნალ-გაზეთობა თაყვანს არ სცემს იმდენათ ჩვენ ნახევრად განათლებულ საზოგადოებას, რომ ევროპიულ გაზეთებსავით წაასხალისოს ის მოდნურ უგვარობის ჩადენაში და ცრუ-მორწმუნებაების გავრცელებაში.

ევროპაში შეძლებულმა კაცმა რაც უნდა ტუტუცობა ან უსვინიდისობა ჩაიდინოს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყოველთვის მოიპოვება იმისთანა მწერალი, რომელიც, რო დაასაჩუქროთ, ქვეყანას დააყრუებს ამ ტუტუცობის და უსვინიდისობის განთქმით.

მართალია, ესვე უგვარობა მასხარათ აიგდება სხვა გაზეთებში, მაგრამ გულ-გრილად უყურებ ამ განკიცხვას, რადგან ეჭვში ხარ, ვინ იცის ეს გამკიცხავი, შესყიდული მტყუანიაო.

ამ გვარი ეჭვი ჩვენში, მადლობა ღმერთს, სანამ უადგილოა. ქართული ჟურნალ-გაზეთები კვერს არა უკრავენ ყოველ საზოგადოების შეცდომას.

მართალია ქართული ჟურნალ-გაზეთობა აღარ კისრულობს თავის ძველ როლს საშობლოს მასწავლებლისას და წინასწარ-მეტყველისას, მაგრამ არც მთლად ურიგდება თავის ახალ მკითხველს და ხშირად ჩუმად არის, როცა ჩვენი მითომ განათლებული საზოგადოება აღელვებულია რამე ახალ ამბით. მოიგონეთ, მაგალითად, ქართულ გაზეთების შარ-შანდელი სიჩუმე, ანუ უკეთ ვთქვათ, მხდალი ბუტბუტი სიღნაღის არეულობაზე და ანდრეევსკის ქალის მკვლელობაზე; ეს ორი საქმე დღე და ღამ მო-

სცენებას არ აძლევდა ქართველ განათლებულებს, ათასი აზრი გამოითქმებოდა ამ საქმეების გამო იმათგან და ქართული გაზეთები კი ჩუმათ იყვნენ. ამ ორმა ამაღელვებელმა საქმემ იმათში არ დაჰბადა არც ერთი ახალი აზრი, არ მისცემინა პასუხი მკითხველის ცნობის მოყვარეობაზე, არ აჰყვა საზოგადოებას, არ დაუკრა იმას ტაში და არც უკიყანა.

ქართულ ჟურნალ-გაზეთობამ ირჩივა უფერულობა, რომელიც რასაკვირველია ბევრად სჯობია ჭრელ საეჭვო ფეროვნებას ევროპიელ გაზეთებისას, და ბევრად დაუფარდება ადრინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთობის ქადაგებას.

მოვიყვანთ აქ რამდენიმე მაგალითს.

მოიგონეთ ის მწერალი, რომელიც ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა ქართველ მკითხველებზე ამ ათიოდ-თხუთმეტიოდ წლის წინათ: ილ. ჭავჭავაძე. იმის მაგიერობა ამ უკანასკნელ სამიოდ-ოთხიოდ წელს არავის არ უკისრნია, ისეთ პოეტი მოქმედობს ქართულ ლიტერატურის ასპარეზზე, თუმც იმის მეასედი გავლენა არა აქვს, რაც ადრე ჰქონდა. რატომ? ამას გაიგებთ ადვილად, რომ შეადაროთ იმის ძველი და ახალი ლექსები.

აიღეთ გინდ «მუშა» და «პოეტი», რომელნიც იყვნენ დაბეჭდილნი «საქართველოს მოამბის» პირველ ნომრებში და ისე ძლიერ მოსწონდნენ უკეთეს ახალგაზრდობას, რომ იზეპირებდა კიდეც ამათ. შეადარეთ ეხლა ეს ლექსები შარშანდელ პოემას იგივე პოეტისას: «დიმიტრი თავდადებული», რომელიც მოიწონა ერთმა, ორმა მწერალმა, წაიკითხეს «ივერიის» მკითხველებმა და ჩქარა დაივიწყეს. ზოგმა წაიბუტბუტა: «ჭავჭავაძეს აღარ აქვსო ძველებური პოეტიური ნიჭი» და ამით გათავდა ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა თავის წამკითხავებზე ილ. ჭავჭავაძის ახალმა ლექსმა. მაგრამ რისგან წარმოსდგა, რომ ასე ცივად დახვდნენ იმას? ნუ თუ მართლა ჭავჭავაძის პოეტიური ნიჭი დასუსტდა? არა, ეს არ ითქმის. «დიმიტრი თავდადებული» დაწერილია უფრო მსუბუქ ლექსით და ცოცხალ ხალხურ ენით, ვინემც «მუშა» ან «პოეტი». მართალია თქვენ შეგიძლიანთ მითხრათ, რომ ის არ არის მდიდარი ნამდვილ პოეზიით ე. ი. ვერ იპოვით ცოცხალ სურათებს, დახატულებს ხელოვნურად, მრავალ ფეროვან ენით, მაგრამ ვერც ეს შენიშვნა აგვიხსნის რასმეს, რადგან ილ. ჭავჭავაძის ლექსს ადრეც ნეკრასოვის ლექსის ხმა ჰქონდა დაკარგნილი; იმის

ხელოვნობით არავინ ჰკვირობდა. ყველა იმის მომწონი იმახდა მარტო: რა კარგი გრძნობა არის იმაში გამოთქმული, რა სწორე აზრია გამოყვანილიო. არც ერთი თითქმის ილ. ჭავჭავაძის თაყვანის მცემი არ იტყოდა იმაზე: მშვენიერი მცოდნეაო კაცის გულისა, საამო ჟღეროვან ლექსის დამწერიაო. ილ. ჭავჭავაძის და ხან-და-ხან აკ. წერეთლის ლექსს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ათიოდ, თუთხმეტიოდ წლის წინათ ჩვენ საზოგადოებაში იმიტომ რომ ისინი უპასუხებდნენ იმ კითხვებზე, რომელნიც დღე და ღამ მოსვენებას არ აძლევდნენ ჩვენ განათლებულებს. ჩვენ ვპოულობდით ამ ლექსებში ახალ გრძნობას, ახალ აზრებს.

აიღეთ «მუშა». ის დაიწერა იმ დროს, როცა ჩვენი განათლებულები თავიდამ ფეხის ფრჩხილებამდი ბატონები იყვნენ, გარდა ორიოდ ახალგაზდასი. დაცინვა ამ უგულო ბატონობაზე და ტირილი «მუშა კაცის» უბედურობაზე ახალი რამ იყო ჩვენ მწერლობაში. იგივე ითქმის «პოეტზე». ამ ლექსის დაბადებამდე თითქმის მთელი ქართული პოეზია ჩაყლაპული იყო «ვარდ და ბულბულის», «წალკოტის და იადონის», «აშიყ ჭიკჭიკის» სიმღერებით, არავის არ აგონდებოდა, რომ პოეტი

უნდა იყოს ხალხის შვილი და იმისთვის სულდგმუ-ლობდეს. ილ. ჭავჭავაძის «პოეტმა» გვითხრა ახა-ლი სიტყვა, კაცთ მოყვარეობით სავსე, მქებელი ძმობის და თანასწორობის.

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, (ამბობს ილ. ჭავჭავაძის პოეტი)

რომ წარუძღვე წინა ერსა,
რომ ხალხისა მომმედ ვიყო
ჭმუნვაში და სიხარულში;
ხალხის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცედ გული.
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ ამიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ: მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ხალხსაც ტანჯვის ცრემლსა!

ახლა გადიკითხეთ «დიმიტრი თავდადებული» და მიბძანეთ, რაა ის ახალი აზრი, რომელსაც ის გამოგვითქვამს. იქ პოეტი დამღერის მეფეს, რომელმაც თავის დაღუპვა ირჩივნა, თავისა და თავის ქვეყნის დაღუპვას ერთად. აქ ძლიერი გმირობა არაფერია, მაგრამ რაც უნდა დიდი გმირობა იყოს,

ის არაფერს ახალს არ გვეუბნება. ძველ ანბანში სწერია: გიყვარდეს მოყმე შენიო ვითა თავი შენიო; თავ-განწირვით გიყვარდეს სამშობლოო. ამგვარ უეჭველო ჭეშმარიტებაზე სიმღერა ქნილა, რომელსაც თავში გვერევა ათასი ძნელი გადასაწყვეტი საგანი, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფრად გვეჭაშნიკება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ასჯერ და ათასჯერ მეტი ზედმოქმედობა ექნებოდა ჩვენზე ილ. ჭავჭავაძის პოემას, თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზდა, ცხოვრებისაგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთ ლუკმა პურის შოვნაზე. აბა ერთი დეეხატა სწორედ ილ. ჭავჭავაძეს, რამდენჯერ ეცემა ხოლმე ტალახში ჩვენებური კაცი, რამდენჯერ ივიწყებს ის თავის წმინდა გრძნობას, რომ შიმშილით არ მოკვდეს, რამდენ სილასა სჭამს, რომ უბრალოთ არ დაიღუპოს, რა გარემოება აკვლევინებს თავს საპყრობილეში ახალგაზდა, შეძლებულ, განათლებულ კაცს, რა ადვილია ჩვენებური გლეხის დაქცევა და დანელება და მაშინ დარწმუნებული იყავით ილ. ჭავჭავაძის ახალ პოემას ისევე დიდი გავლენა ექნებოდა ჩვენში, როგორიც ჰქონდა იმის «მუშას» და «პოეტს» ან ნეკრასოვის: «Размышленія у параднаго подъѣзда» ან ვიქტორ ჰიუგოს: «Les chatiments». იგივე

ითქმის აკ. წერეთლის ზოგიერთ ძველ და ახალ ლექსებზე. ამ მწერალს ადრე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მწერლობაში, ვინამც ილ. ჭავჭავაძეს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ პოეტიური ნიჭი ამისაზე ნაკლები ჰქონდა, არამედ იმიტომ რომ დაშორებული იყო ის იმ ახალგაზდობისგან, რომელსაც დააჩნდა რუსულ უკეთეს ჟურნალების ბეჭედი *). მაგრამ ვერც აკ. წერეთელმა აიცილა სრულებით თავიდამ ამ ჟურნალების, ანუ უკეთ ვთქვათ, ჟურნალის გავლენა და იმის «მუშურს» ილ. ჭავჭავაძის ლექსებზე ნაკლებად არ მოჰყვანდა ალტაცებაში ჩვენი დაწინაურებული საზოგადოება, იმიტომ რომ ამ «მუშურში» გამოითქმებოდა იგივე სატირა, იგივე რჯული, რომლის მომტანნი იყვნენ რუსეთში ნეკრასოვი, დობროლიუბოვი და იმათი ამხანაგები და ჩვენში—ილ. ჭავჭავაძე.

მაგრამ ბევრმა წყალმა ჩაიარა «მუშურის» შემდეგ და ბოლოს დროს კიდევ დაგვხდა აკ. წერეთელი თავის ლექსებით «დროებაში». მარშან იმან დაბეჭდა სხვათა შორის ორი ლექსი: პოემა «ორი ქარ-

*) ამაზე იმედი მაქვს უფრო დაწვრილებით მოველაპარაკო მკითხველს «ალმანახის» შემდეგ წიგნში, როდესაც წარმოვუდგენ ახალ მწერლების სურათს ცალ-ცალკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველი», და «სხვა და სხვა ერი». პირველში აღწერილია ძველ ქართველების მამაცობა; მეორეში აღწერაა სხვა-და-სხვა ერის თვისებისა; სამოთხეში ღმერთი უპირატესობას აძლევს ფრანცუზებს, რომელთაც თავის დროშაზე

დასწერეს: «თავისუფლება,
ძმობა და სიყვარული
ვისაც არ ჰსურდეს ქვეყნისთვის,
ღვთისაგან იყოს კრული!»
სწავლა და ხელოვნება,
სიბრძნე და მეცნიერება
მისათვის უნდათ, რომ სხვებსაც
მისცენ მათ ბედნიერება!
შრომობენ შესანიშნავად,
გულ-გახსნით, პირ მომცინარად
და ჯერ არავის უნახავსთ
უსაქმურად და მძინარად.

როგორც ხედავთ, მკითხველო, არც პირველ და არც მეორე ლექსში აზრი არ არის ახალი, ღირს-შესანიშნავი; ყველამ კარგად იცოდა უფ. ა. წერეთლის ლექსების გამოსვლამდისაც, რომ ძველი ქართველები განთქმულნი იყვნენ თავიანთ მამაცობით და მეტად მოსაწონი რამ არის თავისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, მშობის და სიყვარულის სურვილი ქვეყნის-თვის, როგორადაც სწავლის და ხელოვნების, სიბრძის და მეცნიერების ხმარება საზოგადო სიკეთის-თვის. ამგვარ ადამის-ძის მკელ ჭეშმარიტებაების დამტკიცება ვერ დააყრიდა ჩვენს ვერც პოეტს, აკ. წერეთელზე უფრო ნიჭიანს. იმათთვის წერა მოუხდება მხოლოდ გენიოსს; მხოლოდ იმას შეუძლიან გამოსძებნოს უეჭვო ჭეშმარიტებაში ახალი, ჯერ არ ნახული სხვებისაგან კუთხეები და გამოგვიხატოს ესენი ახალ-ფეროვან წამლებით.

აქ მოყვანილი მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ ეხლანდელ ქართულ გაზეთების მიმართულების გავლენა ვერ აიცდინეს თავიდამ ვერც იმისთანა ნიჭიერმა პოეტებმა, როგორც ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი.

ვიმეორებ: ქართული გაზეთი ან ჟურნალი აღარ არის თავის საზოგადოების წინამძღოლი, ის არის ეხლა მხოლოდ ამ საზოგადოების თანასწორი, ისიც გამოთქმობი და იმისავე მღეჭველი დაობებულ ჭეშმარიტებაების.

მაგრამ ყველგან გამოტყვრება ხოლმე იმისთანა გარემოება, რომელიც თავის ხასიათით სრულე-

ბით არ ეთანახმება იმასთან მომდინარე გარემოე-ბაებს. «ერთი ძლიერ ხუცესსაც შესცდებაო». შარ-შანდელ ქართულ მწერლობაში ჩვენდა მოულოდნე-ლად დაგვხდა ორიოდ ნაწერი, რომელიც თავის მიმართულობით სრულებით არ ეთანხმებოდა მთელ ქართულ ჟურნალ-გაზეთობას. იგივე აკ. წერეთლის სხვა ლექსი: «თვალების ახილვა», («დროების» № 80) ბავრელის «ზამთარი» და მეტად «არტაჯა-ნიდამ წერილი» («ივერია» № 27) და «პოლიტი-კური მიმოხილვა» ზოგიერთ ნომერში «ივერიისა», მაგალითად ბერლინის ყრილობის შესახებ, დაწერილ-ნი არიან ცხადად იმ განზრახვით, რომ ჩვენმა მი-თომ განათლებულმა საზოგადოებამ გაიგოს თავის ეხლანდელი მდგომარეობა და შესცვალოს ის. აქ ხსენებულ თხზულებაებში ისმის ცხადად არა ჩვეუ-ლებრივი ახალ ქართულ მწერლობაში ქადაგება, სურ-ვილი ახალ გზაზე ხალხის დაყენებისა.

«თვალის ახილვის» დამწერს დაჰკარგვია ჭაბუ-კობის სათვალე და ნათლად უნახავს ამაოება ამ ცრუ და მუხთალ სოფლის. ამ სურათით გულმოკლული გვიამბებს:

მსაჯულს ვსთხოვე სამართალი;
მაგრამ საწყლად რომ წავდექი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამარიდა მანცა თვალი!...
ზნეობითა დაჩაგრულსა
მომაგონდა მე მოძღვარი;
მივველ... ისიც მომეგება,
გადამსახა ლოცვით ჯვარი.
ჩემი ტანჯვა მოისმინა,
აუჩჩვილდა მასაც გული.
მკითხა: «შვილო, დაცემის დროს
ხომ არ დაგკარგვია ფული?»

ვერც ნათესავებმა და საყვარელმა ნუგეში სცეს გულმოკლულს და დაჩაგრულსა. «დიდო მგელო! შენ სჯობიხარ, ამბობს გამწარებულად პოეტი, ნათესავს და მეგობარსა; შენ თუ გშიან მოიტაცებ მთელ-ჯოგიდგან ერთსა ცხვარსა; ისინი კი გამაძღრებიც არ დაზოგვენ არცა ერთსა!... თვალ-მაქცობით ატყუებენ დაბლა კაცს და მაღლა ღმერთსა! კბილ-ბასრო და ბჭყალ-მახვილო, გარეულო ქატუნის!... ვინც რომ შენ არ გამჯობინებს საყვარელსა... ვერ უცვნია!»

ბავრელის «ზამთარი» და მეტად «არტაანიდამ წერილი» ცხოველ სურათებით გვიხატავს, რა შეუძლიან გადაყრუებულ ალაგას ჩინოვნიკს. ის მეფეა თავის სამფლობელოში. «აბა—ის ნავაჭრ ფულებში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის სადგან, შერეულა ერთი ყალბი აზრი იმასაც ფრთხილ ეს აზრი უხეიროთ მიეცა სალდათისთვის ხურდაში; სალდათს უცვნია აზრის სიყალბე და წარუდგენია გოროდნიჩისათვის. პოლიციის მოხელეები დიდ აქლემის ოდენა საქმეს ისე მნიშვნელობას არ აძლევენ, როგორც ნემსის ოდენასა. თუ სადმე შენიშნეს მაგისთანა საქმე, ეცემიან როგორც ქორი ქათამს, რადგან ქორმა იცის, რომ ის ქათამი იმის მუცელს გააძღობს... მაშინვე შედგება ფიცხელი გამოძიება: ჰაი როგორ და საიდამ მოხდა ეს?... კაცი, რომელსაც უცხოვრია სათათრეში და მაგისთანა წმინდათ თავის დღეში არ დაურთავს, რასაკვირველია, გაშეშდა და არ იცოდა, თუ რომელ ერთ კითხვაზედ მიეცა პასუხი. კაცს ბრალი დაედვა; დაამწყვდიეს, მაღაზია დაუბეჭდეს—ვაჭრობა გაუჩერეს. საწყალს შიშ-კანკალისაგან სიყვითლე დაემართა. როცა სიარულის ჩარა აღარა ჰქონდა, მაშინ შეიყვანეს საავადმყოფოში და შეიყვანეს იმისთანა ალაგას, სადაც იყო ათასი კვნესა, ოხვრა სახადით ავადმყოფებისა». აბ—მა ჩქარა გასჭიმა ფეხები. «კაცს ფასი არა ჰქონია: ერთი კვერცხი, ბოთლი ღვინო მეტად ჰღირებია ვიდრე კაცი..»

«ივერიის» «პოლიტიკური მიმოხილვა» არის ცოდნით, ოსტატურად შეგროვილი ახალი ამბები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასთანავე ახალი მოწმები მაღალხარისხოვან ჯამბაზობისა, უკაცრავათ, მინდოდა მეთქვა: ევროპიელ ლიბერალურ, კონსტიტუციურ დიპლომატიისა.

ეს პოლიტიკური წერილები, რომელნიც თავიანთ მიმართულებით მოგვაგონებენ «კრებულის» და ძველ «დროების» ზოგიერთ ამგვარსავე სტატიებს, გვიხილავენ თვალებს (ამას ჯერ კიდევ შარშან ვამბობდი «ალმანახში») ჩვენ განათლებულების შეცდომაზე, რომელნიც თაყვანსა სცემენ ევროპიის ლიბერალურ საზოგადობრივ წყობილებას და არ სურთ დანახვა იმის იარებისა.

თქვენ, იქნება, მითხრათ, მკითხველო, რომ ახალი ათავერია ბავრელის და აკ. წერეთლის დაცინვაში ჩვენ ჩინოვნიკობაზე და საზოგადოთ ჩვენ განათლებულების ცხოვრებაზე და «ივერიის» გამოაშკარებაში ევროპიულ ცრუ-ლიბერალობისა, რადგან ამავე საგანზე არა ერთხელ მოგვითხრობდნენ «საქართველოს მოამბე» და პირველ დროინდელი «დროებას».

დიახ, თქვენ მართალს ბრძანებთ, თუ ამას გვეტყვით. მართალია, ზემოხსენებული ნაწერები გამეორებაა იმის, რაც თქმულა ადრე, მხოლოდ ახალ ამბების დამატებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ვერც [illegible]იხეთ ახალ ჭეშმარიტებას ვერ იტყვით თქვენ დღეში, რომელიც კი როდისმე არ თქმულიყო, და ყოველი ჭეშმარიტება ითვლება ახალ ჭეშმარიტებათ მხოლოდ მაშინ, როცა იმას ჯერ ვერ შეიგნებს ხალხი.

ამიტომაც ზემოხსენებულ ნაწერების სიტყვები მიგვაჩნია ახალ სიტყვებათ, თუმც ისინი არა ერთხელ წარმოუთქვამთ თავისებურად ადრეც. დიახ, მკითხველო, «საქართველოს მოამბის» და პირველ დროინდელ «დროების» შემდეგ ჩაგვირბინა ათმა, თხუთმეტმა წელმა, მას აქეთ ბევრი მათომ ცვლილება მომხდარა ჩვენ ცხოვრებაში: გლეხები განთავისუფლეს, ახალი სასამართლო შემოიღეს, ქალაქებს მიანიჭეს თვით-მმართველობა და სხვ., მაგრამ დახე ჩვენ დაუნდობელ ბედს, თხუთმეტის წლის წინათ ნათქვამ სიტყვებს განგვიმეორებენ და ჩვენ ისეთ ალტაცებაში მოვყავართ იმათ, როგორც ადრე. ძველ ბურთი განკიცხვა, ძველებური ქადაგობა ასე გვგონია მოგონილნი არიან დღევანდელ დღისათვის, ასე გვგონია წინ ფეხი არ გადაგვიდგას ამ უკანასკნელ თხუთმეტიოდ წელს და ვტრიალებდეთ ერთ ადგილას. ის ბატონები, რომელთ წინააღმდეგ ქადაგობდა ამდენი ხანი უკეთესი ქართული მწერლობა, დღეს გამოდიან ახალ სარჩულიან კაბებში და ამაყად დამღერიან: «არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად».

ჩვენდა სამწუხაროდ, იგივეს ვერ დამღერის ქართული ჟურნალ-გაზეთობა.

P. S. ეს სტატია დაბეჭდილი გვქონდა, როცა მოგვივიდა შემდეგი წიგნი ერთ ნაცნობისაგან:

მოწყ. ხელმწიფევ!

თქვენგან ბევრჯერ გამიგონია, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში ამ უკანასკნელ დროს მოხდა დიდი ცვლილება, რომ ლიტერატურის ადგილი დაიჭირა ამ ბოლოს დროს ახალ ამბების ათვიშამ და კანცელიარულ დავთარმა, სადაც მოგროვილია უთვალავი საეჭვო ფაქტები და ციფრები და არც ერთი ცოცხალი სიტყვა.

ეხლა გავიგე, რომ განზრახვა გაქვთ ესევე აზრი გამოსთქვათ საქვეყნოთ «ალმანახში» და ამიტომაც ჩემ ვალათ ჩავთვალე ამეხსნა თქვენთვის თქვენი შეცთომა.

დამიგდეთ ყური. თქვენ ხომ კარგად გესმით, რომ რომელიმე აზრის დამტკიცება და სხვებისათვის ახსნა შეიძლება ორ გვარად: შეიძლება რისმეს სარგებლობა ან ბოროტება გამოცხადდეს ან რაიმე მოსაზრების მოყვანით ან საქმეების ჩვენებით. თუ მინდა მაგალითად ვისმეს ფარისევლობის გამოაშკარება, მე დავიწყებ ან შემდეგ ფილოსოფოსობას: «თუ გულწრფელია ეგ ბატონი, რატომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილ სიტყვებს საქმეთ არა ხდის? ეგ რომ კეთილ სინიდისიანი კაცი იყოს მეთქი, შინაც და გარეთაც ერთ გზაზე იდგება, თორემ შინ რომ მგელობს და გარეთ ცხვარობს, ეს სწორეთ ცხადი ფარისევლობაა».

ან სხვაგვარადაც შემიძლიან ვისმეს ფარისევლობის გამოჩენა. შემიძლიან გიამბოთ ნამდვილი ამბავი, რომლიდამაც თავის თავათ სჩანდეს, რომ ჩვენი კაცობრიობის მოყვარე პატრიოსანი სული ჩხირკედელაობს მხოლოდ თავის ჯიბის სასარგებლოთ.

ოღონდ კაცმა ხერხიანად აგვიხსნას და დაგვიმტკიცოს ხეირიანი აზრი, თორემ, მე მგონია, სულ ერთი უნდა იყოს ჩვენთვის რა საშუალებით ეწევა ამ მიზანს უბრალო ფაქტების მოყვანით, თუ თავის ფილოსოფიით და მჭევრ-მეტყველობით.

მე მგონია, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთობა დგას ეხლა იმავ გზაზე, რა გზაზედაც ის იდგა ამ ათიოდ, თხუთმეტიოდ წლის წინათ. განსხვავება მხოლოდ გარეგნობაშია. ადრე ჩვენი მწერლები გვეჩვენებოდნენ ფილოსოფოსებათ, წინასწარმეტყველებათ, რომელნიც გვიხატავდნენ ჩვენ გარყვნის სურათებს და გვიქადაგებდნენ ახალ გზაზე დადგომას. ეხლა კი ქართველმა ჟურნალისტებმა ჩამოიგდეს მხრებიდამ თავიანთი ლამაზი პოეტიური მანტია და გაგვიხდნენ უბრალო მუშებათ, მაგრამ თავიანთი აზრები კი არ დაივიწყეს. ისინი აგროვე-

ბენ ეხლა ამბებს, რომელნიც სხვის აუხსნელობისაც ადვილად გასაგებნი არიან ჩვენთვის. ეს ახალი ამბები გვეუბნებიან ჩვენ იმავეს, რაც გვესმოდა ადრე მოთხრობაებიდამ და ლექსებიდამ. ნამდვილ ამბეზე მეტ დამარწმუნებელ, დამამტკიცებელ ძალას, განა სადმე კიდევ იპოვით?

მაგ. აიღეთ ჩინოვნიკობა; ადრე მდივანბეგს სამარიდამ ამღერებდნენ ჩვენი პოეტები: «ჩემი ჯიბე ჰტენე, ვტენე, ისე მოვკვდი, ვერ გავტენეო»; ეხლა ლექსებს თავი დავანებეთ და ნამდვილ ამბებს ვუამბეთ მკითხველებს ჩვენ ჩინოვნიკობის ანგარობაზედ. მოიგონეთ მაგალითად შარშანდელი «დროების» კორესპონდენცია სიღნახის გამომძიებელზე, რომელმაც გადააჭარბა ყველა ძველ მდივანბეგს.

იმედია მიიღებთ მხედველობაში ამ აზრს, როცა გამოსთქვამთ თქვენ ფიქრებს ეხლანდელ ქართულ მწერლობაზე.

თქვენი უმორჩილესი მონა და სხვ.

ამ წიგნის დამწერს ეტყობა დავიწყებია ჰქონეს სიტყვები: ფაქტებით შეიძლება ბაასი და არა რომელიმე აზრის დამტკიცება. მაგრამ ერთ წამს მზათ ვარ დავთანხმდე, რომ ჭეშმარიტების პოვნა იმისთანა რთულ საქმეებში, როგორნიც არიან ჩვენი საზოგადო საქმეები, შესაძლოა ცარიელ ნამდვილ ამბების მოგროვით; მზათ ვარ დავთანხმდე, რომ ფილოსოფიას და უბრალო მატიანეს აქვს ერთგვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენა კაცის ზნეობაზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ვერ ვიტყვი უარს იმ აზრზე, რომელიც გამოვთქვი ჩემ სტატიაში. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ ჟურნალ-გაზეთების «მატიანესა» არა აქვს ისეთი დიდი ძალა, რანაირიც ჰქონდა ქართულ ჟურნალ-გაზეთობის ქადაგებას, და აი რატომ.

თითქმის ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ჩვენზე ის მოქმედება, რომელიც მომართულია ჩვენზე შთაბეჭდილების მოსახდენათ.

ჩვენ რომ გზაზე დაგვხვდეს ბალდახინი ვინმე მდიდარ მკვდრითა და შევიტყოთ, რომ სიკვდილი ამას მოსწყვია ავმყოფიანობისაგან, და მერმე ვნახოთ მუზიკა, რომელიც უკრავს რაღაც მხიარულ მარშს; თულუხჩი, რომელიც ეჭიდება ქვრის ბიჭს; ადვოკატი, რომელიც ეპატიჟება მოსამართლეს სადილათ და სხვა ბევრი ამგვარები, იქნება ამ სურათებმა არაფერი აზრი არ აღგვიძრას; მაგრამ იმის შემდეგ, რაც ვნახეთ ავმყოფობისაგან მომკვდარ კაცის ბალდახინი, ჩემ ახსენავს რომ ვამბობ ერთ გლეხის სიკვდილზე, რომელიც მომხდარიყო შიმშილისაგან, მაშინ უნებლიეთ დავფიქრდებოდი და ვკითხავდი თავს: საიდამ წარმოსდგება ამგვარი უთანასწორობა ჩვენ საზოგადოებაში, რათ არის ერთი მეტად მდიდარი, მეორე მეტად ღარიბი და როგორ მოისპოს ეს უთანასწორობა, რომელიც ღუპავს დიდსაც და პატარასაც.

მერმე ვისი მადლობელი უნდა ვიყო, რომ ჩემ თავში დაიბადა ეს აზრი? ნუთუ მხოლოდ იმ გარემოებისა, რომ ვიღაც მდიდარი მომკვდარა ავმუცლობით და ვიღაც ღარიბი შიმშილით. არა, მე მადლიერი უნდა ვიყო ჩემი ნაცნობისაც, რომელმაც დაივიწყა სხვა ამბები და შეადარა ეს ზემოხსენებული ორი ამბავი.

დიახ, ჩემო მკითხველო, ნამდვილ ამბებს შეუძლიანთ რამე აზრი დაგვიბადონ თავში, თუ რომ ისინი იქნებიან ოსტატურად მოგროვილნი (ყველა თავის ალაგს), და მეც ამ იმედით დავმალე ჩემი აზრი მარშანდელ სტატიაში «პატარა წვრილი დიდ საქმეებზე» და ავავსე ის მხოლოდ რიგზე დაწყობილ ახალ ამბებით.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ბეჭდვენ უსისტემოთ, დაფანტულად ყველა ახალ და ძველ ამბავს, რომლის წაკითხვაც არ დაზარდება ჩვენ საზოგადოებას.

ეხლა დავხუჭოთ თვალები და მაინც წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს აქვთ რამე საკუთარი აზრები და სურთ იმათი ჭეშმარიტების დამტკიცება სხვა-და-სხვა შესაფერ ფაქტების გამოცხადებით. მაგრამ მაშინაც უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს არა აქვთ ზნეობითი გავლენა თავიანთ მკითხველზე, რადგანაც ბევრს არა სწამს იმათგან გამოცხადებულ ამბების სიმართლე.

ჩვენი ჟურნალ-გაზეთები არ არიან ისე შეძლებულნი, რომ იყოლიონ საკუთარი კორრესპონდენტები და რეპორტიორები და ვერც ერთი ჩვენი რედაქტორთაგანი ვერ იტყვის, მართალს ამბობს იმის «მოამბე» თუ არა. ხშირად ჩვენ გაზეთებში გაიმართება ხოლმე ბაასი რამდენიმე კორრესპონდენტის შუა, ყველა იმათგანი თავისებურად გვიამბებს ერთსა და იმავე ამბავს და არც მკითხველმა და არც რედაქტორმა არ იციან რომელია მართალი და რომელი—მტყუანი.

ავიღოთ მაგალითად ისევ ამბავი, რომელიც მოჰყავს ჩემ ნაცნობს თავის წიგნში; ავიღოთ მაგალითად სიღნახის გამომძიებლის უკანონო მოქმედების აღწერა ქართულ გაზეთში. ეს ამბავი იმასვე არ გვეუბნება, რის თქმაც უნდოდა ზემო-მოყვანილ ლექსს მდივანბეგზე. როცა ვკითხულობ ამ დაცინვას მდივანბეგზე, მე მესმის პოეტის აზრი მდივანბეგებზე და როცა ვკითხულობ «დროების» კორრესპონდენციას სიღნახის გამომძიებელზე, მე მესმის «დროების» აზრი ერთ გამომძიებელ-მსაჯულზე და ამ გაზეთის აზრს ვერ გავავრცელებ დანარჩენ გამომძიებელ-მსაჯულებზე, რადგან ვიცი, რომ არიან გამომძიებელ-მსაჯულნი, რომელნიც, მგონია, რომ მოსწონს «დროებას»; მოიგონეთ მხოლოდ «დროებისაგან» ქება მეორე სიღნახელ მსაჯულისა.

ამის გარდა, როცა გაზეთში წავიკითხეთ ხსენებულ გამომძიებლის ოინებზე, ეჭვში შევარდით, ვინ

იცის ვის სჭირდა იმისი ჯვარი და ვინ მოუგონა ჭორი; და ბოლოს შესაძლოა, რომ მთელი კორესპონდენცია გამოჩნდეს ჭორათ და მაშინ მიბრძანეთ, რა გავლენა უნდა ჰქონდეს იმ ჟურნალს, რომლის ნდობა არ ექნება მკითხველს.

მეტი არ არის, ამგვარი მდგომარეობა ქართულ ჟურნალ-გაზეთების მეტად სამწუხაროა, და ჩვენ მართალი იმაზე არ დავმ.ლეთ, რასაკვირველია, მხოლოდ იმისთვის, რომ გაუფრთხილდეთ მომავალს იმის გაუმჯობესობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მოქმედება

ოპერა-ბუფისა

მშვენიერი ელენე

სიტყვები

ჰანრი მეილჰაკისა და ლიუდოვიკ ჰალევისა

მუზიკა

ჟ. ოფენბახისა.

ქართულად გადმოღებული

თ. დავით ერისთავის-მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედნი პირნი:

მენელასი, სპარტის მეფე.
ელენე, იმის ცოლი.
აგამემნონი, გმირთა გმირი.
ორესტი, იმის შვილი.
ახილესი, ფტიოტიდის მეფე.
აიაქსი პირველი, ლოკრიის მეფე.
აიაქსი მეორე, სალამინის მეფე.
კალხასი, იუპიტერის ქადაგი.
ფილოკომი, კალხასის თანაშემწე.
ეფთიკლესი, მჭედელი.
პართენისი.
ლეონა.

მშვენიერი ელენე

მოქმედება I.

სცენა წარმოადგენს სპარტის მოედანს, სადაც ბოლოს მოჩანს იუპიტერის ტაძარი. ტაძრის გვერდით დგას რამდენიმე სამფეხა და შიგ ცეცხლი ანთია.

გამოსვლა პირველი

ხალხი და შემდეგ კალხასი და ფილოკომი

(ფარდა რომ აიხდება კაცნი და ქალნი მუხლ-მოდრეკილნი დგანან ტაძრის წინ და შესაწირავი მოაქვთ: ყვა-ვილები, ხილი, თეთრეული, გალიები მწყრებით და სხვა. ყვავილები უფრო მეტია).

ხორი.

იუპიტერ ღმერთო! გვისმინე ჩვენ ლოცვა!
გვისმინე ჩვენ!
მუხლ-მოდრეკით გევედრებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთების ღმერთო! ოქროს წვერიანო!
გვისმანე ლოცვანი,
დიდებულო ღმერთო!
იუპიტერ ღმერთო და სხვა...

(უკანასკნელ ნაწილს რომ მღერობს ხორი, მაშინ გაიღება ტაძრის კარი და გამოვა კალხას, რომელსაც მოსდევს ფილოკომი. მინამ ორკესტრი მელოდრამმას უკრავს, ხალხი საწირავს ტაძართან ალაგებს).

კალხას. (მინჯავს საწირავს და არა მალავს უკმაყოფილებას)

სულ ყვავილები, ყვავილები, და ყვავილები, საკმაო! (ხალხი გადის)

გამოსვლა მეორე

ფილოკომ და კალხას.

კალხასი.

აღარავინ არის... ტყუილი ხარჯი მეჯავრება... მინამ ტვედელს თავისი ნავთი არ გამოუყვანია ბაქოდგან, სიმვირეა! (აქრობს) ფილოკომ! საწირავები შეიტანე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოკომ.

ბატონი ბძანდებით, დიდო ქადაგო! (ორ ბიჭს შე-აქვს საწირავი).

კალხას.

ჭეშმარიტად რომ სირცხვილია ეხლანდელი საწირავი... აბა რა მოუტანიათ? ორი მწყერი, ერთი ქოთანი მაწონი, სამი ყველეური ყველი, ხუთი ჩურჩხელა, ცოტა ხილი და ბევრი ყვავილები! ეს რამდენი ყვავილებია! თითქო იუპიტერი თეატრის მომღერალი ქალი იყვეს! რა ტყუილი ხარჯია! ახ! სად არის ის დრო როდესაც საწირავათ შემოგვდიოდა მთელი ძროხის ნახირი და ცხვრები! აბა საწირავი ის იყო! წახდა ქვეყანა! ღმერთებსაც კი პატივი აღარა აქვსთ, პატივი აღარა აქვსთ!

ფილოკომ.

ყველაზე ეგ არ ითქმის, მაგალითად ვენერა.....

კალხას.

ჰო! ეგ კი მართალია! იმ დღეს ციტერნის «დროებაში» წავიკითხე საწირავის რიცხვი ამ უკანასკნელის თვისა! იმდენი რამ არის, რომ კაცი გაოცდება!

ფილოკომ.

როგორა გგონია ვენერას მოძღვარს, ბევრი შემოსავალი ექნება აი! ჰაი თუ შესჭამს მოძღვარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალხას.

მას შემდეგ, რაც ვენერამ აჯობა იდას მთაზე იუნონას და მინერვას, ე. ი. მეცხვარე პარისმა თავისი ვაშლი მისცა ნიშნათ სილამაზისა, ხალხს ვენერას მეტი არავინ ახსოვს! საწყალი იუპიტერი! ეს ღმერთთა ღმერთი რა ცუდ მდგომარეობაშია! რამდენი ყვავილებია და! იცი... თუ გიყვარდე ეს თაიგული წაუღე პატარა მეგარას, ხომ იცი აქ გვერდით რომ სდგას!

ფილოკომ. (ბუკეტი ხელში.)

დიახ ბატონო!

კალხას.

მართლა, ქუხილი.... საქუხი მოიტანეს?

ფილოკომ.

ჯერ არა.

კალხას.

როგორ, თუ ჯერ არა?

ფილოკომ.

არა, ბატონო, ჯერ არ მოუტანიათ... მაგრამ მალე მოველი!

კალხას.

ვაცო! რას შვრები არ დამღუპო, დღეს უქუხილოთ ხომ ვერ გავსძლებთ! ცხელი დღე გამოდის

უქუხილოთ როგორ შეიძლება! დღეს ადონისის დღეობაა. ჯერ ეს ერთი რომ ჩვენი მშვენიერი დე-დოფალი მოვა სალოცავათა და შემდეგ შეიკრიბე-ბიან მეფენი და ჭკუამახვილობის ჯიბრი იქნება....

ფილოკომ.

დამშირდა რომ მალე გაგვკეთებო!

კალხას.

რას ამბობ კაცო, ამისთანა დღეს უქადაგობოთ არ იქნება! უნდა ქადაგათ დავეცე და აბა რა ქადაგობა იქნება უქუხილოთ!

ფილოკომ.

ეფთიკლე მჭედელს მივეცი, და მითხრა ემ სა-ათში მოვიტანო. აი გიახლათ კიდეც. (ეფთიკლე შე-მოდის მარჯვნივ და შემოაქვს ყესტი)

გამოსვლა მესამე

იგინივე და ეფთიკლე.

კალხას.

ოჰ! ეფთიკლე! რა დაგვემართა კაცო! რით ვერ გაათავე ეგ საქუხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფთიკლე.

ცოტა გასაკეთებელი კი არა ჰქონდა ამ საქუხსა! ორგან ისე დაჟანგებულიყო, რომ დაკერება მოუნდა. მერე საჩქარო საქმე მქონდა მოუსვენარ ახილესისა!

კალხას.

ჰო! ვიცი, ვიცი! უთუოთ იმის წალებს ქუსლებზედ ნალებს აკრავდი! ვიცი ქუსლზე უკაცრავოთ არის.

ფილოკომ.

დიახ, სწორეთ ეგრე გახლდათ.

კალხას.

ჰო! მე თითონ მითხრა, ძალიან კარგი ნალები დამიკრაო!

ეფთიკლე.

მერე თქვენი საქუხი! ისემც თქვენი მტერი იყოს რა მდგომიარებაში ის იყო! ვინა სცემს ისე მაგრა რომ გაუხვრეტია!

კალხას.

ეს ფილოკომი სცემს ხოლმე..... ღვთის წინაშე, ეგრეც უნდა, მაშ რითი შევაშინოთ ხალხი!!... ეხ-ლა ხომ კარგათ არის გაკეთებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფთიკლე.

აი ნახეთ. (აქუხებს)

კალხას. (შიგარდება)

სუ! კატო! რა ღმერთი გაგიწყრა! როგორ შეიძლება, ხალხს ეგონება რომ იუპიტერიაო! როგორ შეიძლება მაგისთანა ხუმრობა!

ეფთიკლე.

უკაცრავათ, არ ვიცოდი.

კალხას. (იყურება მარცხნივ)

აბა! დღე იწყობა! აგერ ხალხი მოდის სალოცავათ, და ქალებს წინ ჩვენი მშვენიერი დედოფალი მოუძღვის!

ეფთიკლე.

ჰო! მართლა დღეს ხომ დღესასწაულია!

კალხას.

დიახ! დღეს ის დღეა, როდესაც ვენერას საყვარელი გარეულმა ტახმა დაგლიჯა! აბა, ფილოკომ, ეს საქუხი თავის ადგილს შეიტანე, დრო არის. (ფილოკომს მიაქვს და აქუხებს) სუ! შე უბედურო, რა დაგვემართა! (სამნივე ტაძარში შედიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეოთხე

ელენე და მას მოსდევენ ქალები, შემდეგ კალხასი.

(ქალების ხორო შემოდის მარცხნით, ელენე სულ ბოლოს, და ორი მდადე მოსდევს).

ხორი.

ვალათ გვაქვს ყმაწვილ ქალებსა
უბრალო და კეთილშობილთა,
რომ ხანდისხან ვიგლოვოთ
ჭაბუკთა ვაჟთა სიკვდილი!

ელენე.

ადონის ჩვენო ღმერთავ! შენ მებრალები,
შენც ვენერავ
განა ვერ ხედავ
განქრა ჩვენში
ტრფობის ალი!

I

ო! ადონის! და შენ ვენერავ!
გევედრებით გაგვიგონოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერა ხედავთ, რომ სიყვარული
განჰქრა ჩვენში სამუდამოთ!

გვედრები, ვენერავ! | ორჯერ
ვენერავ, შენ ქერავ! |
მოგვეც ჩვენ სიყვარული, | ორჯერ
რომ აღვივსოთ მით გული! |

II

იცვალა დრო! წახდა ქვეყანა,
სადღა არის სიყვარული!
წმინდა გრძნობას, ჩვენსა ქალებსა
ურჩევნიათ თეთრი ფული!

გვედრები, ვენერავ! | ორჯერ
ვენერავ, შენ ქერავ! |
მოგვეც ჩვენ სიყვარული | ორჯერ
რომ აღვივსოთ მით გული! |

ხორი.

ვალად გვაძევს ყმაწვილ ქალებსა
უბრალო და კეთილშობილთა,
რომ ხანდისხანა ვიგლოვოთ
ჭაბუკთა ვაჟთა სიკვდილი!

(ამ ხორის დროს ყველა ქალები ტაძრის კიბეზედ ადიან. კალხასი მათ წინა ხვდება და ეპატიჟება შესვლას. ელენეს შესვლა უნდა და ერთიანათ შედგება და შეჰყურებს კალხასსა).

გამოსვლა მეხუთე

ელენე, კალხასი.

ელენე.

ორიოდე სიტყვა, დიდო ქადაგო!

კალხასი.

ბატონი ბძანდებით, დედოფალო.. მაგრამ საწირავი.....

ელენე.

საწირავი მოიცდის!

კალხასი.

აბა რას მიბძანებთ?

ელენე.

არა.... გიჟს დამიძახებთ!

კალხასი.

ოჰ! დედოფალო! განა გავბედავ?...

ელენე.

იდას მთაზედ შემთხვევა... ხომ იცით... თავიდამ არ გამომდის... ის ტყე, ის სამი ღმერთა, ის ვაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ის მეცხვარე... ახალი ხომ არა შეგიტყვიათ რა?

კალხასი.

არაფერი, დედოფალო! დღეს ჩვენი გაზეთები ჯერ არ გამოცემულან «რედაქციის დაუმოკიდებლივ მიზეზით!»

ელენე.

განა მართალია, ვითომ იმ მეცხვარის დასაჯილდოებლათ ვენერა მას დაჰპირებია ყველაზედ ლამაზის ქალის სიყვარულს!

კალხასი.

დიახ ეგ აფიციალურია! მგონია «კავკასშიაც» იყო დაბეჭდილი!

ელენე.

მერე... ყველაზედ მშვენიერი ქალი ქვეყანაზედ....

კალხას.

თქვენა ბძანდებით, დედოფალო, უსათუოთ თქვენა ბძანდებით!

ელენე. (გადადის მარჯვნივ)

დაჩუმდით თუ ღმერთი გწამთ, დაჩუმდით! ეს რომ მართალი იყოს......

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალხას.

რა იქნება დედოფალო?

ელენე.

აკი ვამბობ ის არის და ისა!

კალხას.

ვინ გახლავს!

ელენე.

დაუნდობელი ბედი, ჩემო კალხას, დაუნდობელი ბედი...

კალხას.

დიახ, ეგ კი მართალია!

ელენე.

ჯერ დავიწყოთ ჩემ დაბადებიდგან: ხომ მოგეხსენებათ.....

კალხას.

ეგ ვინ არ იცის... ის მშვენიერი ყარყატი, ლედამ რომ თავის გულზედ დაიცვა...

ელენე.

დიახ სწორეთ ის ყარყატი, რომელიც დედა ჩემმა დაიცვა, მამა ჩემი გახლდა..... ხომ კარგა ხედავთ, კალხას, რომ მე შესანიშნავი დედა-კაცი ვარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მე მინდა.... აჰ, რომ იცოდეთ დიდო ქალბატონო-რა მინდა?....

ᲙᲐᲚᲮᲐᲡ.

რა გნებავთ, იუპიტერის ასულო?

ᲔᲚᲔᲜᲔ.

იცით რა მინდა? მე მინდა ვიყო უბრალო მოქალაქის ქალი, ერთ შუაბაზრის ბაზაზის ცოლი! და. აი ამის მაგიერ ბედმა რა გამხადა? თექვსმეტი წლისა ვიყავი როცა იმ მოუსვენარ თეზევმ მამიტაცა! თექვსმეტი წლისა, ჯერ წმინდა დიანის ზავედენიაში ვსწავლობდი ისევა! ღმერთო რა სკანდალი მოხდა, მთელი ქალაქი იმაზედ ლაპარაკობდა...

ᲙᲐᲚᲮᲐᲡ.

მანდედგან დაიწყევით რაღა?

ᲔᲚᲔᲜᲔ.

დიახ მანდედგან... და მერე მიყვება, მიყვება, და მთელმა საბერძნეთმა იცის რაც ჩემს თავს გადახდომია.... მერე მეგონა დავისვენე მეთქი.....

ᲙᲐᲚᲮᲐᲡ.

მენელასი რომ შეირთეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე.

დიახ! ძალიან კეთილი კაცია! რა არა ვქენი რომ შემეყვარა, მაგრამ ვერ შევიძელ, ვერ შევიძელ და ვერ შევიძელ....

კალხას.

რა ქმნას კაცმა!... თუ კი ვერ შეგძლებიათ!

ელენე.

საბრალო! ეხლა როცა ვფიქრობ, რომ ვენერა იმ მეცხვარეს დაჰპირდა ულამაზესი ქალის სიყვარულს... და ოდეს მაგონდება, რომ იქნება მე ვიყო...

კალხას.

დიახ! იქნება თქვენა ბძანდებოდეთ!

ელენე.

მერე რასა იქს ის კეთილი და მშვიდობიანი კაცი!

კალხას.

არაფერსა დედოფალო! თუ კი ვენერას ბძანებაა...

ელენე.

აი! აკი გითხარით ბედია მეთქი!

კალხასი.

ჰმ თავის გასამართლებელია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე.

მერე ხომ მე გამამტყუნებენ!

კალხას.

რასაკვირველია გაგამტყუნებენ!

ელენე. (იყურება მარჯვნივ)

და როცა ხალხში გავივლი ჩემის კალიასკით, როგორც ახლა იყო, გავიგონებ ხალხის ხმას, რომელიც იტყვის, ეს დედოფალი კი არ არის, მაწანწალაა!

კალხას.

მაწანწალა! დედოფალო!

ელენე.

დიახ! და განა მართალი არ იყო ის კაცი, რომელმაც ეს დამიყვირა? მაგრამ ჩემი ბრალი ხომ არ არის? არა, ყარყატოს ქალი, მაწანწალა უნდა იყოს, მა რა იქნება? (ისმის ფლეიტის ხმა).

კალხასი (იყურება მარჯვნივ)

შებმანდიო, საჩქაროთ, დედოფალო; აი ბატონის შვილი ორესტი მოდის!

ელენე.

ის ჩემი ცელქი დისწული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალხასი.

დიახ, ამ მხრით მოდის და ვერაფერი დასტა მოსდევს.

ელენე.

ეხ, შე დალოცვილო! «ვინ არ ყოფილა მიჯნური».....

კალხას.

«ვის არ სახმილი სდებია», დედოფალო.....

(ელენე ადის კიბეზედ, უკან კალხასი მისდევს და შიგნიდგან ისმის ხმა: კალხას ოჰე! კალხას).

შებძანდით დედოფალო! მე აქ დავრჩები, რომ ბატონის შვილმა არა იცელქოს რა.... არ გაუკვირდება კი, რომ ტაძარი შეურაცხყოს და საწირავს პატივი არა სცეს...

ელენე.

რა ქნას, უმაწვილია!

კალხას.

იმიტომ ისე ვუყურებ რომ მეც სიყმაწვილე მაგონდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელენე (მოიხედავს გარებში).

დახე, დახე! პართენისი ჰყავს თანა! მერე როგორ არის ჩაცმული და! საკვირველია, რომ მაგისთანა ქა-ლებისთანათ ვერავინ ჩაიცვავს! (შედის ტაძარში).

გამოსვლა მეექვსე

კალხას, შემდეგ ორესტი, პართენის, ლეონა და სხვანი.

კალხასი (უყურებს მარჯვნივ)

იტყვიან რომ აგამემნონის შვილიაო! ჩემი მე-ფის შვილი! (შემოდის ორესტი თავის დასტით).

ყ·ელანი.

ჰეი! კალხას! ჰეი! (შემოეხვევიან)

ორესტი. (კალხასს)

I

ლაბირინთის დუქანშია
ვათიე მე წუხელ ღამე,
ამ კორინთის ქალებშია
ვიქეიფე, ვსვი და ვჭამე!

(გააცნობს პართენისს და ლეონასს)
აი პართენის და ლეონა,
ამათ სურთ თქვენი გაცნობა...

კალხას (ორთავ ქალებზე)

ეგ პატივი არ მეგონა,
მიიღეთ ჩემი მადლობა!...

ორესტი.

აი პართენის და ლეონა!

ყველანი.

აი პართენის და ლეონა!
(თამაშობენ კალხასის ირგვლივ)
ძინ, ლა, ლა! ძინ, ლა, ლა!
რია კეფალე, ო! ლა, ლა,
ძინ, ლა, ლა! ძინ, ლა, ლა!

II

ორესტი.

აი სწორეთ ამ ქალებსა
მამის ფული მოვახმარე,
მაგრამ ყველა ჩემ ვალებსა
გადაიხდის ჩვენი მხარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი პართენის და ლეონა
ამათ სურთ თქვენი გაცნობა!

ქალხას.

მე პატივი არ მეგონა,
მიიღეთ ჩემი მადლობა!

ყველანი.

აი პართენის და ლეონა!
ძინ, ლა, ლა! ძინ, ლა, ლა!
ოია, კეფალე, ო! ლა, ლა!
ძინ, ლა, ლა! ძინ, ლა, ლა!

(ამ კუპლეტების შემდეგ კალხასი დამწყვდეული დარჩება ქალების წრეში)

ორესტი.

აი ჩემო კალხას, რამ მოგვიყვანა აქა. ამ ქალებს შინისკენ-ვაცილებდი ზურნით. როცა ამათ დაინახეს შენი თეთრი ანაფორა, ახ! რა მშვენიერი კაცია! დაიყვირა პართენისმა.—რა ჰქვიანო? მკითხა ლეონამ. კალხასი მეთქი, უპასუხე!.. კალხასი? ის გამოჩენილი კალხასი?—დიახ სწორეთ ის გახლავს მეთქი... წავიდეთ ახლო ვნახოთო. მე დავიყვირე: ჰეი! ქალხას და შემდეგი შენ იცი. (ქალებს) ქალბატონებო, აი თქვენი მონდომილი კალხასი! ქალხას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მოძღვარი! კალხასი, გამოჩენილო ქურუმო, კალხასი, მამი ჩემის მესაიდუმლე... როგორ მოგწონთ, ქალებო?

ᲞᲐᲠᲗᲔᲜᲘᲡ.

ძალიან!

ᲚᲔᲝᲜᲐ.

მშვენიერი რამ არის!

ᲙᲐᲚᲮᲐᲡ.

მადლობას მოგახსენებთ, ჩემო ბატონებო, მაგრამ ძალიან საჭირო საწირავი მაქვს.....

ᲚᲔᲝᲜᲐ.

დღეს საწირავი?

ᲞᲐᲠᲗᲔᲜᲘᲡ.

რა მიზეზია!

ᲙᲐᲚᲮᲐᲡ.

დღეს ადონისის დღესასწაულია!

ᲞᲐᲠᲗᲔᲜᲘᲡ.

ადონისის დღესასწაული?

ᲚᲔᲝᲜᲐ.

მაშ ჩვენც უნდა დავესწრათ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პართენის.

უჩვენოთ რა დღესასწაული იქნება!

ლეონა.

აბა ერთი იფიქრეთ, ჩემო კალხას: ადონისის დღესასწაული ხომ ვენერასიც არის. თუ ვენერასია, მაშასადამე.....

პართენის.

ჩვენ უთოოთ ადგილი უნდა გვქონდეს!

კალხას.

მე ხომ უარს არ ვამბობ, მაგრამ მაღლიდამ ბძანება მოგვივიდა რომ მარტო დიდკაცების ქალები უნდა იყვნენო.....

ორესტი.

დიდ კაცების ქალები?

კალხას.

დიახ, ბატონო!

პართენის.

მერე ისინი ჩვენ რითი გვჯობიან!

კალხას.

მე ხომ მაგას არ მოგახსენებთ... მაგრამ ისეთი ბძანება გამოიცა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონა.

დიდათ მენაღვლება, ვინც უნდა გამოსცეს ბძანება! შინიონზე მკიდია დიდი კაცები.... მოდი შევიდეთ...

ყველანი.

აბა შევიდეთ. (*მიდიან მაღლა*)

კალხას (*აყენებს მათ*)

ბატონებო! გევედრებით.... ნუ ინებებთ.... აბა რა ცეცხლში მაგდებთ! მაგ მეჯლისში დედოფალია თვით თავმჯდომარე!

ორესტი.

დედიდა ჩემი! დედიდა ჩემი ელენე! ძალიან მიყვარს დედიდა! ურჩალი და დარდიმანდი რამ არი! ხომ იცი იმის ცოდვილებანი...

კალხას.

ახ! ბატონო ჩემო, რასა ბძანებთ!

ორესტი.

ჰო! ჰო! კარგათ ვიცი, რომ ბედს აბრალებს ყველაფერს! მაშ ამის შემდეგ ეს ქალებიც ბედს დააბრალებენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პართენის.

მაშ რას უნდა დავაბრალოთ? ეხლა რომ ცირკში ცხენზე ვზივარ და დავაქროლებ, ვისი ბრალი არის, თუ არ ბედისა?

ლეონა.

მე?... ერთი ფილოსოფოსი რომ შემხვდა წულებზედ და მასწავლიდა კეთილსა და მიხატავდა მშვენიერს მომავალს; მერე? ბედი არ არის?

ორესტი.

ახლა მე დღე და ღამ რომ დუქანში ვარ და ამ ქალებში დროს ვატარებ, განა ეს ბედი არ არის?

კალხას.

მე კი აღარ მკითხავთ? ეხლა მე რომ მინდა თქვენში გავერიო და ერთი კარგი ლეკური დაუარო, და არ შემიძლიან, ეს კი ბედი არ არის?

ორესტი.

ეგრე ჩემო კალხას, ყველა ბედია და მას უნდა დავემონოთ! მიყვარს დედიდა ჩემი, რომ ბედი მოიგონა! აბა გავწიოთ! ნახვამდის კალხას..... დედადა შენებურათ მამიკითხე!

ყველანი.

ნახვამდის კალხას! (იმღერიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინ, ლა, ლა! მინ, ლა, ლა!
თია, კვეკალე, თ! ლა! ლა!
მინ, ლა, ლა! მინ, ლა, ლა!

(მარცხნივ გავლენ)

კალხას *(უყურებს წამსვლელს)*

მინ, ლა, ლა! მინ, ლა, ლა! ახლა იტყვიან რომ ეს აგამემნონის შვილია, ჩემი მეფის შვილი! ჭაი! სადა ხარ ჩემო უმაწვილობავ! მართალნი კი არიან! მე რომ ჩემ უმაწვილებას ეგრე ავყოლილვიყავ სიამოვნებას მალიან ლოთი და დარდიმანდი კაცი გამოვიდოდი! *(ოხვრით)* ღმერთებმა რომ არ ინებეს!.. ეჰ! წავიდე ჩემ საწირავთან! *(როდესაც ორესტი გადის, მეორე მხრიდამ შემოდის პარისი მეცხვარეთ ჩაცმული, ხელში ჯოხი, და ჩალის ქუდი მხურავს. გიბეზედ ადის, უნდა ზარი ჩამოჰკრას და კალხასს რომ დაინახავს, შესდგება).*

გამოსვლა მეშვიდე

კალხას და პარისი, მარჯვნით შემოსული.

პარისი.

ერთი სიტყვა..... თქვენ ხომ არა ბძანდებით იუპიტერის მოძღვარი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალხასი.

დიახ! მე გახლავართ კალხასი.

პარისი.

კალხასი! დიახ, სწორეთ ის მინდა... კინაღამ დავ-რეკე.

კალხასი.

უკაცრავათ კი გახლავართ, არა მცალიან თქვენ-თვის... საწირავი მიგვიახლდება.

პარისი.

საწირავი მოიცდის. მე ძალიან საჭირო საქმე მაქვს.....

კალხასი.

ჰო! სწორეთ მეცხვარესთვის შევიწუხებ თავსა!

პარისი (ამაყათ).

თქვენ ჩემთვის საჭირო ბძანდებით!

კალხას.

მერე რისთვის? იქნება გნებავდეს რომ ქალაღდი გაგიმაღლოთ, მე თქვენისანეებისთვის არა მცალიან; სჯობს, რომ კოდელ ნინოსთან წაბძანდეთ!

პარისი (იჭერს).

მაშ ვენერას წერილი არ მოგსვლიათ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალხასი.

მე არა მამსვლის რა.

პარისი.

საკურველია.... ტრედი ჩემზედ წინათ წამოვიდა.... ჯერ არ მოსულა! ფოჩტალიონზედ უფრო უარესი ყოფილა... უთოოთ გაზეთში ჩავაწერინებ... მაგრამ აი მგონია მოფრინავს.

კალხას.

იცით? მე არც თქვენი ტრედი მწამს და არც ვენერას წიგნი....

პარისი.

არა გჯერათ? მაშ აბა შეხედეთ (აჩვენებს მარჯვნივ. ორკესტრში მუზიკა)

კალხას.

რა არის?

პარისი.

ვერა ხედავთ, მაღლა ცაში, პატარა რაღაც შავათ რომ მოჩანს, და რომელიც დიდდება, დიდდება, დიდდება...

კალხას (უყურებს)

მგონია წეროა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარისი.

წერილი კი არ არის. აი (ტრედი მოფრინავს და პარისს ხელზედ დააჯდება. ნისკარტში წიგნი უჭირავს, და ფრთებს სცემს)

პარისი.

ხედავთ.

კალხასი

ახლა კი მჯერა.

პარისი.

წიგნი გამოართვით... თქვენთვის არის! (ტრედი ფრთებსა სცემს)

კალხას. (გამოართმევს)

მერე რა უნდა?

პარისი

კითხულობს, პასუხი ხომ არ იქნებაო? (ტრედსა) არა არ იქნება. (ტრედი მიფრინავს მარცხნივ). ვერ უყურებ მეორე მხარეს გაფრინდა უთუოდ სხვა საქმე კიდევ აქვს! ძალიან წიგნების წერა სცოდნია ვენერას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალხას (წიგნს შინჯავს)

ციტერის ბეჭედი ასვია.... ვენერასია.... დიახ სწორედ ვენერასია! (ასველებს მარკას, წიგნიდგან ამორობს და ჯიბეში იდებს)

პარისი.

რასა შვრებით?

კალხასი.

მარკაზედ ბეჭედის დასმა დავიწყებიათ და აკვამერი — მეორეთ გამომადგება.— ნებას მამლევთ წავიკითხო? (ხსნის წიგნს).

პარისი.

მავას რა კითხვა უნდა.

კალხას (კითხულობს. ორკესტრში მელოდრამას უკრავენ.)

ოცისა წლისა, ოქროს თმიანი
მწყემსი წარმოსდგეს,
მის საუბარსა კალხას ჭკვიანი
წინ ვერ აღუდგეს.
იცის ვენერამ მის გემოვნება
და იმიტომა,
უპირველესი მშვენიერება
მწყემს მიეცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოდეს მეუღე მენელასისა
მათ წინ გაივლის,
კალხას აკრძალვით ანიშნებს მწყემსა
ეტყვის: ეს არის!

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ.

ეს არის!

ᲙᲐᲚᲮᲐᲡ.

ნუთუ თქვენა ბძანდებით პარისი, მეფე პრიამის შვილი? სპარტაში თქვენს მეტი ლაპარაკი არ არის... და მთელ საბერძნეთშიაცა... (მინჯავს) მაშ ის თქვენა ბძანდებოდით, რომელმაც გადასწყვიტა სილამაზის ჩხუბი?

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ.

დიახ სწორეთ მე გახლდით!

ᲙᲐᲚᲮᲐᲡ.

მაშ თქვენ ღმერთა ნახეთ?

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ.

ცოტათი.

ᲙᲐᲚᲮᲐᲡᲘ (ხელსა ჭკრავს)

ჭაი! მე ცელქო!... ახ უკაცრავათ ბატონო!...

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ.

ნუ გეშინიანთ განაგრძელეთ....

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალხას.

თუ თამამობათ არ ჩასთვლით, ერთს რასმეს გთხოვთ..

პარისი.

რასა?

კალხას.

არ შეიძლება აღმიწეროთ ტოპოგრაფიული მდგომარება ღმერთასი...

პარისი (ხელს ჰკრავს)

ჰაი! შე ცელქო!... ას უკაცრავათ, დიდო მოძღვარო!

კალხას.

არა უშავს რა ბატონო.... განაგრძელეთ, განაგრძელეთ.

პარისი.

აი როგორ იყო საქმე.

I

იდას მთაზე სამი ღმერთა
ჩხუბობდნენ ერთსა ტყეში,
ამბობდნენ თუ რომელი სჯობს
სილამაზით ჩვენ სამში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევოჰე! ვერ უყურებთ
ღმერთებიც კი არშიყობენ!
ევოჰე! ჩვენ რადა ვქნათ
თუ ღმერთებიც არშიყობენ!

II

ამ დროს ერთი უმაწვილი კაცი
გაივლის იმა ტყეში,
ამ მშვენიერ უმაწვილ კაცსა
ვაშლი უჭირავს ხელში.

III

ჰოლაჰე! უმაწვილო კაცო
მოიცადეთ ერთ წამსა,
და მიეცით თქვენი ვაშლი
ვინც რომ სჯობდეს ჩვენ სამსა!
ევოჰე! ვერ უყურებთ და სხვა.

IV

ერთმა სთქვა: მე უნდა მამცეთ,
მე თქვენ ვერ გამექცევით,
მინერვა ხომ განთქმულია
ქალწულობით და ქცევით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

მეორემ სთქვა: სიტურფისა
მეოვა ვარ, მე მერგება,
იუნონას ყველა იცნობს
რათ უნდა იმას ქება.

VI

შესამემა, მესამემა,
მესამემ არა თქვა რა,
მაგრამ ვაშლი იმას ერგო,
კალხას, გესმის თუ არა?
ევოჭე! ვერ უყურებთ და სხვა.—

კალხას (ხელსა ჰკრავს)

გმადლობთ! თუ ვენერას ბძანებაა, მე ვერ აღუდგები! უნდა აღვასრულო, მეტი ღონე არ არის! მენელასი ჩემი მეფე არ არის: ჩემი მეგობარია... მაგრამ ვიმეორებ, რადგანაც ბძანებაა, მე ვერ აღუდგები... ჩემი ქადაგობა, ჩემი ქუხილი და თვით მე თქვენ ბძანებას მოველით! გნებავთ ეხლავე წარგადგინოთ დედოფალთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარისი.

კარგი იქნება, მაგრამ ნუ კი ეტყვით ვინცა ვარ. მინდა საიდუმლოთ შევინახო ჩემი სახელი დრომ-დისინ!

გამოსვლა მერვე

იგინივე, ელენე და ქალები მომტირალნი.

(ტაძრის კარი გაეღება, გამოდიან ორ-ორი ქალი, ორკესტრი წიგნის კითხვის მელოდრამას უკრავს. ქალები არც კი უყურებენ მწყემსსა. როდესაც ელენე გამოჩნდება ყველაზედ ბოლოს, ის განცვიფრდება მწყემსის სილამაზეზედ. პარისი შეკრთება ელენეს რომ დაინახავს)

კალხას (ჩუმათ პარისს ელენე-ზედ ანიშნებს)

ოდეს მეუღლე მენელაოსისა
მას წინ გაივლის,
კალხას აკრძალვით ანიშნებს მწყემსსა
ეტყვის: ეს არის!

(ქალები გადიან მარცხნივ. ელენე მარტო რჩება, თით-ქო რაღაც იზიდავს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეცხრე

ელენე, კალხას და პარისი.

ელენე.

კალხას!

კალხას (მიახლოვდება).

დედოფალო!

ელენე (უჩვენებს პარისს).

ეს ვინ ლამაზი ყმაწვილი კაცია?

კალხას.

უცხო ვიღაც არის.

ელენე.

მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხვის ტყავისა
ვეფხვის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა,
ხელთა ნაჭერი კომბალი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა
ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა.

კალხას.

ლექსებსა ბძანებთ, დედოფალო, ვეფხვის ტყაოსნიდგან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე.

განა ეს ლექსებია?... ისე თავისთავათ თავში მამივიდა ეგ რომ დავინახე... რა ხელობისაა?

კალხას.

მწყემსი გახლავს.

ელენე.

მწყემსი!

კალხას.

რა მოგახსენოთ, თითონ კი ეგრე მითხრა.

ელენე.

სწორეთ კი მწყემსია?

კალხას.

რა მოგახსენოთ... აი თუ ინებავთ თქვენ თითონა ჰკითხეთ.

ელენე.

მართლა, ეგ კარგი აზრია! მაშ მარტო დაგვაგდე, ჩემო კარგო კალხას! იცი, ეგ აზრი ღმერთებმა შთაგვბერეს!... მე თითონ გამოვკითხავ.

კალხას. (იქით, ელენეს და პარისს უყურებს)

თუ ვენერას ბძანებაა..... ბედია რაღა! (შევა ტაძარში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეათე

ელენე და პარის, შემდეგ კალხას.

ელენე (იქით)

რათა ვარ ესე აღელვებული?... ისე აღელვებული ვარ თითქოს რაღაც უნდა მოხდესო...

პარისი (იქით)

აი ის ქალი, რომლის სიყვარულიც დამეპირა.... გმადლობ ჩემო ვენერავ! კარგი გემოვნება გქონია!

ელენე.

მშვენიერო ყმაწვილო!....

პარისი

დედოფალო!

ელენე

განა შენ მომაკვდავი ხარ? ხან და ხან ღმერთებს ხუმრობა უყვართ ხოლმე და გამოგზავნიან სხვანაირათ ჩაცმულს....

პარისი

სწორეთ, ბატონო ჩემო, მომაკვდავი გახლავართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელენე.

შეუძლებელია!...

პარისი.

გარწმუნებთ, რომ ეგრეა.

ელენე.

მწყემსი?

პარისი.

მწყემსი.

ელენე (ცოტა დაცინვით)

მაშ შენი ცხვრები სადა სძოვენ?

პარისი.

აი იქ მაღლა, მაღლა, მთაზედ!

ელენე.

მაშ თავი რათ დაგინებებია... აქ რამ მოგიყვანა?

პარისი.

მე მითხრეს რომ აქ გაჯიბრება იქნებაო და მოვედი ჩასაწერლათ, რომ გამოვიჩინო თავი....

ელენე. (საჩქაროთ)

სილამაზით?

პარის.

ჭკუით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე.

სილამაზეც ნუ დაგავიწყდება..... მეცხვარე რომ არ იყო არ გეტყოდი. იცი? ძალიან ლამაზი ხარ.

პარის (იქით)

ო! ვენერავ! (მაღლა) დედოფალო!

ელენე.

მშვენიერი ხარ პირ-და-პირ..... აბა ერთი გვერდიდან გნახო.... აბა ცოტა კიდევ მობრუნდი... (პარისი ზურგს უქცევს) რა უმაწვილია! აბა ახლა ასე მობრუნდი... აბა თავი ცოტა მაღლა აიღე... პირს კი ნუ აღებ... მშვენიერია!

პარის (იქით)

ო! ვენერავ!

ელენე.

კარგი რამ არის ლამაზი მწყემსი... პირი მოკუმე და! (ხელს უყურებს) ჰო! სულ გონებიდგან გამოველი შენს ყურებაში... შენ საათში რამდენია ეხლა.

პარისი (ჯოხის ჩრდილს უყურებს)

სამი საათი და ოც-და-ხუთი მინუტი.

ელენე. (იყურება ჰაერში)

ჩემ საათში ორი საათი და ორმოცი მინუტია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარისი.

მაშ თქვენი უკანა ყოფილა!

ელენე.

თუ სამი საათი და ოც-და-ხუთი მინუტია, მაშ დღესასწაული ეხლავ დაიწყობა... ჰო! რა ულმერთობაა ეს ეტიკეტი! არ შეუძლიან დედოფალს ხუთი მინუტი დააცქერდეს მწყემსს, რომ ტრახ! ერბაშათ ეტიკეტი მოითხოვს, რომ უნდა განშორდეს!

პარისი.

განშორების შემდეგ განა არ შეიძლება ლაპარაკი!

ელენე. (გაკვირვებით)

როგორ თუ ლაპარაკი... აბა მითხარ როგორა?

პარისი.

თუ დედოფალი ინებებს და აღირსებს თავის შეხედვას უმდაბლესს მწყემსსა და თუ ამა უმდაბლესს მონას ექმნება ნება რომ შეიძლოს შეხედვა დედოფლისა....

ელენე (ცოტა შეწუხებული)

ამას ეს ლაპარაკი ჰგონია! მაგას გონინთაში თვალის არშიყობას ეძახიან! (ელენე და პარისი დიდხანს ერთმანეთს უყურებენ. ამ დროს პირველი აკორდი ხელმწიფის მარშისა მოისმის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალხას. (გამოდის ტაძრიდან და ელენეს)

დედოფალო! მობძანდებიან!

ელენე (პარისს)

უნდა განვშორდეთ.... მე მინდა კიდევ გნახო სადმე!

პარისი.

კიდევა მნახამთ!

კალხას.

დედოფალო! აი მეფენი მოახლოვდნენ!

ელენე.

მაშ წავიდე დიადემი გავიკეთო და თმაზედ ინა დავიდო! (გავა მარჯვნივ)

კალხასი.

მართალს ამბობს... აქაური ქალები ყველანი იდებენ... ინას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლა მეთერთმეტე

კალხას, ორესტი, პართენის, ლეონა, შემდეგ რიგზედ ორნი აიაქსნი, ახილესი, მენელასი, აგამემნონი, მემუზიკენი, ხალხნი და მერე **ელენე** და **პარის.**

ორესტი (შემოდის პირველი მარცხნივ პართენის და ლეონათი)

კალხას! აი მამა ჩემი მოდის თავის დასტით.

(ყველანი მარცხნივ შემოდიან. ორესტი მარცხნივ გუნ-ჭულში დგება კალხასის გვერდზედ)

ხორი.

აი ბერძნეთის მეფენი
და ვალია ესლა ჩვენი
რომ გავაცნოთ ყველანი,
სულ თითო თითო მათგანი!

(მარჯვნივ სკამებს სდგმენ. მეფეების შემოსვლა რიგ-ზედ. პირველად აიაქსები შემოდიან)

I

აიაქს პირველი.

ჩვენ ვართ მეფენი ძლიერი
ფენი ძლიერი

ფერი ძლიერი
სახელით აიაქს!

აიაქს მეორე

და თუ გვყავს ჩვენ სადმე მტერი
ჩვენ სადმე მტერი
ჩვენ სადმე მტერი,
ყველას შიში აქვს!

აიაქს პირველი.

უზრუნველი, ბედნიერი,
ჩვენ სიცოცხლე გვაქვს!

ორნივე.

ჩვენ ვართ მეფენი ძლიერი
ფენი ძლიერი
ფენი ძლიერი.
სახე, სახე, სახე-ლით აიაქს!

ხორო.

აი მეფენი ძლიერი
სახელით აიაქს.

II

ახილესი.

ლხინე უკვირთ ქვეყანაში
ვირთ ქვეყანაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირთ ქვეყანაში
ახილესისა!
ნუ ჩამომართმევთ გვეხნაში
მართმევთ გვეხნაში
მართმევთ გვეხნაში
რისხვა ვარ მტრისა!
ხოლოთ გასლავართ ტანჯვაში
გამო ქუსლისა.
ღონე უკვირთ ქვეყანაში
ვირთ ქვეყანაში
ვირთ ქვეყანაში
ახი, ახი, ახი-ლესი-სა!

ხორი.

ღონე უკვირთ ქვეყანაში
ახილესისა!

III

მენელასი.

მე ვარ ქმარი ელენესი
რი ელენესი
რი ელენესი
თვით მენელასი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ჩემი როგორც არს წესი
როგორც არს წესი
როგორც არს წესი
არ იცის თვასი!
დღე და ღამ მუდამა ვკვნესი
გამო მეთვასი!
მე ვარ ქმარი ელენესი
რი ელენესი
რი ელენესი
თვით მე-ნე-მე-ნე, მენელასი!

ხორი.

ეს არს ქმარი ელენესი
თვით მენელასი.

IV

აგამემნონი.

მე ვარ მეფე წვერიანი
ფე წვერიანი
ფე წვერიანი,
აგამემნონი!
ლაშქარ მრავალი ყმიანი,
ვალი ყმაანი

ჰალი ყმიანი,
მიცნობთ მე მგონი!
ხელმწიფე ღვთისგან სვიანი
ბატონთ-ბატონი,
მე ვარ მეფე წვერიანი
ფე წვერიანი
ფე წვერიანი,
აგა, აგა, აგა-მემ-ნონი!

ხორი.

ეს არის მეფე წვერიანი
აგამემნონი!

კალხასი. (გამოდის)

დედოფალი მობძანდება!

ხორი.

აი ბერძნეთის მეფენი,
და ვალია ეხლა ჩვენი
რომ გავიცნოთ ყველანი,
სულ თითო თითოთ მათგანი!

(მეორე ხორის დროს, მეფენი მიესალმებიან ელენეს და მარჯვნივ სხდებიან. აგამემნონი, ელენე და მენელაოს სხდებიან მათთვის მომზადებულ ალაგსა. სხვა მეფენი ზეზე

დგანან აგამემნონის მარჯვნივ. ოთხი მუზიკანტები ტაძრის კიბეზედ სხედან. მორიდგან მოჩანს ხალხი)

ქალხას. (ორესტეს).

ბატონის შვილო!

ორესტი.

რა გნებავსთ!

ქალხას.

თქვენს ალაგზედ დაბძანდით.

ორესტი.

არა, მე აქ დავრჩები და მამა ჩემი რომ ილაშაქებს უნდა ნიშანი მივცე ხალხს რომ ტაში დაუკრან. ასე ვარ დარიგებული.

ქალხას.

ჰო! ეგ სხვა არის!

აგამემნონი.

აბა, კალხას, მოისვენე და! მზათა ვართ?

ქალხას.

სუყველა მზათ არის, მეფეთ მეფევ!

აგამემნონი (ადგება)

ბატონებო! სხდომა გამიხსნია! სიტყვას ვაძლევ მეფე მენელასსა! აბა ბძანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორესტი.

ბრავო!

აგამემნონი (ორესტს)

ჯერ ადრეა, ჩემო შვილო, ჯერ ადრეა... (ჯდება)

მენელაი.

ბატონებო, მადლობას გიცხადებთ, რადგანცა რომა, ვითარცა დღესა, ე. ი. მე უნდა გხლებოდით თავმჯდომარე, მაგრამ... რადგანაც, რომა.... რომელიცა რომა... მე დაჩვეული არ გახლავართ ხალხში ლაპარაკს, რადგანაცა რომა არც ერთ თავად-აზნაურობის ყრილობაში მარშლობის კენჭში არ ჩამომიტარებია, და არც ერთ ბანკში დირექტორობა არ მომინდომია. მაშასადამე, ლაპარაკი ჩემი საქმე არ არის! მე დიდათ მოხარული ვიქნები, თუ ჩემი მეგობარი და ძმა მეფე აგამემნონი გამომიყვანს ამ ძნელ მდგომარეობიდგან! (აგამემნონს). მეფეო!! თქვენ მიბოძეთ სიტყვა — მე უკუ გიბრუნებთ მას!

ორესტი (გვერდით მდგომებს).

ეგ რა არის! მამა ჩემის ლაპარაკი უნდა გაიგონოთ, აბა ის იქნება აი!

აგამემნონი (ადგება)

მეფენო და ხალხნო საბერძნეთისანო! დღეს ჩვენ შევიკრიბენით არა იმიტომ, რომ ჩვეულებისამებრ

გამოვაჩინოთ ჩვენი ღონე და ძალა! არა, დღევანდელი დღე უნდა შევწიროთ მახვილგონიერებას! ღონიერნი კაცნი ბევრი გვყავს! მოუსვენარი ახილესი ღონიერია, ორნივ აიქსნი ღონივრები არიან და ჩემზედაც ვერავინ იტყვის უღონობას.... მაგრამ ჭკვიანი კაცი კი არავინა გვყავს.

ხალხი.

მართალია! მართალია!

აგამემნონი.

საბერძნეთი ქცემა!

ხალხი.

მართალია, მართალია!

აგამემნონი.

ნება მომეცეს, ბატონებო, რომ მივმართო საუბარი პართენისს და ლეონას, რომლებსაც ემანდ ხალხში ვხედავ! აბა, ვკითხავ მე მაგათ, თქვენ, რომელნიც იცნობთ ქვეყანას, გინახავთ სადმე ჭკვიანი კაცი?... დარწმუნებული ვარ რომ ისინი მიპასუხებენ: «ჩვენ გვინახავს სამხედრო კაცნი, ჩინოვნიკები, ვაჭრები უპრავის ჩლენები, ასენიზაციონისტები, არტისტები, ნიგილისტები, ფინანსისტები, სანსუსისტები, მონპლეზირისტები, ფელიოტონისტები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტები.... მაგრამ ჭკვიანი კაცი კი არ გვი-
ნახავს».

პართენის და ლეონა.

მართალია! მართალია!

ორესტი.

მწარე სიტყვაა, მაგრამ მართალია.

აგამემნონი.

ნუთუ ღმერთნი ისე გვგვიწყრნენ, რომ ერთი ჭკვიანი კაცი არ დაგვებადა... არა შეუძლებელია... მაშასადამე ჭკვიანი კაცი უნდა იყვეს სადმე... დღევანდელი დღე მისთვის დავნიშნეთ, რომ გამოვაჩინოთ როგორმე ჭკვიანი კაცი.... მეფენი, პოეტნი, მწყემსნი....

ელენე. (საჩქაროთ წამოდგება)

მწყემსი?... სად არის მწყემსი?

აგამემნონი.

რასა ბმანებთ, დედოფალო?

ელენე.

არაფერსა.....

აგამემნონი.

მაშ დაბმანდით [illegible] (განაგრძელებს). მე-
[illegible]

ნი მოწვეულნი არიან... აი რის ჯიბრი იქნება: გამოცანა, ზმა და რითმებზე ლექსები. ვინც გამოიცნობს, მიიღებს დედოფლის ხელიდგან ღოლოს ფოთლების გვირგვინს. მე მინდოდა ვერცხლის გვირგვინი შემკვეთა ლექსინისთვის, მაგრამ რადგანაც ვერცხლზედ ჭანდრაკულათ გახლავართ, ისევ ღოლოს ფოთლის გვირგვინი ვამჯობინე, რადგანაც იმედი მაქვს, რომ ჭკვიანის კაცისათვის ვერცხლი და ღოლოს ფოთოლი ერთი იქნება... თორემ ხომ მოგეხსენებათ, ვერცხლისა რომ გაგვეკეთებინა, ხალხშივე მეტი ფოჩტის ფული უნდა შეგვეწერა.....

ორესტი.

კარგი ეკონომიაა! მამავ! ეგ ყაირათი ვისგან გისწავლია?

აგამემნონი.

აბა მაშ ხალხნო მოემზადეთ!... და ეცადეთ რომ მიიღოთ ღოლოს ჯილდო! აბა ბუკნო და დოროტოტოვ! დაუკარით საკრავნი! (განგრძელებული ტაშის ცემა).

ორესტი (ყველაზედ მეტათ უკვირის)

აფერუმ მამავ! აფერუმ! საკრავო აფერუმ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგამემნონი (მენელაოსს)

კარგი მუზიკაა! თქვენია?

მენელაოსი.

არა, ახალი შკოლის შეგირდები გახლავან!

აგამემნონ.

აბა ნულარ ვიგვიანებთ... ბერძნეთის ხალხნო მოისმინეთ გამოცანას... მეფეო მენელაოს, აბა წაიკითხეთ.

მენელაოს (გამოართმევს აგამემნონს დაბეჭდილ ქაღალდს)

დიდის სიამოვნებით.—ისმინეთ.—(კითხულობს).

მე სახელს გეტყვი უცნაურს, არა ვარ ცრუ-პენტელი,
გამოცანას ჰგავს ვითომა, არც ხმაა ლექსის შემთხზველი:
პირველს მარცვლებში ნივთია, მძიმე, მახვილი მჩხვლეტელი....

აიაქს პირველი.

მოითმინეთ; მე ვიცი—ეს ახილესია!

ახილესი (წყრომით)

მე ვარ მძიმე და მჩხვლეტელი?...

აიაქს პირველი (ნაზათ).

მჩხვლეტელი რომ იყო, რა ცუდია?

ახილესი.

ჰო, ხანჯლით, შუბით... ეგ სხვა არის....

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგამემნონ.

აიაქსმა ტყუილათ გააწყვეტინა ლექსი. ჯერ ერთი ეს რომ, ახილესი არც მძიმეა და არც მჩხვლეტელი; მეორე კიდევ, ჯერ ბოლომდის მოუსმინეთ ლექსსა.

მენელასი (კითხულობს).

პირველს მარცვლებში ნივთის, მძიმე, მახვილი
მჩხვლეტელი....
სამოსლის ამკინძველის მარდი და წმინდა მჭვრეტელი...

ახილესი.

ამისი კი რა მოგახსენოთ: მძიმეც არის და მარდიც...

აგამემნონ.

მოიცა, ვაჟო, რა დაგემართა!... არ გაათავებინებ?...

მენელასი (კითხულობს).

მეორე მარცვლებს ეფარვის მხდალი და გამბედავია,
ყოველგან სუფევს ცასქვეშე, ზნითაც მახინჯი, ავია,
შენ არა გკითხავს, ფარულად მიაქვს მას შენგნითზავია,
ბევრი მას ჰბაძავს, თან ჰკიცხავს, —იმისი გამკილავია!
მთელი სიტყვა კი გვიჩვენებს ჭია ჯიანჭველას მონებს,
თუ ლექსიკონში არ ნახე, ჩვენში არ გაიგონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგამემნონ.

აბა, უმაწვილებო, გამოიცანით.

აიაქს პირველი.

საგრძნობელია.

აიაქს მეორე.

უუმაღლესი პატივისცემა.

ახილესი.

უუსუსტესი.
(ყველანი იმეორებენ თავიანთ ნათქვამს სიტყვებს).

აგამემნონ.

წყნარათ, უმაწვილებო, ასე როგორ იქნება?... რიგ-რიგით უნდა... რომელმა სთქვა: საგრძნობელიაო?...

აიაქს პირმელი.

მე ვსთქვი.

აგამემნონ.

მერე რა გამოვიდა?

აიაქს პირველი.

როგორ თუ რა? მაშ ჩხვლეტა საგრძნობელი არ არის?...

აგამემნონ.

დიახაც, მაგრამ ის კი დაგვავიწყდათ რომ მთე-ლი სიტყვა ჰნიშნავს ჭიასა. რომელი ჭიაა საგრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნობელი?... (აიაქს მეორე შეაყენებს პირველს) [illegible]მა სთქვა: უუმაღლესი პატივისცემათ?

ᲐᲘᲐᲥᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ.

მე; მაგრამ უუმაღლეს პატივისცემისაგან ხელი ამიღია.

ᲐᲒᲐᲛᲔᲛᲜᲝᲜ.

მე ვურჩევ სუსტმაც თავი დაანებოს.

ᲐᲮᲘᲚᲔᲡᲘ.

რატომ? სუსტში მე ვცნობილობ ჭკუასა...

ᲐᲒᲐᲛᲔᲛᲜᲝᲜ (იცინის).

ეგ ხომ თვით ლექსითაცა სჩანს.

ᲐᲮᲘᲚᲔᲡᲘ.

მაშ ლექსიკონში ვნახოთ.

ᲐᲒᲐᲛᲔᲛᲜᲝᲜ.

რა ნახო, რომ ჯერ თავი არ ვიცით და ბოლო?... ხომ არვინ არის აქ სხვა, უფრო მახვილი გონებისა?

(პარისი წამოდგება სახლში).

ᲔᲚᲔᲜᲔ (ერთბაშათ წამოდგება).

უი! ახ!...

ᲐᲒᲐᲛᲔᲛᲜᲝᲜ.

რა იყო, დედოფალო? რა დაგემართათ?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე.

ჰხედავთ!... უყურეთ.

აგამემნონ.

შენ, მწყემსო? რა გინდა, ძმაო?

პარის.

მე მინდა გამოვიცნო ეგ გამოცანა.

ახილესი (გაბრაზებით)!

ჩვენს შემდეგ? ვერა ჰხედავთ ამ თავხედს?!...

აგამემნონ.

კაი გაბედვაა, მაგრამ, აბა თქვი.

პარის

პირველი მარცვლები ჰნიშნავს ნემსს: მძიმე და მახვილი მჩხვლეტელი, მარდი და წმინდა მჭვრეტე-ლი... არა, კალხას?

კალხას.

არ ვიცი, არ ვიცი.

პარის.

მეორე მარცვლები გვიხატავს მპარველის სუ-რათს, ქურდს...—მხდალი და გამბედავი, ყველგან არსებობს, ზნეობით მახინჯია, ნამალევათ მიაქვს შენი საუნჯე, ბევრი ჰბაძავს მას და თანაც ჰკიცხა-

ვენ, ჭკილავენ... მაშასადამე გამოდის: ნემსიაშვილია...
აბა ახლა ჩაჭხედეთ ლექსიკონში და ნახავთ რომ ეს სიტყვა ჭნიშნავს ჭიას....

აგამემნონ (ჩახედავს ლექსიკონში)

მართალი ყოფილა! ისე მართალი, როგორც ის ანდაზა რომ: «ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი — ორივე ერთია».....

აგამემნონი (მუზიკის შემდეგ).

კარგი ვმარა!.... ახლა ზმაზედ გადავიდეთ! აბა წაიკითხეთ მეფეო მენელას.

მენელასი (კითხულობს)

რითია განთქმული კალხასი?

ხალხი (ერთ ხმათ).

სიმუნწით! სიმუნწით!

კალხასი.

Протестую! Протестую! სიმუნწე კერძო ცხოვრების ნიშანია და იმიტომ ნება არ გაქვსთ რომ შეეხოთ! კერძო ცხოვრების შესახებ ჩვენ გაზეთებს მივანდოთ! საზოგადო ცხოვრებაზედ შეგიძლიანთ ხოლოთ ლაპარაკი!

აგამემნონი.

აბა ერთი ჩაიხედე, მართლა ეგ ხომ არ სწერია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

МЕНЕЛАСИ

მენელასი (ჩაიხედავს).

არა, სხვა არის!

აგამემნონი (დაინახავს მომავალს პარისს)

მწყემსო! მწყემსო! (სიჩუმეა)

ახილესი (იქით).

კიდევ ეს! დასწყევლა ღმერთმა!

მენელას (პარისს).

თქვენ იცით რითაც არის გათქმული?

პარისი.

დიახ ბატონო!

მენელასი.

მაშ კუდიანი ყოფილხართ.

პარისი.

მე მივმართავ კალხას და ვეტყვი:

ყველიერში ჩემო კალხას
დო და ქადა გისვლეშია,
და იმიტომ განთქმული ხარ
ვითა ქადაგი სვლეშია!

აგამემნონი.

კარგათ ვერ გავიგეთ, აბა კიდევა ბძანეთ!

პარისი.

ყველიერში ჩემო კალხას
დო და ქადა გისვლეშია,
და იმიტომ განთქმული ხარ
ვითა ქადაგი სვლეშია!

აგამემნონ (ფიქრით).

დო და ქადა გისვლეშია; ვითა ქადაგი... სვლეშია... ჴო! ეხლა კი გავიგე.

მენელაოს (ფიქრის შემდეგ).

დო და ქადა გისვლეშია... ვითა ქადაგი... სვლეშია... ქადაგი, ქადაგი... ეხლა კი გავიგე.

კალხას.

დო და ქადა გისვლეშია... ვითა ქადაგი... სვლეშია... ოხ! ძლივს არ გავიგე! Протестую, протестую, სუნაგობა—ვერძო ცხოვრებაა! მე სხვაზედ ბევრს არა ვჭამ!

აგამემნონი.

მოკრე ჯილდოც თქვენ გერგოთ! თქვენი სახელი?..

პარისი.

თუ შეიძლებოდეს კიდევ დამაცალეთ.

აგამემნონი.

კეთილი! (პარისი კიდევ ხალხში ერევა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორესტი.

აბა ბუკი და ღოროტოტო! შეამკეთ უცნობი!

ხალხი.

ღოროტოტო, ღოროტოტო! (იგრის).

აგამემნონი.

კმარა... კმარა... ახლა... რითმებზედ გადავიდეთ, აბა მეფეო მენელას: გვიბძანეთ რა რითმებია? (ქა-ღალდს აძლევს)

მენელასი (ადგება).

აი ბატონო: (კითხულობს) სცხოვრებენ, რამე, იგრძნობენ, მესამე.

აგამემნონ.

აბა ჩვენო პოეტნო.... შეთხზეთ.... აბა ვინძლო მწყემს აჯობოთ!

კალხას.

აქა თხოულობენ რომ გაიმეოროთ რითმები.

მენელას (წამოდგება)

სცხოვრებენ, რამე, იგრძნობენ, მესამე.

ახილესი.

მე გამოვიცან! მე! მე მკითხეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგამემნონი.

მალიან ცდილობთ, მოუსვენარო ახილევსო! აქამდისინ კი არა გამოსულა რა მაცდლობიდგანა... არა ეხლა ვნახოთ... იქნება ჩვენმა მგელმა თხა დაიჭიროს.

ახილევსი.

ჩვენში დიდი ვირები სცხოვრებენ (მალლა ამბობს ფრ.ზ.ს) მათზე რომ ორი კაცი შეჯდეს, იმათთვის ეს არის ცოტა რამე და ვერც კი იგრძნობენ გინდ მოემატოს მესამე.

აგამემნონი.

ეგ ვერაფერი შვილი ლექსებისა! ეგ ლექსები როდი არის?

ახილევსი.

რატომ არ არის ლექსები?

აგამემნონი.

აქ იმიტომ ხომ არა ვართ შეკრებილნი, რომ ლექსთა თხზულება გასწავლოთ (მეორე აიაქს ხელს იშვერს) აბა აიაქს მეორევ! იქნება თქვენა თქვათ ლექსები.

აიაქს მეორე.

ლექსების მეტს არას ვიტყ[illegible] მხოლოთ მოგ-[illegible] კი იქნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგამემნონ.

არა უშავს რა, ბძანეთ.

აიაქს მეორე (გრძნობით).

ჩვენშიაც ბევრნი სცხოვრებენ,
მათ იციან ცოტა რამე,
ჩიტნი ტყეშია იგრძნობენ,
ვისა ჰყავს ცოლი მესამე!

აგამემნონი (ცოტა ხნის შემდეგ)

გაიგეთ მეფეო მენელასო?

მენელასი.

სრულებით ვერაფერი... მაგრამ კარგათ კი არის მოწყობილი.

აგამემნონი.

უკაცრავათ ნუ ვიქნები, ჩემო პატარა აიაქსო და თუ შეიძლებოდეს აბა ერთი კიდევ გაიმეორეთ ეგ ლექსები...

აიაქს მეორე.

ჩვენშიაც ბევრნი სცხოვრებენ,
მათ იციან ცოტა რამე,
ჩიტნი ტყეშია იგრძნობენ,
ვისა ჰყავს ცოლი მესამე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲐᲒᲐᲛᲔᲛᲜᲝᲜᲘ.

ძალიან კარგათ არის მოწყობილი.. მაგრამ ეს არის რომ აზრი არა აქვს... მაინც კი ჩვენ გაზეთში დასაბეჭდათ გამოდგება... თავის დროზე კარგი მწერალი გამოხვალთ! აბა სხვა ვინ იტყვის!

ᲐᲘᲐᲥᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ (კრძალვით მოდის)

მე გამოვიცანი, მეფეო: ბოზბაშია!

ᲐᲒᲐᲛᲔᲛᲜᲝᲜᲘ.

ოჰ! გაგვაცალეთ! გაგვაცალეთ! მაგას ისევ გამოცანა ჰგონია (უკან დასწევენ).

ᲮᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲓᲒᲐᲜ.

კმარა მეფენი; ახლა მწყემსი, მწყემსი!

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ (გამოდის).

მე მიძახიან?

ᲔᲚᲔᲜᲔ. (საჩქაროთ).

დიახ! დიახ!

ᲞᲐᲠᲘᲡᲘ.

მე მივმართავ მეფე მენელასს.....

ᲛᲔᲜᲔᲚᲐᲡᲘ (ადგება).

ყაბული მაქვს (ადგება და გვერდით მოუდგება) და აგრეთვე ჩემს მოწყალეს დედოფალს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე. (ადგება და მივა მასთან)

აბა თქვი, თქვი... (ყველანი შემოეხვევიან. პარისი შუაში დგას და გვერდით ელენე და მენელაოსი ჰყავს)

პარისი.

ამათ მოვახსენებ...

თუ მეუღლენი ორნი სცხოვრებენ,
მაშინ ცოლ-ქმრობა არს ძნელი რამე,
მაგრამ ამ ტვირთსა ვერც კი იგრძნობენ
თუ გარია მათში მესამე!

ელენე.

მშვენივრათ არის ნათქვამი, მშვენივრათ!

ხალხი.

ათვერუმ! ათვერუმ!

აგამემნონი.

რას იტყვით, მეფეო მენელაოსო?

მენელაოსი.

«თუ გარია მათში მესამე»... როგორა გგონია: ცენზორი რომ იყვე, გაუშვებდი ამ ლექსსა?.. ღვთის წინაშე კარგათ კი არის მოწყობილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგამემნონი.

აბა, უმაწვილო მწყემსო, თქვენის მესამე და უკანასკნელი ჯილდო!

(Final'-ის მუზიკა).

ხორი.

ურა! ურა! გამარჯვებულს!
და დიდის ჭკუითა შემკულს!
ურა! ურა! გამარჯვებულს!

ახილესი.

მეცხვარეჱ გვაჯობა....

აგამემნონი.

ვინ არის ეგ უმაწვილი?

პარისი.

გახლავართ პარისი, მეფე პრიამის შვილი!

ელენე.

ღმერთო, კაცი
ვაშლისა მქონე!

მენელასი.

ბძანებულხართ კეთილშობილი,
უდიდესი მეფისა შვილი,
მიხარის, ელენეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა არ დასჭირდეს
გვირგვინი დაადგას
უბრალო მეცხვარეს!
(ელენეს) შეამკეთ გვირგვინითა...

ელენე.

დიდის სიხარულითა!

ხორო.

ურა, ურა, გამარჯვებულს,
და დიდის ჭკუითა შემკულს!

მენელაი.

იმედი მაქვს საღამოს, ყმაწვილო,
უთოოთ მეწვიოთ სადილათ,
გვექნება ჩვენ დიდი ლხინი!

ელენე.

რვა საათზედ ვჭამთ სადილსა,
გაჭმევ, ყმაწვილო, სხვა-და-სხვა ხილსა.

პარისი.

მე აღვასრულებ, ჩემო მეფევ,
თქვენსა წადილსა!

ელენე.

ხედავთ მაგდებს ბედი
ამ ყმაწვილის ხელში!

ႩႠႪႾႠႱ (პარისს).

ჭა! თუ გიხარიან!

ႮႠႰႨႱႨ.

იცი, ჩემო კალხასო, რა მეწადიან?
გთხოვ ქმარი ღმერთებსა
შორს გააგზავნინე!

ႩႠႪႾႠႱ.

ადვილი არის ეგ!
ფილოკომ! დააქუხინე!

ႾႭႰႨ.

ერნო, ეს ქუხილი
ცით გამოგზავნილი,
ღვთისა რისხვა არის!

ႩႠႪႾႠႱ.

მამდის მე კანკალი ტანშია,
ეს არის ქადაგად ვეცემი,
იუპიტერ ბძანებს ჩემს პირით!

ႾႭႰႨ.

რასა ბძანებს?
ყურსა გიგდებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალხასი.

ღმერთები ბძანებენ,
ღმერთნი ბძახებენ,
ჩემ პირით იუპიტერ
იუპიტერ ბძანებს,
რომ მენელაოსი წავიდეს ამ წამშია
კრეტის კუნძულსა და მთაშია!

მენელაოსი

ღმერთო ჩემო! რა მინდა კრეტში?

ელენე.

გთხოვ, წასვიდე ეხლავ კრეტში.

პარისი.

ჩემო კალხას, ვარ იმედში!

მენელაოსი.

რა გავაკეთო ოხერ კრეტში?

ხორს.

გთხოვთ წაბძანდეთ ეხლავ კრეტში!

ელენე.

შენ ჩემო მეფევ სულ ელი,
მეფევ სულ ელი,
მეფევ სულ ელი,

რომ გაგცვლი სხვაზე!
რომ გაგცვლი სხვაზე,
ვხედავ არ ხარ მადლიერი
ხარ მადლიერი
ხარ მადლიერი
ჩემს ქცევაზე, ჩემს ქცევაზე!
წადი და მალე მოგელი
არ შეკრთე ზღვაზე,
შენ ჩემო მეფე სულ ელი
მეფე სულ ელი
მეფე სულ ელი
რომ, რომ, რომ, რომ გაგცვლი სხვაზე!

ხორი.

წაბძანდით კრეტში!
დიდის ხომალდით!
ეს არის მოგართვით!
მენელას! იყავ მშვიდობით,
შენს ელენეს გაუფრთხილდებით!

მოხუცი-მატანტალა.

(ბერანჟედან).

ამ ორმოში ვტოვებთ ჩვენსა სიცოცხლეს,
მე მოხუცათ ვკვდები უძლურ, მოქანცულ,
ვინც გაივლის, იტყვის: «გადაუკრავსო!»...
დეე! მაინც ხომ არ შემიბრალებენ!...
აგერ, ვხედავ რომ თავიც მომარიდეს;
ზოგ-ზოგმა კი გროშები გადმომიგდეს...
გასწით ჩქარა და იდღესასწაულეთ:
უთქვენოთაც ძრიელ კარგა მოვკვდები,
მოხუცი და უძლური მატანტალა!

—

დიახ, მე აქ ვკვდები სიბერისაგან,
რადგან ვიცით არვინ კვდება შიმშილით;
ვიმედობდი მე, ჩემს გაჭირვებაში,
მოწყალების სასთუნალს მივმართავდი,
ჩემს სიცოცხლეს წყნარად მე იქ დავლევდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ვაი, სამოწყალო პოეტიც
თურმე სრულად ვატყჳილი ყოფილა,—
აბა, ხალხი ასე უბედურია!...
ქუჩა იყო ჩემი მზრდელი, მტვირთველი,
მატარტალა, მამდები, სადაც ვშობილვარ.

—

ჩემს სიყრმეში ხელოსნებს ვთხოვდი ხოლმე,
ხელოსნობა რამე ესწავლებინათ,
«გასწი იქით!»—ასე შამომიტევდნენ,—
«სამუშაო ჩვენ შენთვის არა გვაქვსო,
წაეთრიე და ჩამოითხოვეო»....
მდიდრებო! რომ მეტყოდით: «იმუშავე!!»
მაშინ მქონდა ბლომათ ძვლები დახრული,
ნასუფრალი თქვენის მეჯლიშებისა;
თქვენს ბურდოში გარგათ გამოვიძინე
მატანტალამ, და არ გწყევლით მე თქვენ!

—

ღარიბი ვარ, ხომ შემეძლო ქურდობა,
მაგრამ, არა, სჯობს რომ ჩამოვითხოვო.
ბევრი, ბევრი,—მომეპაროს მე გაშლი,
გზის პირას რომ წითელ-ყვითლათ ღუოდა...
და რამდენჯერ მე, ბედკრულსა, ამისთვის,
შიგ ციხეში თავი რეტი წამიყვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით მოჰკლეს ჩემსა მხოლოს კეთილსა,
ხარკსა ღვთისგან ბოძებულსა ჩემდამო,
მზესა—ბერი, მატანტალა—გლახაკის!...

—

ყარიბს განა სამშობლო აქვსღა სადმე?
მე რათ მინდა თქვენი ღვინო და პური,
დიდება და თქვენი აღებ-მიცემა,
ან ყრილობა თქვენი მჭევრ-მეტყველების?
როცა მტერი ხრმალ მოწვდილი დაგეცათ
და ის თქვენში რომ დღესასწაულობდა,
მე სულელი კი ცრემლით ვითხეოდი,
ბერი—გლახა, მლოშილი მტრის ხელით.

—

მ ცნო, ხალხნო, რათ არ გამსრესთ მე თქვენა,
როგორც მღილსა, ზიანის მომცემელსა?
ის არ სჯობდა ჩემთვის გესწავლებინათ
მუშაობა, სასიკეთოთ ქვეყნისა.
ქარიშხალს თუ ავცდებოდი საფარში,
მაშინ მღილიც ვიქცეოდი ჯიანჭვლათ;
მეც ძმასაებრ ნაზათ შეგიყვარებდით:
ვკვდები ახლა მატანტალა თქვენს მტრათა!

18 დეკემბერს, 1878 წ. თ. რაფიელ ერისთავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ო მ ა ნ ს ი.

(პუშკინიდგან).

შემოდგომაა. ცა ავდრიანობს. ბინდით მოცულა
არე და მარე,
უდაბურს ადგილს ყმაწვილი ქალი, ვიღაც დიაცი
ჰსჩანს მომდინარე,
უპყრია ხელში ათრთოლებულში, ცოდვისა შვილი,
ტრფობის ნაყოფი...
ჩუმობა არის: სძინავს სუყველას, რაც კი რამეა ამ
დროს აქ მყოფი...
შესდგა დიაცი შეშინებული, იყურებოდა აქეთ-იქითა,
ამოიკვნესა და დასცქეროდა უმანკო შვილსა ყურად-
ღებითა...

—

ქალმა ცოდვილმა წარმოსთქვა მწარეთ, რომ გა-
ამჟღავნოს თვისი ვნებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

«შენ გძინავს, შვილო, შვილო ტანჯვისავ, არ გეს-
მის ჩემი მწუხარებანი!
თვალს რომ გაახელ და ცრემლიანი ვერ მომეკვრები
დედას გულზედა,
ვეღარა ჰნახავ უბედურს დედას, ხელს ვერ მოუსომ
ტკბილს ძუძუზედა!...

—

«ვეღარას გარგებს ხელის პოტინი, აღარ გერგება
დედის ალერსი,
მეც საუკუნოთ მრჩება სირცხვილი, დანაშაული, —
რისთვისაც ვკვნესი!...
შენ ხომ მე სადღაც გაგახსენდები, მაგრამ მე შენ
არ დამავიწყდები...
სხვანი გიტვირთვენ, შეგიფარებენ და ისე ტანჯვით
გამოიზრდები...
გეტყვიან, ჩვენთვის შენ უცხო ხარო, ამოგიჯდება
გული ობოლსა,
იკითხავ მშობლებს, შენსა ოჯახსა, და ვერ იპოვნი
შენსა მშობელსა!...

—

«ასე ტანჯული, უმანკო სული, უნდა ჭლოდავდე
უცხოებშია,

და შეჰნატროდე დედების ალერსს; მარტო იქნები
სხვის შვილებშია.
ასე იქმნები სულით მოღრუბლულ, მსმენი ყვედ-
რების, ბედის მწყევარი,
მომიტევე მე, დედას უბედურს, ნულარ იქნები ჩემი
მდევარი!...

—

«შენ გძინავს, შვილო!... უკანასკნელათ, მიგიკრა
მაინც ამ ტანჯულს გულზედ,
ხვალ ვეღარ გნახავ მე უბედური და დამერთვება მე
წყლული წყლულზედ...
მანამა ხარ ყრმა და სიმწარე შენ არა, გწვევია, იძინე
შვილო,
მანამ ბოროტი და გულს ვარამი არა გჩვევია,
იძინე ტკბილო!»...

—

აქ უცებ მთვარემ გამოანათა და ტყის პირს ქო-
ხი გამოაჩინა,
ქალი მთრთოლვარე, დაღონებული და ფერმიხდილი
ძლივს წადგა წინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოხის კარებს რა დაუახლოვდა, ძირს დასდო შვი-
ლი წყნარათ, სიფრთხილით,
შეშინებული და ფერმიხდილი უცებ მოეშორდა ცხა-
რის ტირილით!.....

თ. რაფიელ ერისთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრაული მელოდია

(ბაირონისა)

ოჰ! თუ კი მართლა საიქიოსა
სულს სიყვარული თანა წაჰყვება,
თუ კაცი თავის გულის სატრფოსა
სიკვდილის შემდეგ კვალად შეხვდება —
მაშინ რა რიგად იგი სოფელი
იზიდავს ჩემსა გულს და გონებას,
მსურს აქ დავტოვო ტანჯვა უთვალი
და მივეშურო მუნ ნეტარებას.
ჩვენ ჩვენი თავი არ გვენანება,
როცა სიკვდილი გვიახლოვდება;
გულსა მხოლოდა ის ეწუხება,
რომ თვისი სატრფო ქვეყანადა რჩება:
ოხ! რანაირად გულსა დამიტკბობს
ის საუკუნო ტკბილი ცხოვრება,
სად უკვდავებას შუა გამიყოფს
სხვა, გულის სწორი ტურფა ქმნილება!..

1878 წ. სოსიკო ბაქრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიური სურათები.

IV

რ უ ს ე თ ი.

ჩვენ პირველ სტატიაშივე მოვახსენეთ, რომ რუსეთში არ არის ისე უთანასწოროთ დაყოფილი მიწა, როგორც სხვა ევროპიელ სახელმწიფოებში. რუსის გლეხს მეტი მიწა აქვს, ვინამც სხვა ევროპიელ დაბალ ხალხის კაცს. ევროპაში თითქმის უმეტესი ნაწილი დაბალ ხალხისა სრულებით უმამულოა, და ამიტომ იძულებულია წავიდეს ქირით მუშათ ქალაქებში ქარხნებზედ და სოფლებში ფერმებზე. რუსეთში უმეტეს ნაწილს დაბალ ხალხისას აქვს მიწა, რომელსაც, პირველ შეხედვით, შეუძლიან დაიფაროს ის მდიდარ კაცების ბრჭყალებიდამ და არას დროს არ მიიყვანოს შიმშილამდი. ეს თითქმის მეტად ძველ დროზე.

ადრე, რამდენიმე საუკუნის წინ, რუსი თავისუფლად დასეირნებდა რუსეთის თვალუწვდენელ მინ-

დვრებში და სადაც სურდა, იქ დასახლდებოდა. დაესევოდა ჯარი რომელიმე მსუქან მიწას, მაგრამ იმის მცხოვრებს კი არ ერჩოდა, რადგან ყველასთვის საკმაოდ იყო ადგილი, აირჩევდა თავისთვის რომელიმე კუნჭულს და იქ დაეტეოდა. არც მიწის დასაკუთრება იცოდნენ რუსის მეომრებმა. ყველას ერგებოდა რამოდენიმე ნაწილი და ხმარობდა იმას თავისთვის, სანამ ემსახურებოდა თავის ბოძმე— მხედრებს ან ხარჯს აძლევდა; მაგრამ რაკი მიწის მფლობელს შემოაკლდებოდა ძალა ან მოკვდებოდა, ეს მიწა გადადიოდა სხვა მეომართან ან გლეხთან. ეს დამოკიდებული იყო იმ საზოგადოებისაგან, რომელსაც ეკუთვნოდა მიწის მფლობელი. ესვე საზოგადოება იყო მსაჯული თავის სამფლობელოში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გლეხი ან მეომარი არ აძლევდა დაწერებულ ხარჯს ჯარის უფროსს.

ამის გარდა, არც მოთავეებს, აზნაურებს ჰქონდათ ისეთი დიდი ძალა რუსეთში, როგორც სხვა ევროპიულ ქვეყნებში. ეს ბატონები, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არ ერეოდნენ თავიანთ ქვეშევრდომების საქმეებში, თუ ხარჯს მიიღებდნენ დროზე. მით უფრო ნაკლები ძალა ჰქონდათ ამ ბატონებს, რომ იმათაც მიწა ეჭირათ დროებით, თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხების მსგავსად, ხანამ ასრულებდნენ თავიანთ სამსახურს, ხანამ ეწეოდნენ თავიანთ მეფეს, რომელსაც შეეძლო ყოველთვის წაერთვა მიწა, თუ ნახავდა, რომ ვერ მსახურობს რიგიანად იმის მფლობელი.

მაშინდელ რუს მებატონეს შეეძლო სიმშურით ეყურებინა ევროპიელ ზოგიერთ გლეხისათვის. ევროპაში, მართალია, ცოტას ჰქონდა მიწა, მაგრამ ვისაც ის ჰქონდა, საკუთრებათ ითვლიდა და შეეძლო ის გაეყიდნა ან გადაეცა თავის შვილისთვის როგორც უნდოდა. რუსის მებატონე კი ვერ იყო ბატონი თავის მიწისა, ის მხოლოდ იყო მიწის მფლობელი, და არა საყოველთაოდ ბატონი. ყოველი მებატონე ვალდებული იყო შემწეობა მიეცა თავის მეფისთვის, ემსახურნა იმის ჯარში და ჯამაგირის მაგიერ ეძლეოდა მიწა, ხანამ მსახურობდა.

ამგვარ მდგომარეობაში იყვნენ რუსის ბატონები და გლეხები წარსულ საუკუნემდი, დიდ პეტრეს მემკვიდრეების მეფობამდი; მხოლოდ ამათ შემოიღეს რუსეთში ნამდვილი ბატონ-ყმობა, რომელმაც ბევრად შესცვალა რუსის გლეხ-კაცობის ბედ-იღბალი. თავად-აზნაურობამ დაისაკუთრა ბლომათ მიწები და დაიმონავა იმ დრომდი თავისუფალი გლეხობა.

ამ დროს გლეხებს, მართალია, შერჩათ ხელში მიწა, მაგრამ ისე დაჰკარგეს თავისუფლება, რომ იმათი მდგომარეობა არ შეშურდებოდა არც ერთის უმიწა-წყლო, მშიერ ევროპიელ მუშას.

ადრე, XVIII საუკუნეში, მართალია არსებობდა რაღაც მსგავსი ბატონ-ყმობისა, მაგრამ ნამდვილი ბატონ-ყმობა კი არ ყოფილა.

საქმე იმაშია, რომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სახელმწიფო და მებატონე იღებდა ხარჯს გლეხისაგან მხოლოდ მიწის მფლობელობისათვის. ამიტომაც სახელმწიფოს და მებატონესთვის სასარგებლო იყო, რომ ყოველი გლეხი დაწერილი ყოფილიყო რომელიმე მიწაზე და არ ესეირნა აქეთ-იქით. მოსეირნე გლეხისაგან ბევრს ვერაფერს ვერ აიღებდნენ, და ძნელადაც იპოვნიდნენ იმას. ამის გარდა, გლეხის დაბმა რომელიმე მიწაზე სასარგებლო იყო სახელმწიფოსათვის და მებატონეების უმეტეს ნაწილისათვის იმიტომაც, რომ ზოგიერთ გამოჩენილ მებატონეების მიწებს ხარჯი არ ედოთ ხელმწიფისაგან და ამ მებატონეებთან, რასაკვირველია, გადადიოდა ბევრი გლეხი და წვრილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად-აზნაურობას აკლდებოდა მუშა და სახელმწიფოსთვის ხარჯის მიცემა კი არ აკლდებოდა.

ამის გამო რუსის მებატონეები და ხელმწიფეები XVI და XVII საუკუნეს სულ ცდილობდნენ, რომ გლეხები ერთ ადგილას დარჩომილიყვნენ სოლმე; მაგრამ სხვათრივ კი არ შეუვიწროებიათ ამ დროინდელი რუსის გლეხი. იმათაც კი უნდა გავტყდეთ, რომ არც ზემოხსენებული განკარგულებანი გლეხების სამუდამოთ დასახლებაზე იყო დიდი შევიწროება. გლეხები ადვილად გარბოდნენ მაინც და მაინც მკელებურად იმ მდიდარ მებატონეებთან, რომელნიც ხარჯს არ აძლევდნენ სახელმწიფოს და ამიტომაც არ ჰქონდათ მიზეზი ბევრი რამ ეთხოვნათ თავიანთ ქვეშევრდომებისაგან. ეს მდიდარი მებატონეები ხალისიანათ ჰფარავდნენ გამოქცეულ გლეხებს ბატონების დევნისაგან.

ერთი სიტყვით, გასულ საუკუნემდი გლეხიც თავისუფალი იყო და თავად-აზნაურიც. იმათ თუ უნდოდათ მიწის შოვნა, ეს სურვილი ადვილად აუსრულდებოდათ, თუ გლეხი ხარჯს მისცემდა სახელმწიფოს და თუ თავად-აზნაურობა შევიდოდა სამსახურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დიდ პეტრეს შემდეგ, გასულ საუკუნეს და იმის შემდეგაც, რუსეთის მდგომარეობა გამოიცვალა. თავად-აზნაურობას და ხელმწიფეების საყვარელ კაცებს დაურიგდათ დიდი მიწები. გაჩნდა ამგვარათ რუსეთში მდიდარ, ძლიერ ბატონების წოდება. შუვალოვებს მაგალითად ერგოთ დიდ ეკატერინესაგან სხვათა შორის სხვა-და-სხვა ქარხნები და მიწები, რომელნიც ღირდნენ ერთ მილიონზე მეტად; უბრალო სალდათს შუბინს ერგო ორასი კომლი ყმა, ყაზახ რაზუმას შვილს 120,000 კომლი ყმა და სხვ.

ამ ახლად გამომცხვარ დიდ ბატონებს ერგოთ რასაკვირველია მასთანავე დიდი უფლებანიც. იმათ მთლად დაიმონავეს თავიანთ მიწებზე მცხოვრები გლეხები. ამაში შემწეობას აძლევდა თვით სახელმწიფოც, რომელმაც თავის ქვეშევრდომებზე ზრუნვა გადასცა ამ ბობოლაებს. თითქმის წელიწადი ერთი ისეთი არ გაივლიდა, რომ არ გამოცემულიყო ახალი განკარგულება, რომლითაც არ მოგონილიყო ახალი ჯაჭვი გლეხ-კაცობისათვის.

მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

1731 წ. გლეხებმა დაჰკარგეს იჯარების აღების უფლება; 1734 წ. აეკრძალათ იმათ მაუდის ქარხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების გახსნა; 1746 წ. მხოლოდ თავად-აზნაურო-ბას შერჩა გლეხების ყიდვის უფლება; 1747 წ. მებატონეებს მიეცათ ნება გლეხების გაყიდვისა სალ-დათათ; 1758 წ. ჩამოართვეს მამული ყველა სამსა-ხურის კაცს, რომელიც არ იყო თავადი ან აზნაუ-რი; 1760 წ. აზნაურებს მიეცათ ნება ყმების ყო-ლისა იჯარით აღებულ მიწებზედაც. ბოლოს იმავე 1760 წ. თავად-აზნაურობამ მოიპოვა უფლება გლეხების ციბირში გაგზავნისა სახელმწიფოს ხარ-ჯით. ამგვარმა წესმა ბევრად დაამცირა არამც თუ სახელმწიფო, არამედ მეურნეობაც.

1, გლეხები რაკი ჩავარდნენ გაჭირვებულ მდგო-მარეობაში ახალ ბატონებისაგან, ხშირ-ხშირად აჯანყდებოდნენ ხოლმე და გადასახლდებოდნენ მთელ სოფლობით პოლშელებთან და სხვა ქვეყნებში. მარ-თებლობის თვალ-ყური სულ ამ აჯანყებულები-საკენ იყო და სხვა სახელმწიფო მოთხოვნილებანი რჩებოდნენ უყურადღებოთ.

2, ადვილად ნაშოვნი—ადვილად დასაკლისიაო; ახალი ბატონები ქეიფს სწევდნენ პეტერბურღში და მოსკოვში და არც კი აგონდებოდათ თავიანთ მამულების რაციონალურად შემუშავება. ჩაუგდებ-დნენ ხოლმე თავიანთ მიწებს მოურავების ხელში და

ისაკუთრებდნენ იმათგან მხოლოდ სულს და მხოლოდ ფულს. მიწის რიგიანათ შემუშავებისათვის თავი არავის სტკიოდა. ეს იყო მიზეზი, რომ 1861 წ., როცა გლეხების განთავისუფლების დრო დადგა და გამოცხადდა რუსეთის მდგომარეობა, ყველამ იგრძნო, რომ ამ უკანასკნელ საუკუნე—ნახევარს რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა უარესი იყო დანარჩენ ევროპისაზე. რუსეთში მარტო გლეხი არ იყო ღატაკი და მონა, დიდ-კაცის მამულიც იყო გაღატაკებული.

. . . .

ჩვენ ვნახეთ, რომ საფრანგეთში გლეხების ხელშია მხოლოდ მეოთხედი ან მეხუთედი მთელ საფრანგეთის მიწების, ინგლისში მთელი სახელმწიფო უჭირავს მხოლოდ 200,000-მდი კაცს და დანარჩენი 25 მილლიონზე მეტი ინგლისელი თითქმის გლახათ ითვლება. ჩვენ ვნახეთ, რომ საზოგადოთ მთელ ევროპაში უმეტესი ნაწილი მიწების ეკუთვნის შეძლებულ პირებს და დაბალი ხალხი კი უდგილ-მამულოა და ცხოვრობს დღიურ მუშაობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში ეხლა ჩვენ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება. რომელ რუს პატრიოტისთვის სასიამოვნო არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რუსის გლეხს ვერვინ ვერ წაართმევს მიწას, რომ ბევრს რუს გლეხებთაგანს აქვს საკუთარი მამული?

შუაგულ რუსეთის ოც-და-ათ გუბერნიაში შეგროვილია სტატისტიკური ცნობები და იქიდამ ჩვენ ვტყობულობთ, რომ ერთი ნახევარი სახნავ-სათესი მიწებისა ეკუთვნის გლეხობას და მეორე ნახევარი კი განაწილებულია თავად-აზნაურებს, სხვა კერძო მემამულეებს, სახელმწიფოს და დიდ მთავრების შუა. დანარჩენ გუბერნიებში, მაგალითად პოლშაში, ლიტვაში და სხვაგან გლეხებს აქვთ ნაკლებად მიწები, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც აქ არის გავრცელებული ისეთი უადგილ-მამულობა დაბალ ხალხში, როგორც სხვა ევროპიელ ქვეყნებში.

ხალხის მოყვარე კაცისთვის სასიამოვნო უნდა იყოს, რასაკვირველია, შემდეგი გარემოებაც. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ თავად-აზნაურობამ დაჰკარგა ბევრი თავის მამულთაგანი უთვალავ ვალების, ფარმაცობის და უმეცრების გამო. ეს მსუქანი, თვალუწვდენელი საბატონო მიწები იყიდეს ვაჭრებმა, მეიჯარადრებმა და სხვა ახალ ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლაებმა, მაგრამ კარგა შენახვა კი ვერ შესძლეს. ყველგან ცნობილია, რომ მოვაჭრე ხალხს არ შეუძლიან მიწების მოვლა. მოვაჭრე ხალხი დაჩვეულია ადვილ, ჩქარ მოგებას და არა მოთმენას, ხანგრძლივ შრომას, რომელიც აუცილებლივ საჭიროა რიგიან მეურნეობისათვის. რაკი ხელიდამ უცურდებათ მამულები ძველ და ახალ ბატონებს ე. ი. თავად-აზნაურობას და ვაჭარ ხალხს, საკვირველი არა არის რა, რომ ეს მამულები წვრილ-წვრილად გადადიან გლეხ-კაცობის ხელში.

ეს ორი გარემოება დიახ სასიხარულოა ყველა კაცობრიობის მოყვარე ადამიანისათვის, მაგრამ ადვილად კი ჩაშხამდება ეს სიხარული, რომ მოვგვრათ თვალი სხვა ორ გარემოებასაც:

1, რუს გლეხის მამულს აქვს ისეთი ხარჯი, რომ მემამულეს აღარაფერი არა რჩება შემოსავლიდამ. ამას აშკარად გვიმტკიცებენ ის რიცხვები, რომელნიც მოაგროვეს ამ უკანასკნელ დროს მთელ რუსეთში.

რუს გლეხს ორ დღიურ მიწაზე მოსდის ხარჯი:

სახელმწიფო. . . . . 52, 3 კაპ.

სამამულო . . . . 84, 7 —

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერო . . . . 10, 4 —
სოფლის საზოგადოებისათვის . . 16, 7 —

სულ 1 მ. და 64 კ.

ამ ორ დღიურ მიწას კი მოაქვს წლიწადში მხოლოდ ერთი მანეთი და 63 კაპ.

არის იმისთანა გუბერნიებიც, სადაც გლეხი ბევრად იმაზე მეტს აძლევს სხვებს ხარჯს, რის აღებაც შესაძლოა იმისაგან შემუშავებულ მიწისაგან. მაგ. მოსკოვის გუბერნიაში გლეხი თავის შემოსავალზე ორჯერ მეტ ხარჯს აძლევს სახელმწიფოს და თავის საზოგადოებას.

2, მეორე სამწუხარო მოვლენა გახლავთ უადგილ-მამულო გლეხების გამრავლება ამ უკანასკნელ წლებში. ახალი ცნობები გვარწმუნებენ, რომ რუსეთი ჰბაძავს ევროპას არა მარტო განათლებაში, არამედ დაბალ ხალხის მიწების ჩამორთმევაშიაც. ეხლა თითქმის მეექვსედი რუს გლეხობისა უადგილ-მამულოა.

აი უკანასკნელი სიტყვა თ. ვასილჩიკოვისა ამ ორ სამწუხარო მოვლენაზე:

«ჩვენ ვპოულობთ ტენის ახალ თხზულებაში (Les origines de la France cotemporaine) ზოგიერთ რამეს ფრანციელ გლეხის ეკონომიურ მდგომარეობაზე პირველ რევოლიუციის წინათ; ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატიას ზედ აწერია: «როცა კაცი ღარიბია, ჯავ-რი მოსდის; მაგრამ როცა ის ერთსა და იმავე დროს რამე საკუთრების მქონეა და მასთანავე ღა-რიბიც, ის უარესად ჯავრობს». ამ გლეხების აღწე-რა მეტად მოგვაგონებს ეხლანდელ რუს გლეხ-კაცობის მდგომარეობას. საფრანგეთში გარსულ საუკუნის ბოლოს ჩვენ ვხედავთ იგივე საკვირველ მოვლენას, რომელიც ეხლა შესანიშნავია რუსეთში: ფრანციე-ლი გლეხები, თავიანთ ბატონებისაგან განთავისუფ-ლებულნი, ბევრჯერ ყიდულობდნენ თავად-აზნაურე-ბის მამულებს და მასთანავე იქცეოდნენ და ინელე-ბოდნენ. რევოლიუციის წინათ, როგორც არტურ იუნგი გვარწმუნებს, თითქმის საფრანგეთის მესამე-დი ეკუთვნოდა გლეხ-კაცობას; მართლადაც, ფრან-ციელი სოფლელი ხმარობდა ყოველ ღონისძიებას; თავის უკანასკნელ ვაი-ვაგლახით ნაშოვნ გროშებს ხარჯავდა, მამის სისხლით შოულობდა ფულებს, რომ აესრულებინა თავისი უტკბილესი წადილი—ეყიდნა თავისთვის მიწა და გაემართა იმაზე სახლ-კარი. მაგ-რამ ამასთანავე სახელმწიფოს ემატებოდა ხარჯი და ამ ხარჯის ტვირთი აწვებოდა კისერზე მხოლოდ გლეხს, რადგან სასულიერო წოდება და თავად-აზ-ნაურობა განთავისუფლებული იყო ხარჯის გადახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისავან. ამგვარად ფრანციელი გლეხი თუ არაფერს არ აგებდა მამულების შოვნით, არც არაფერს იგებდა. ფულდა ეხლანდელი მწერალი ქსე მოგვითხრობს სოფლელებზე, რომელნიც ერთს და იმავე დროს მდიდრდებოდნენ და ღარიბდებოდნენ კიდეც, ყიდულობდნენ სხვის მიწებს და ამით ხლართავდნენ თავიანთ მამულების საქმეებს. ამგვარივე ეხლანდელ რუს გლეხობის მდგომარეობა და უნდა გავფთხილდეთ, უნდა ვეცადოთ, რომ მეტის-მეტმა ხარჯებმა არ მოსპოს ახლად-ჩუქებული თავისუფლების და თანასწორობის გავლენა და არ გაუმტეროს წვრილი მემამულენი მდიდრებს. . . . .

. . . .

. . ».

ეს სიტყვები, დაფუძნებულნი სამეცნიერო ცნობებზე, დიდმნიშვნელოვანნი არიან მეტად ეხლა, როცა რუსეთი გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობაშია უკანასკნელ ომის გამო. მინისტრები და სხვა მაღალ-ხარისხოვანნი დაეძებენ ყოველ ღონისძიებას ამ მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. მართებლობა საჭიროებს ფულებში და ახალ-ახალი ბანკი-ბანკზე იბადება ყოველ კვირა, თითქმის ყო-

ველ დღე. ამ მოძრაობით გატაცებულია ლიტერატურაც და საზოგადოებაც. . . . .

. . . .

. . . . ამის გამო, რასაკვირველია, გაიგებთ ბევრ საფუძვლიან აზრს იმაზე, რომ დაბალი ხალხი შეწუხებულია მეტისმეტი ხარჯებით და იმის ახალი შეწუხება შეუძლებელია. . . . .

. . . . :

. . . .

მაგრამ ამ ხმებთან ერთად თქვენ ბევრჯერ გაიგებთ ამგვარ ყოვლად კმაყოფილების ფილოსოფიას. «მადლობა ღმერთს, ჩვენსა, რუსეთში, არ არსებობს პროლეტარი ე. ი. უადგილ-მამულო, უბინაო მუშა; ჩვენში ყველას აქვს თავის კუთხე, რომელიც იმას გაათბობს ყოველთვის და მისცემს ღონისძიებას დაეხმაროს თავის ხელმწიფეს. აი სად არის რუსეთის სიმდიდრე! ვინც უნდა მოვიდეს ჩვენზე, ყველას მოვიგერიებთ. ომის არ უნდა გვეშინოდეს, რუსეთი ყველას გაუძლებს.—ბევრნი ვართ და ბევრი გვაქვს! ჩვენ ვერავინ გვაჯობებს»!

ამგვარი ფილოსოფია ხშირად გვესმის უმეცრისაგანაც და განათლებულისაგანაც; მაგრამ, მადლობა ღმერთს, გვახსოვს სამეცნიერო ცნობანი, მოყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანილნი ზემოთ ვასილჩიკოვის სიტყვებში, და ად-გილათ გვესმის სად რჩება ამ ფილოსოფოსობაში სიმართლე და საიდამ იწყობა სიცრუვე. ჩვენ გვახ-სოვს სამწუხარო ჭეშმარიტება: რუსის გლეხს, მარ-თალია, აქვს საკმაოთ მიწა, მაგრამ იხდის ის უთ-ვალავ ხარჯს და არაფერი არ რჩება მიწის შემო-სავლიდამ.

ჩვენ გამოგიხატეთ ევროპიულ გლეხის მდგომა-რეობა და ამგვარათ გაგაცანით თ. ვასილჩიკოვის პირველ წიგნთან. მეორე წიგნი თ. ვასილჩიკოვის ახალ თხზულებისა მოგვითხრობს იმაზე, თუ რა ღონისძიება უნდა მოიხმარონ, რომ ეს მდგომარე-ობა გაუმჯობესდეს იქ, სადაც ეს ჯერ კიდევ შე-საძლოა. რუსეთში, როგორც ზევით მოგახსენეთ, გლეხი ჯერ ისე მოკლებული არ არის მიწასა, რო-გორც სხვა ევროპიელ ქვეყნებში და ამიტომაც სა-ჭიროა მოიხმარონ რუსეთმა ყოველი ღონისძიება, რომ დაბალ, ღატაკ ხალხს არ დააკლდეს თავის უკანასკნელი იმედი — თავის დედა-მიწა, თავის გამარ-თული სახლ-კარი.

თქვენ, რასაკვირველია, მოინდომებთ გაიგოთ რა წამალი მოიგონა ამისთვის თ. ვასილჩიკოვმა, ამ

პატიოსანმა მუშაკაცმა, ბრწყინვალეთ დაიარაღებულმა მეცნიერებით. თქვენ დარწმუნებული ბძანდებით, რომ ვინც კარგად ტყობულობს ნაკლულებას, ის ადვილად მოსძებნის იმისთვის წამალს. თქვენ გავიწყდებათ ექიმები, რომელთაც კარგად ესმით ყოველგვარ ადამიანობის თვისებანი, მაგრამ არ შეუძლიანთ კი იმათი მორჩენა. სწორედ ამგვარ ექიმების ჰგავს უფ. ვასილჩიკოვიც. ის გრძნობს, რომ რუსეთი თუ დაადგება ევროპის გზას, გაადატაკებს უარესად დაბალ ხალხს. უადგილ-მამულო, მშიერი, უბინაო მუშა გაჩნდება რუსეთშიაც და მაშინ გვიანღა იქნება მიშველება; მთლად დაქცეულ-დანგრეულ ხალხს აღარაფერი არ ეშველება, ვერაფერი ეშველება ვერც იმ სახელმწიფოს, რომელიც მილიონობით ითვლის თავის მცხოვრებთ ამგვარ ხალხს; უნდა დროზე დაეხმაროს სახელმწიფო რუსის გლეხს, სანამ ის არ გაუშიშვლებიათ სხვა-და-სხვა ბობოლებს. სახელმწიფომ უნდა თავის მიწები, ამბობს ვასილჩიკოვი, დაურიგოს გლეხებს და არა მდიდარ ჩინოვნიკებს, რომელნიც ყურს არ უგდებენ თავიანთ მამა-პაპურ მამულსაც კი.

ეს არის ის მკურნალი ღონისძიება, რომელიც მოიგონა ვასილჩიკოვმა რუსეთისთვის და სხვა იმისგვარ სახელმწიფოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თუ ძნელი იყო იმის დარღვევა, რაც თქვა უფ. ვასილჩიკოვმა ევროპიელ გლეხის მდგომარეობაზე, ისე ძნელი არ არის ამ სამკურნალო წამლის უვარგისობის დამტკიცება.

სახელმწიფომ უნდა გადაასახლოს უმიწო გლეხები ცარიელ სახელმწიფო მიწებზე, ამბობს უფ. ვასილჩიკოვი და იმას კი ივიწყებს, რომ ამ გადასახლებას მოუნდება ისე ბლომათ ფული, რომ სჯობია ის მოხმარდეს უმიწო გლეხს ადგილობრივ. უფ. ვასილჩიკოვი ივიწყებს, რომ ყველას არ შეუძლიან მეურნეობით ცხოვრება, რომ ზოგს ურჩევნია რამე ხელოსნობაში ორიოდ გროშის მოგება, ვინამც მიწის მოვლით თუმნების შოვნა. ხსენებული ეკონომისტი ივიწყებს, რომ ბევრს ურჩევნია შიმშილით მოკვდეს თავის მამა-პაპურ სახლ-კარის ახლო, ვინამც გადასახლდეს შორს, უცხო ქვეყანაში, რომელშიაც მშიერი იქნება გაძღეს, მაგრამ ჰავა კი ვერ აიტანოს და მოკვდეს. უფ. ვასილჩიკოვს არ უნდა დავიწყებოდა ისიც, რომ სახელმწიფოს ნება არა აქვს ჰფანტოს თავის მიწები ერთ თაობისთვის; რა უნდა ქმნას მართებულობამ მომავალს, როცა დარიგებული ექნება დაბალ-ხალხისთვის ყველა თავისუფალი მიწები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონია, მკითხველო, ადვილად დაინახე აქედამ, რომ უფ. ვასილჩიკოვის რჩევა სასარგებლოა მხოლოდ ცოტა ხნით, მხოლოდ ზოგიერთისათვის.

შემდეგ წერილებში კი ვეცდები გიჩვენოთ რა წამალი გამოსძებნეს ახალ ევროპიელ მეცნიერებმა იმისთვის, რომ სახელმწიფო ასცილდეს იმ უთანასწორო ქონების დაყოფას, რომელიც აქამდი ვერ აიცილა თავიდამ განათლებულმა ევროპამ. ჩემი ვალი იქნება აგიხსნათ ის ჯადო, რომელმაც უნდა დააშლევინოს მდიდრებს მთელ სახელმწიფო ქონების თავიანთ ხელში ჩაგდება და დაბალ-ხალხის გაღატაკება.

ამის შემდეგ მიზნათ დაგვრჩება მხოლოდ ჩვენ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. საჭირო იქნება იმის დაახლოებით გაცნობა და შეტყობა, გამოადგება თუ არა იმას ევროპიელ მეცნიერებისაგან მოგონილი წამალი.

კრიჭ და ხრიმ.

(დალაქის თავგადასავალი)

ბევრი კაცის თავი ჩამვარდნია ხელში და ბურთივით იქით-აქეთ მიტრიალებია!... ცოტა-რამ ყოველთვის კიდეც დამიკლია მათთვის, მაგრამ ჩემზედ გული არავის დასწყვეტია!... ვინ დასთვლის, რამდენისათვის მიტაცნია წვერში ხელი და რამდენის ულვაშებს შევხებივარ, მაგრამ არვინ გამრისხებია; ბევრს თავის ნებით ყელი გამოუშვერია ჩემთვის, მაშინ როდესაც ხელში მახვილი მჭერია..... ბევრი სიცოცხლითვე შემისუდრავს, მაგრამ არავის გაკვირვებია!... გნებავსთ შეიტყოთ ვინა ვბძანდები?—დალაქი!—ერთი და იგივეობა კაცს თავს აბეზრებს და ჩემი ხელობაც მოსაწყენი იქნებოდა, თუ რომ შიგა-და-შიგ ხშირად სასაცილო შემთხვევაებით სამხიარულოდ არ იკაზმებოდეს.—კვახი კვახსა ჰგავს,

ნესვი ნესვის მზგავსია და საზამთრო საზამთრო-საგან ძნელად გაირჩევა, მაგრამ ადამიანის თავი კი სულ სხვა-და-სხვაა. მართალია, ერთის შეხედვით ყველა მოტყუვდება, მაგრამ ვინც კი დაუკვირდება —გაარჩევს; და ჩემი ხელობაც ხომ ისეთია: გინდა თუ არა, უნდა უცქირო! აი გავალე სადალაქო. მოდიან მუშტრები. ფეხ-ბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება! შემოდის დიდი-ვინმე.—შესანიშნავია ეს ჩემი ხელობა: სად იწყება და სად თავდება?!... გლეხი ჭკრეჭს ცხვარს, გლეხს—ეს ბატონი და ამას კი—მე, მაგრამ შედეგი კი სულ სხვა-და-სხვა არის: გაკრეჭილი ცხვარი სიცივით თრთის, გლეხი იწვის და იდაგვის, ამას კი—არცა სცივა და არა სცხელა! რისი ბრალია? ჭკუის!... დახეთ, დაბძანდა მძიმეთ სარკის წინ და ბრძნულად შეჭყურებს თავის სახეს; მეც ჩემის იარაღით მივდგომივარ უკანიდამ, ვუგდებ თმაში ჩემს მაკრატელს და ვაძახებ: «კრიჭ-კრიჭ! ხრიმ-ხრიმ!» ჩუ! მეორესაც ჭკრეჭენ? ეს ვინ-და შემომპარვია სადალაქოში და ჩავარდნია ხელში ჩემს შეგირდს? ვიხედები აქეთ-იქით. დალახვროს ღმერთმა! მეჩვენება!....

ვაგრძობ ისევ ჩემ საქმეს: «კრიჭ-კრიჭ!... ხრიმ-ხრიმ!» ზემოდამ. «კრიჭ-კრიჭ!—ხრიმ-ხრიმო!» ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდამ. ჴმ... ბანს აძლევს? ცარიელი ყოფილა!.. მაგ-რამ ვინ დაიჯერებს!... ან კი როგორ დაიჯერონ?! ჭური ხომ არ არის, რომ ბადიმები (სარქველი) ახადონ და შიგ ჩაიხედონ... აბა, ეს ბობოლა ისეთი არ არის, რომ ვისმეს ასაწონათ და გასა-ჩხრეკათ ხელში ჩაუგდოს ის თავი, რომელიც მაღ-ლა უჭირავს და მისგამო ყველას დიდათ აფასები-ნებს!. მაგრამ მე კი ვერ მომატყუებს: ჩემთვის სულ ერთია, გინდ სავსე იყოს და გინდ ცარიელი: ამაზედ მეტათ არც ვაფასებ და არც ვიღებ.—

ეს კიდევ მეორე მუშტარი. ნეტავი ამას რაღა უნდა? ამის მოტვლეპილ თავზედ პატივს თუ დაიყრის კაცი და დათესავს რამეს, თვარა მოსაჭრელ-მოსამ-კელი არა სჩანს რა!. ქვეყანაზედ ყვლეფის მეტი არა არის რა. პირველი შრომა და მუშაობა სხვისი ყვლეფაა. აი ეს ადმიანი რომ ქვეყანასა ჰყვლეფს და ამის თავი კი ერთს მცირე მიზეზს გაუყვლე-ფია. კისრისა და თავის შესაყართან ძლივსღა შერ-ჩენია მცირე ოდენი ღინღლი, მაგრამ პატრონი კი ხუჭუჭზედაც მეტათ აფასებს და გულ-და-გულ ეჭიდება მაკრატელს.—«ჩვეულება რჯულზედაც უმ-ტკიცესიაო» ნათქვამია... ეს ქვეყნის მატყუარა ახ-ლა თავის თავსაც ატყუებს, თვარა რათ მაკრატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებიებს მაკრატელს ტყვილ-უბრალოდ ამ მოტვლე-პილ თავზედ?.. კიდეც რომ მიზეზობს! «აქეთ შემოკვერცხე!» «იქით დაახუჭუჭე!» «გაასწორე» «დაამოკლე» და სხვ. არათუერზედ კაცსა სტანჯავს, რომ რამე იყოს ვინდა გაუძლებდა?. «პარიკი ხომ არ არის ჯერ საჭიროო?» მეკითხება. თუ ვუთხარი მართალი, ვაი თუ იწყინოს და მუშტარი დამეკარგოს და თუ არა..... ეგება გამასალებიოს, ერთი ოხერი პარიკი მაქვს დარჩენილი, კაცი ხელს არა ჰკიდებს. «ჯერ კი არა და.. ჰო!... ამ თავითვე რომ მიეჩვეოდეთ კი არას გაწყენდათ!» ვეუბნები, მაგრამ ვერ მომივიდა კარგი ანგარიში: გულ-მოსული გარბის ჩემგან და ჩვეულებრივის ორ-აბაზიანის მაგიერ სამ შაურიანს მიტოვებს. წადი, ჯანაბამდი იყოს შენი გზა და კვალი! შენს ადგილზედ აგერ სხვა შემოდის «ულვაშ-ოხეკია». აი პატიოსანი კაცი: არ უნდა რომ ცოდვაში შეიყვანოს ხალხი და ათქმევინოს: «შეგირცხვა შე ულვაშებიო!» იპარსავს!... კარგ საქმეს უშვება, დიდ ჭირს აშორებს ამას ეს ჩემი სამართებელი და უნდა კარგათაც აფასებდეს, მაგრამ ამაზედ მეტს ვერც ამის ულვაშები მძენენ.. ეჰ, რამდენი სხვა-და-სხვა რიგი ხალხი შემოდის ჩემთან, ვინ მოსთვლის? ყველაზე რომ რამე გითხრათ, თავს მოგაწყენთ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი გულს ვაყოლებ ხოლმე... ღმერთმა უშველოსთ!.. ვარ აქ ყოფაში დილიდამ საღამომდე და წლიდამ წლამდე!.. გაუმარჯოს თმას!.. სანამ ის არ გამოილევა, მეც არა მჭირია რა!.....

მაგრამ, ღმერთთან სწორი სჯობს, წლევულ კი ვერ დამიდგა კარგი ალო: ჩემი მუშტრები სხვას დაემუშტრნენ!.. სხვა გამონახეს სისხლის გამღებარი. სხვა გვარად მოაპარსვიეს იმათ თავი. ახალმა დალაქებმა ჩემზედ მეტი გულ-მოდგინება გამოიჩინეს: თმებს თავებიც თან გააყოლეს!.. დამეკარგნენ ზოგიერთი მუშტრები საუკუნოდ და მათი ჭირისუფლები კი თვით წლით; დაგრჩი უსაქმურად ხელ-მეშლილი. ჩემმა მაგრატელმა კრიჭი გაიწყვიტა და სამართებელმა პირი შეიკრა.—«უსაქმურ კაცს ეშმაკი უსადგისებსო» ნათქვამია. შემომიჯდა ის წყეული მეც, შემიჩუჩხურა, შავ ნისლივით მიკმია მაცდური ფიქრები და ამიყოლია. «რაც გულადი იყო გაწყდა ჩვენში და რაც ზურგადიაა ყველა გადარჩენილა! გადარჩენილა როგორ?—ვამბობ ჩემთვის გუნებაში—

. . . .

. . . . გაკეთდენ... გაბედნიერდნენ... ეგენი მანგრე უნდა იყონ და მე კი ასე? რითა მჯობიან და რაში? ზურგადათ განა მე ვერ ვი-

ვარგებ თუ? არა, ხომ მაინც უსაქმურათ ვარ და მოდი, ერთი მოვთხარო თვალი მტერს. ღმერთმა ნუ ქნას, თუ მეც ტქმლავი არ ჩამოვიშოწიავო! მაგრამ აქაურს არც კი ვიკადრებ!.. იქით გავსწევ... იქ პირდაპირ დუნაისაკენ... . . . . . .

. . . . დიახ, სწორეთ იქ დავეწაფები ჩემის მომავალ ბედნიერების წყაროს!» ამის გაფიქრება და სისრულეში მოყვანა ერთი ვქენი: ვჭკარი თეძოს თავი შვილდივით გახდილ ჩემს დახლს და ყირაზედ გადავიყვანე. შევაგროვინე სხვა და სხვა ხელი ტანისამოსი; მრავალ-ფერად შევიმოსე; მაუდი სირმით გადავლობ-გადმოვლობე; მიგა და შიგ გრესილებიც ჩავატანე. ოქრო და ვერცხლით შევხალტე სამამაცო იარაღი. წინ ხანჯალი, გვერდზედ ხმალი, უკან დამბაჩა და ხელში მათრახი!.. ჩავიხედე სარკეში —ჭაჭიმურად!.. გამეცინა. «თუ ესეც მექნა—დავიდევი მხრებზედ ხელი—მაშინ? მაშინ ზუთხს პირს გაუღებ, მეკენჭია შევიქნები თქო! უცბათ შემოველი სადალაქოში: შეგირდები შეკრთენ და ფეხზედ წამომიდგენ. მიუცხოვეს. თავი ვაცანი—გაუშვირდათ. «ჯერ სადა ხართ? ზოგსაც შემდეგში ნახავთ თქო ვუთხარი; დავარიგე, სადალაქო მათ ჩავაბარე და მე კი გამოვეშურე პეტერბურღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ. იქ ერთი ჩემი მწყალობელი ბატონი შეგუ-ლებოდა და იმას მივმართე. იმედმა ფრთები გა-მომასხა და სიშორე აღარაფრათ ჩამიგდია.

ღამე იყო პეტერბურღში, რომ შევედი; სასტუმ-როში ჩამოხტომა და ქვემსაგებში ჩაგორება ერთი ვქენი. მინდოდა რომ გზისაგან გალახულობა მალე ძილში მომესხადა... გამოვშუშებულვიყავ.—აქ საზო-გადოთ ჩვეულებათა მქონდა რა გვერდზედაც დავ-წვებოდი, დილას იმავე გვერდით წამოვდგებოდი ხოლმე და იქ კი ამერია ძილის კანონები: ჯერ არ გათენებულიყო, ისე გამომეღვიძა. მეუცხოვა; გა-დავბრუნდი მეორე გვერდზედ და ამოვუშვი ხვრი-ნი. არ ვიცი რამდენს ხანს მეძინა. გამოვახილე თვალი—ისევ ბნელა!.. დალახვროს ღმერთმა... ავი-ფლავე გულ-აღმა მალაუნებურად; ბევრი ვხუჭე თვა-ლები, მაგრამ არა მეშველა რა. გამიტყდა ძილი. მეტი გზა აღარ იყო, მივეცი თავი ფიქრებს: — «სად ვიყავ და რა ვიყავი? ვინა ვარ და სადა ვარ? სად ვიქნები და რა ვიქნები?» ვეკითხებოდი თავს. ამ უკანასკნელმა კითხვამ მაინც სულ გადამიყოლია! უეცრად კარებზედ მოდგნენ და დამირაკუნეს. «ვი-ნა ხარ ამ შუაღამისას, რომ მომდგომიხარ და მა-წუხებ თქო?» —მე გახლავარ, მსახური! ხომ არაფერი

გნებავსთ, რომ დამასაქმოთო, მიპასუხა სასტუმრო-
ში მოსამსახურემ.

მე გული მომივიდა და შევნიშნე: «ცუდი ჩვეუ-
ლება გქონიათ აქა თქო!.. ვის გაუგონია გაუწირ-
ველად გათენებამდი მძინარის შეწუხება თქო? იცო-
დე, რომ ამიერიდამ სანამ მზე არ ამოვიდეს, ჩემ-
თან არ შემოხვიდე თქო!» მსახურმა ღიმილით
მითხრა: «ჩარჩენილხართ მთელი ზამთარი მაისამდე
ქვეშსაგებში და ეგ არისო!?»... გამოდგა რომ იმ
დასაქცევ ქვეყანაში ზამთარ დღე არ ცოდნია და
ზაფხულ ღამე. და მე კი დილის ლოდინში დღე
ნახევარი მძინებია. რა ვიცოდი?! წამოვხტი ზეზე,
უცბათ ხელ-პირი დავიბანე, მოვირთე-მოვიკაზმე და
გამოვიხედე გარეთ. ერიჭა!... რა საწირო ყოფილა
პეტერბურღში დღე?!.. თურმე მზეც სირცხვილით
ვეღარ ჰყოფს თავს! უთვალავი ფარნებისაგან ისე
განათლებულია ქალაქი, რომ ქუჩაზედ ნემსი და-
ინახება.—გავიარ-გამოვიარე, იქით მივიხედე, აქეთ
მოვიხედე... ვაი ამ ჩემს თავს, რა შემთხვევა დამი-
კარგავს!.. ჩხუბი აქ ყოფილა, კიდეც გათავებულა
და მე კი გამომპარვია. კიდეც მიტომ ჩამესმა ძილ-
ში ზარბაზნის ხმა!. ვხედავ, ამდენი მკვდრები და
დაჭრილები ჰყრიან; ზოგი მიაქვსთ, ზოგი ისევ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგდია, ზოგი ახლად ეცემა.—მივედი პოლიციის მსახურთან და ვჰკითხე: «ეს რა ამბავია თქო?» იმან ჩუსტი გამიკეთა, გამომეჭიმა და შეშინებულის ხმით მითხრა: «ჩვენი ბრალი არ გახლავსთ, ვერ გაუთავდით ამდენსაო! ორჯერ-სამჯერ ავკრიფეთ და ახლა კიდევ ახალ-ახლები ეცემიანო». ამას თავი დავანებე, ვერა გავიგე რა მისგან, და იქვე მისი უფროსი იდგა, იმასთან მივედი და იმასა ვჰკითხე. იმან სიცილით მითხრა: «თქვენო ბრწყინვალებავ! (ეტყობა, რომ იმანაცა და მისმა ხელქვეითმაც ვიღაც ნაცნობ თავადიშვილათ მიმიღეს, თორემ ბრწყინვალებას რათ მეტყოდენ?) სჩანს, რომ პირველად ბძანდებით ამ სატახტო ქალაქშიო!... ესენი მთვრალები არიანო!... ამისთანა სანახავს ყოველთვის ნახავთ აქ, მაგრამ დღეს მომეტებულია, რადგანაც საყოფლო დღეა და დიდი დღესასწაულიო!» ჰმ... შევიტყვე! ბარაქალა, რომ მტკიცეთ შეუნახავთ ქრისტიანობა: თაყვანობენ და მეტანიაობენ!... ბევრი რამ უცხო სანახავი ვნახე და კიდევ ვნახავდი, რომ დამცლოდა, მაგრამ კუჭმა გულს უპწკინა, გულმა მალა გამოალვიძა და მადამ კი შინისაკენ გამაქანა, გზაზედ იზვოზჩიკები დამიხვდნენ და მომაძახეს: «თქვენო ბრწყინვალებავ! ქვენო ბრწყინ-

ვალებავო!» სადაც გავიარე მაღაზიების წინ, ყველგან მიმიწვიეს: რა გნებავსთ? მობძანდით თქვენო ბრწყინვალებაო!... დალახვროს ღმერთმა! ილაჯი გამიწყვიტეს: წინ ბრწყინვალებაო, უკან ბრწყინვალებაო, მარჯვნივ და მარცხნივ!—მივედი სასტუმროში, მსახურები მომეგებნენ და მითხრეს: «რას ინებებთ თქვენო ბრწყინვალებაო?»—აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს; აღარ ხუმრობენ თქო, ვიფიქრე, ვიფიქრე და ჩავხვდი გონებაში: ჩემი მწყალობელი ბატონი ადრე როცა ჩვენში ბძანდებოდა, აზნაურობას დამპირდა და ახლა, აქ რომ მობძანებულა, გახსენებია; აზნაურიშვილობა აღარ უკმარებია და თავადობა გამოუტანია ჩემთვის თქო!» გამეხარდა და ნასადილევს პირდაპირ მივაშურე მის სადგომს.—ღმერთმა ისე თქვენ გაგახაროსთ, იმას ჩემი ნახვა იამა! ისე მიმიღო, თუ გინდა, მკვდარი ვინმე ადგომოდეს. მე რომ ჩემი თავგადასავალი და გულის პასუხები მოვახსენე, ბევრი იცინა, და მიბრძანა: «აბა შენ იცი თუ არ შეგვარცხვენ, თავს გამოიჩენ და გამოგვაჩენო! შენ ეცადე, გვასახელო და სხვა ყოლიფერი ჩემს კისერზედ იყოსო!» ტკბილის სიტყვებით და დიდის იმედით გამომისტუმრა. მეც სიხარულით ფეხზედ ვეღარ ვდგებოდი. მოვინდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, რომ მეც თავი გამომეჩინა და წავსულიყავ იქ, სადაც . . . . . დადიან, მაგრამ, რომ არ ვიცოდი, სად ჯანაბას?!... მიუბრუნდი იზვოზჩიკს და ვუთხარი: «შეგიძლია იქ წამიყვანო, სადაც . . . . დადიან თქო!»... დიდის სიამოვნებით თქვენო ბრწყინვალებაო, მითხრა, ჩამისვა მარხილში და გამაქანა რამდენიმე წამის შემდეგ ერთს მიყრუებულ ქუჩაში შემიყვანა და დიდებულად გაჩაღებულ სახლის წინ ამომაყოფია თავი. «იქა მიბძანდი და მეც აქ მოგიცდით, თქვენო ბრწყინვალებაო!» ავყევ ხავერდით მოფენილ კიბეს და შევედი ერთს დიდ ზალაში, სადაც არც მესვლას გკითხავდა კაცი და არც გამოსვლას, მუზიკა უკრავდა და გახურვებული ტანცაობა იყო. შევადგი თუ არა ფეხი, ყველამ მე მომაქცია ყურადღება და ყოველის მხრით მომცვინდნენ ქალები. ჯერ კი მეუცხოვა და გავიმაგრე თავი, მაგრამ ბოლოს, აქ რომ ეშმაკმა მაცდუნა, იმანვე შემაჩუჩხურა და ამიყოლია, შევტოპე ქეიფში და დილის ექვს საათზედ გამოველი თავდამძიმებული და ჯიბე დამჩატებული, იქედამ სადაც წინა ღამეს თავმჩატეთ და ჯიბე მძიმეთ შევბძანდი.

სადგომზედ რომ დავბრუნდი და ჩავწექი ქვეშსაგებში, მელიას ზღაპარი მომაგონდა: «ვითომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანათლოს რომ წაცუნცულდა, ყველის ქვევრს თავი მოხადა, და რომ ჰკითხეს: «ნათლულს რა დაარქოო?»—თავ-ხედიაო! ჩემს ახალ ნათლულს, ჩემს ჯიბასაც «თავ-ხადია» დაერქვა. მეწყინა და აღთქმა დავდევ მეტათ აღარ გავბრიყვდე თქო, ამ ფიქრით ჩამეძინა.—როცა აქ დასაძინებლად ვწვებოდი ხოლმე, იქ სწორეთ იმ დროს გამომეღვიძა, მაგრამ აღარ გამკვირვებია, რადგანაც შეტყობილი მქონდა, რომ იქაური წამს აქაური უკუღმაა.—რომ გამოვფხიზლდი და გუნებაზედ მოველი დამავიწყდა აღთქმა, ამტკივდა საქეიფოთ მუცელი და გავემურე ახლა სხვაგან; გუშინდელს დღევანდელი სჯობდა, უფრო პატიოსნური იყო, «სობრანიაო» მითხრეს. იქ დიდი პატივი მცეს, კარგათ მიმიღეს, გამეცნენ და ერთმა ჯინჯილებიანმა ვახშმათაც დამპატიჟა და დიდი წვეულებაც გადისადა, მაგრამ ბოლოს კი სადღაც გაქრა და ფულებიც მე გადამახდევინეს. არც ეს მიამა. დავბრუნდი შინ, მოვისვი ჯიბაზედ ხელი და მომაგონდა მელოი: ჩემს ნათლულს «მუსათანა» დარქმევია!... ჰმ, კმარა ამდენი თავის გდება. აწ შაბაში თქო!... გადავწყვიტე გუნებაში და დავიძინე.—მესამე საღამოს გავაბაჯიჯგინე ფეხები, მივაფურთხე ყმმ,გს და აღარ ვაპირებდი აღარსად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასვლას, რომ უსახელო ბარათი მომივიდა; მასკა-რადში შეპატიჟებოდნენ. ჯერ უარზედ დავდექი, მაგრამ ბოლოს ვიფიქრე: ფულს არ დავხარჯავ და რამიშაკს თქო? მასთანაც ეგებ ის ჯინჯილეებიანი კა-ცი ვნახო, მე რომ წუხელი დამპატიჟა და სადღაც გაქრა და ფულების გადახდა დაავიწყდა თქო. — წავე-დი; შევედი თუ არა, ჩამომეკოწიწნენ მასკები; ერთს რომ მოვიშორებდი, მეორე მოდიოდა, ასე რომ მგლა-ვი არ გამაცივებიეს. მოვიდა ერთი მასკა და რაღაც და-მიყღურტვლა ფრანციცულად; მეც რომ თავი არ შე-მერცხვინა, ვუპასუხე: «ვუი მუსიო, მადამ თქო!» ამის თქმა და ჩემი შურდულივით ბუფეთისკენ გა-ქანება ერთი იყო. ხმელი ხილი მიირთვა, ტკბილი სასმელები იგემა, მე შემომეპატიჟა და ბოლოს მითხრა «მერსიო» და გაქრა.—ეს რას ჰგავს თქო? ვფიქრობ — თვითონ დამპატიჟა და ფული კი მე უნდა გადავიხადო თქო? რაღა გზა იყო. დავბრუნ-დი: მეორემ მსტაცა ხელი; იმანაც დამიფრანციცუ-ლა. მივხვდი, აქაც ბუფეთის ანგარიში იქნება თქო და მივაძახე «ნონ მუსიო მადამა თქო!», მაგრამ იმა-ნაც ბუფეთისაკენ წამათრია: ბევრი ვეცადე და ვერ მოვიშორე. ოჰ, რა ცუდი ენა ყოფილა ეს ოხერი ფრანციცული: «ნონსაც» ბუფეთისაკენ მიჰყავხარ და

«იუისაც» და ორივე კი გაის დაგმართებს.—ჩემმა მასწავლებელმა დალია—დამალევია, ხმელი ხილი ინება—მეც მომაწოდა. «მერსი თქო» დავასწარი. ვიფიქრე ახლა ეს გადიხდის თქო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, თავი დამიკრა და გაქუსლა.—ფუ!... დალახვროს ღმერთმა! .. მართლა რომ საძაგელი ენაა: დაგასწრებს «მერსის», შენ უნდა გადაიხადო და თუ შენ დაასწარი მაინც შენ... იმე!... ამ დროს მოვიდა კიდევ ერთი მასკა და რუსულად მითხრა: რა გინდა, ბუფეტთან რომ გაჩერებულხარო? შენ თუ ფულას ასვი და აჭამე, სულსაც აღარ შეგარჩენენო; აქ ბევრი ცუდი და ოხერი მაწანწალა ხალხიაო. მომკიდა ხელი და წამიყვანა. გამოდგა, რომ ვიღაც დიდი კაცის ქალია!!. ჩემ მწყალობელ ბატონთან რომ ვიყავი მაშინ მოუკრავს იქ ჩემთვის თვალი, ერთბაშათ მოვსწონებივარ, გიჟდება ჩემთვის და მეპატიჟება თავის სახლისაკენ.—ჯერ კი ეშმაკს არ ვაჯობნე, მაგრამ, როცა სახე მიჩვენა, მაშინ კი ჭკუას დავჰკარი ფეხი და გავყევი. სწორეთ, სასუფეველში შემიყვანა იმ ანგელოზმა.—არ ვიცი ემხის ბრალი იყო, თუ სხვა-და-სხვა სასმელების, მაგრამ ისე კი დავითვერი რომ აღარა გამეგებოდა რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს, რომ გამომეღვიძა, ჩემს ქვეშ-საგებში ვეგდე თავ-გატეხილი და გამიკვირდა. ვკითხე და ასე მითხრეს რომ კიბეზედ დამტვრეულიყავითო. ქამარი, ხმალი, ხანჯალი, ქილები, აღარც ერთი შინ აღარ მომყოლია. მოვუპოტინე ხელი ჩემს ახალუხს,—ჩავყავი ჯიბეში ხელი—მისთანა შენს მტერს: ჩემს ნათლულს «ძრო-ფხოტნია» დარქმევია!... მომედვა ცეცხლი: გავგიჟდებოდი, რომ მწყალობელი ბატონის იმედი არა მქონოდა.—მოვჯობინდი თუ არა, მივაშურე ჩემს მწყალობელს; ვფიქრობდი: ბევრსაც ვიცნობ და ფულებსაც გამოვართმევ თქო. წამიხდა ანგარიშები: რომ მივედი, «შინ არ ბძანდებაო» მითხრეს. მეორეს დღეს—არ სცალიანო, მესამეს—სხვაგან ბძანდებაო და სხვ... ასე მატარეს ორი კვირე. ამასობაში სასტუმროში ანგარიშის გასასწმენდათ მომადგნენ, ვერ მივეცი—იუცხოვეს; მსახურებს, რომ საჩუქრები დაუგვიანდათ, პატივი ამხადეს და ბრწყინვალებას აღარ მეძახდნენ.—არ დავიჯერებ, რომ ჯიბიდამ უხილავი ძაფები არ იყოს გაყვანილი კაცის გვამში. ჩემმა წელმა იგრძნო უფულობა. თავი დაბლა დამეღუნა, მუხლებმაც მისუსტეს. მაღაზიებში აღარავინ მიწვევდა და პოლიციის მსახურები ცალ-უბათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგებდნენ პასუხს! კაცი თავადისშვილსათ ვეღარა მცნობდა!!... ეს რა ამბავია?—ვფიქრობ გუნებაში.—ან მოცემა რა იყო და ან ასე მალე ჩამორთმევა?—სხვები უფროსიდამ დაწყებული უმცროსებამდე ყოველ დღე თვრებიან—არაფერი! და მე კი ერთის დათრობისათვის ამალეს პატივი?!... ეჰ, მე არც წყალობა მინდა და არც რისხვა თქო. ცოტაოდენ ფულებს გამოვართმევ ჩემს «მწყალობელ ბატონს» და გაუდგები გზას შინისაკენ თქო..... მაგრამ «უბედურ-კაცს ქვა ალმართში მოეწიაო» ნათქვამია; მწყალობელი ბატონი დიდის ხნით სხვაგან წაბძანებულიყო, როგორც მითხრეს. დავრჩი ასე უპატრონოთ და უსაზრდოთ უცხო უცხოს ქვეყანაში და ჩომ მოგეხსენებათ, თუ რა არის უფულო კაცისათვის სატახტო ქალაქი? ჯინჯარში რომ იგოროთ, ისე არ დაიმუშხებით, როგორც იქ უფულობით!... მოვინდომე წყალში გადავარდნა. გავიმეტე... სწორედ გავიმეტე ჩემი თავი. მწუხარებამ ისე დამიბნელა თვალები, რომ ვეღარავის ვეღარა ვხედავდი. უეცრად ქართული მომესმა: «ოჰ, გამარჯობა შენი!... როდის მოსულხარ? როგორა ხარ? სად ხარ?» და სხვ... ამოვივლე თვალებში ხელი, შევხედე—ვიცანი. ერთი ჩვენებური კაცი იყო. მისმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაჩვამ გამომაცოცხლა. წამიყვანა სახლში, გამომკითხა გარემოება. რა საქმისთვის მოსულხარ? რას აპირებ? როგორ ივაჭრეთ? და სხვანი. ვეღარ დავფარე! ყოველიფერი გამოტეხილი ვუთხარი. თან სწუხდა და თანაც სიცილს ვერ იჭერდა; ბოლოს მითხრა: მაგდენი სიბრიყვე ჭკუის სასწავლებლათ უნდა გეყოს და შენ აწ კი გაუდექი გზას სამშობლოსაკენაო!... გზა დამილოცა და რაღა ბევრი ხვეწნა დამჭირდებოდა... გამომისტუმრა. უკან მიუხედავათ გამოვეშურე გულ-მოკლული! ჩემს სადალაქოში რომ ხელახლად თავი ამოვყავი, სულ სხვა გვარად დამიწყო გულმა ძგერა. დავხედე ჩემს მაკრატელს—პირი გაეღო, თვითქოს უნდოდა, რომ ეთქვა ჩემთვის: «რა მოიგე მითი, რომ მე სხვა იარაღზედ მომინდომე გამოცვლაო?».... სამართებელი პირ-შეკრული დამიხვდა გაბუტულსავით!... პირველი გავჩალხე, მეორე გავლესე, ვახსენე ღმერთი და შეუდექი ისევ ჩემს საქმესა. დილიდამ საღამომდე ჩემს სადალაქოში ძველებურად ისმის გაუსხლეტლად: «კრიჭ-კრიჭ! და ხრიშ-ხრიშო!» მუშტრები მეკითხებიან: სად იყავიო?—მოყვარეში თქო!—ვეუბნები. —როგორ გაატარე დროვო? «და ისემც კარგი დაგემართოს თქო!» მეტი რაღა მეთქმის?!... ვისაც გნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავსთ, რომ უფრო დაწვრილებით გაიგონოთ ჩემგან ეს ამბავი, ნუ დაივიწყებთ ჩემს სადალაქოს: თან თმას გაგკრეჭთ და თან მუსაიფითაც შეგაქცევთ.

აკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში იყიდება

„ა ლ მ ა ნ ა ხ ი"

პირველი წიგნი.

I. შვიდი ლექსი თ. ალექსანდრე ქავჭავაძისა 1
II. ჟორჟ დანდენი, კომედია სამ მოქმებადებათ მოლიერისა 8
III. სამი ლექსი თ. მიხ. ბირთვ. თუმანიშვილისა 88
IV. ეკონომიური სურათები (გადასახლება.—საფრანგეთი.—ინგლისი) . , . 92
V. შარშანდელ ქართულ მწერლობის გადათვალიერება 128
VI. პატარა წერილი დიდ საქმეე-ზე . 155

ფასი ორი აბაზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა